

ისტორია

სწარი

და უკრაინის
ავტოკონფიდენციი
ეპოქის

სამამის
მოავტო
ავტომატი
სამამი



ჩინეთის
ერთაღლო ენდი
იმპერიალიზმი



„50 პერსონა —
მათ შემთხვევა ისტორია“
რომი XXXI
„ზიგმუნდ
ფროიდი“

ნიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 8 ლარი

ელისაბედ I-ის
ბეჭდის საიდუმლო


რანაპპური —
მსოფლიოში უდიდესი
ჭაინისტური ტაძარი

როგორ მზადდებოდა
2008 წლის
აგვისტოს ომი

მსოფლიოში ყველაზე
ძველი ყველი ეგვიპტეშია

ქართველი მიწამისი

პატრიოტი და მსახური ეპეფენისანი




სკანდალური
ფასი 5.50ლ
გაზითთან
ერთად 7ლ


24
თობად

მაგარი ყდით

: მარიამ გელაშვილი



: ილია გელებეგი



ფომი 10

გაზით „კვინის პარიზისთან“ ერთად
ისცონია, ჩოგანიც ქვირფასია!


გამოდის
თვეში ერთხელ

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკეთ ნომრებზე:

0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.



Palitra.L.PUBLISHING www.palitra.ge




6




8



12



20



27




36

საჩივე

მოპარე	
ელისაბედ I-ის გამჭვის საიდუმლო	6
ახალი კახეთი	
გერმანიის უძველესი გიგლიორითაგა რომაულია	8
ასოცილობი ყველაზე ეპელი ეპელი ეგვიპტშია	9
კახოველი ქართველობები	
აკადემიკოსი იანის სტრადიშვილი – 85	10
მოქალაქეები	
მეტევანიატელი ქურუმი ქვირფასი ნიღბით	11

კახოველი ქართველი ქართველობაში	
გერმანელ-ქართულ-რესალური დიპლომატიური სამუშაოსადი	12
კახოველი საზოგადოებაში	
თემირ „გიორგანელის“ უცხოები ჯერილები	20
საკართველო-უაზ	
„განიცადით, ეს საკართველოა“	27
კახეთი ისტორია	
როგორ მზადდებოდა 2008 წლის აგიისტოს რეი	36
საკახოველოს ისტორია	
აკლდამა სამეგრელოს მთავრისტების	44

50**51****68****74****82****84**

საქართველო

მოპზუხაში კონფონბის ჩანაცემები	
პრცედურ „ქვეყანა“ არტაანი	50
ჩიცის ისტორიები	
„გვიასებების“ ქალბატონი	
იმავრატონი	57
მოცავი ამზაღი	
მილიონებით ფელიცადი ქარვის	
ტყვეორბაზი	65

ცაჲაინის ისტორიები	
სტალინი და უკრაინული	
ავტოკავშალიური ეპლესია	68
მსოფლიო ოკიდოვანი ტაქაზი	
რანაპატრი	
ფასლაში ცახალიერი	74
ამონარიდები ეპლი უკრაილ-გაზემობიდან	82
ჯაისასის თავალასაცავი	
500 დღე და ღამე მტრის ზურგი	84
სპაციონდი	90

**უკრაილ „ისტორიანის“ ძველი ნორების შეძენა შეგიძლიათ
„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში**

հՀԵՂԱՔՄԻՈՒՅ ԵՅԿԱՆ

საქართველოს ძნელბედობამ, ისტორიულ-მა ქართული ილებმა და მტრის მრავალრიცხოვნმა შემოსვებმა ჩვენი წინაპრების არაერთი განსასავენებელი წარხოცა და სამუდამოდ დაკარგა. ამ მხრივ გამონაკლისია წალენჯიხის ტაძრის მთავრი კარიბჭის სამხრეთი მდებარე ეკვდერი. ლეგნ და-ლიანი სამეცნიელოს ისტორიაში ყველაზე ძლიერი მთავარი იყო. აკლდამაც ისეთი მოიწყო, რომელსაც მასშტაბით და სიმდიდრით საქართველოში ანალოგი არ ეძებება. მთავარმა იმქვენიურ ცხოვრებაზე ზრუნვა, ჩანს, სიცოცხლეშვევე დაწყო და-დიდი სამუშაოც გასწია. ამ საზრავისის შესახებ ეკვდერში შემორჩენილ წარწერებშია მოთხოვნილი...

1917 წლის ოქტომბერში მომხდარი გადატრია-
ლების შედეგები, რის შედეგადაც ბოლშვიკები რუსეთის კოფილი იმპერიის ტერიტორიის დიდ ნაწილს დაუპატრონნენ, კავკასიის ფრინტი ინტენსიურად ირღვეოდა. ოსმალეთის შეიარაღებული ძალები შეტყვაზე გადმოიდნენ და ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთის დაკავება სცადეს... საქართველო-თურქეთის უახლესი პერიოდის ურთიერთობის ისტორიისთვის საგულისხმოა 1918-1921 წლებში მოღვაწე ქართველ და გერმანელ დაპლომატთა მოგონებანი იმდროინდელი ოსმალეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა შესახებ — ამ უკანასკნელთა საქმიანობა ხელახლა დაბადებულ ქართულ სახელმწიფო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა.

ანტიკური და შუა საუკუნების მსოფლიო ცივი-ლიზაციების უმრავლესობაში ქალის სოციალური როლი მამაკაცთან შედარებით დაბალი იყო. თუმცა, ისტორიაში შემოგვინახა რამდენიმე მაგალითი ჭკვანი და ამბიციური ქალებისა, რომელთაც ხელისუფლების სათავეში მოსვლა შეძლეს. ჩინეთის ხანგრძლივ ისტორიაში რამდენიმე ქალი იყო რომლებიც, ფაქტობრივად, ქვეყანას დროებით მართავდნენ — ძირითადად, ახალგაზრდა იმპერატორების დედები. თუმცა, ჩინეთში მხოლოდ ეროვნა ქალმა — უწ' თიქმა მოახერხა ძალაუფლების კიბის სათავემდე ასელა, ჩრდილიდან გამოსვლა და იმპერატორის ტიტულის მიღება.

„ ქურნალი კვლებეც გთავაზობთ წერილებს სა-
ქართველოსა და მსოფლიოს ისტორიიდან, აგრეთვე
ტრადიციულ რუპრინებს — „ქართველები საზღ-
ვარგარეთ“, „მოგზაური ეთნოლოგის ჩანაწერები“.
„ჯარისკაცის თავგადასაგალი“ და სხვ.



ორსალიეთის სახელმწიფო და
სამსახურო მოწვანეობა საქართველოს
დოდ გავლენას ახდენდა ხელახლა
დაპატიჟულ ჭრიულ სახელმწიფოს
1918-1921 შლებში

ისტორიულ-შემცნებითი ჟურნალი
„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშა

ରେଲାକ୍ଷ୍ମିନା ଗ୍ରେଟା ଗୁର୍ଗେନିଡ୍ଜ

სტილისტ-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა რეზო თხილიშვილი

სარედაქტო კოლეგიას:
აღმენისახელზე ბოჭივის იურიკო, ოქროპირი ჯიქური,
ნინო ჯაფარიძე დიმიტრი სილაქაშვილი, კახაბერ
გალიშვილი, ნიკოლოზ ხოტერია

კორექტორები:
ნანა მაჭუგარიან
ნინო აბესაძე

ର୍ଜ୍ୟାଳ୍ୟକ୍ଷେତ୍ରରେ ମାନ୍ୟମାନିକାରିତା:
ତଥାପିଲାଦିଶ, ଓର୍କ୍ସର୍ବଦିଶ ଜ. ନେୟା
ଫୋନ୍: ୨୩୮-୧୩-୭୨, ୨୩୮-୦୨-୪୫
e-mail: istoriani@palitra.gob.in

საკულტურული განცოლის დეპარტამენტი
ტელ.: 237-78-07, 238-78-70

ევროპული გამოწვევის თემაზე ერთხელ
რეალურის ნებარითობის გარემო
მსახურების გადახელებითა კარბილობა
„პალიტრამების“ ცხელი სახი: 219-60-13; 219-60-53
e-mail: contact@palitra.ge

ქურნალის გამოწერა შედებილიათ ინტერნეტით
ეპ-გვრძებზე: www.elva.ge
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:
(+995 32) 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74
აღიარებული მოწადა უზრუნველყოფა!

ელისაბედ I-ის პეტდის საიდუმლო

ულამაზესი, ლალისთვლებიანი ბეჭედი, შუაგულში დედოფალი ელისაბედის ინიციალით „E“, რომელიც ექვსი ბრილიანტისგან შედგება და მის გვერდით ჩასმულია ოუთრი მარგალიტი, ელისაბედს 1603 წელს, 24 მარტს, მისი გარდაცვალების დღეს მოხსნეს თათიდან.

არავინ იცოდა, მაგრამ თურმე ბეჭედი საიდუმლოს ინახვდა. ამასთან, იყო ერთ-დროულად ბეჭედიც იყო და მედალიონიც. როცა გახსნეს, მის შიდა ზედაპირზე ორი ქალის პორტრეტი აღმოჩნდა გამოსახული. ერთი თავად დედოფალი იყო, მეორე კი უცნობი ქალი, ფრანგული სტილის სამოსით, რომელიც განსაკუთრებით მოდური იყო ჰენრი VIII-ს, ელისაბედის მამის მმართველობისას. ისტორიკოსები და მკვლევრები ერთხმად თანხმდებიან, რომ ეს უცნობი ქალი სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ელისაბედის დედა ანა ბოლეინი, რომლის ტრაგიკული ბედიც დღემდე ფართო განხილვის საგანია.

ანას 1536 წელს, 19 მაისს ჰენრის ბრძანებით თავი მოკვეთეს, მიიჩნიეს რა დამნაშავედ ინცესტში (საკუთარ ძმასთან, ჯორჯთან) და მეფისა და სახელმწიფოს დალატში. ანას ბრალი არასოდეს უღიარებდა. ისტორიკოსთა უმრავლესობის აზრით, ბრალდებები გამოგონილი იყო. ერთადერთი „დანაშაული“, რომელშიც ანას ბრალი მიუძღვდა, ის იყო, რომ მნ ჰენრის ნანატრი ვაჟი ვერ აჩუქა, რომლის განჩენის იმედითაც მეფემ ურთიერთობა გაწვეიტა კათოლიკურ ეკლესიასთან, გაეყარა პირველ ცოლს — ეკატერინე არაგონელს, სიკვდილით დასაჯა მისი ახალი კურსის მოწინააღმდეგენი, მათ შორის, უახლოესს მეგობარი თომას მორი და დაქორწინდა ქალზე, რომლის მიმართაც წლების განმავლობაში უდიდესი ვნებით, მეტიც, სიყვარულითაც იყო აღვსილი. მასზე იმედს ამჟარებდა, რომ სწორედ იგი აჩუქებდა ტახტის მემკვიდრეს. თუმცა შეცდა, ნანატრი ვაჟის ნაცვლად ელისაბედი დაიბადა.



ანა ბოლეინი

ჰენრიკა ელისაბედი,
ინგლისის მომავლი
დედოფალი

იმედგაცრუებას ანას ეჭვიანობაც დაერთო. ჰენრი ხომ ცნობილი იყო მექალთანებით... ამის შესახებ თავად ანა ამბობდა საკუთარ სასამართლოზე, რომ მას ბრალი არაფერში მიუძღვდა, გარდა საკუთარი ემოციურობისა და ეჭვიანობისა მეფისადმი. ამას ემატებოდა პოლიტიკური ინტრიგებიც, რომლებშიც ანასა და მეფის მინისტრის, ორმას კრომველის გზები გადაიკვეთა. თუ ანა მონასტრების დახურვით მიღებული შემოსავლის ქველმოქმედებაში დახარჯვას ითხოვდა, ორმას მისი მეფის ხაზინაში შეტანის მომხრე იყო. თუ ანა საგარეო ურთიერთობებში საფრანგეთის სენი იხრებოდა, ორმას გეზი ესანეთისკენ ჰქონდა და მიზნად ისახვდა ამ ურთიერთობებში მეფის პირველი შვილის, მერის გამოყენებას, როგორც ესანეთის ტახტის მემკვიდრიის, ეკატერინე არაგონელის შთამომვლისა. ლოგიკურად, მერის ინტერესების წინა პლანზე წამოწევა ანას დისკომფორტს შეუქმნიდა, რადგან შესაძლოა საფრთხეში აღმოჩენილიყო მისი შვილის — ელისაბედის ინტერესები, როგორც მემკვიდრისა.

როცა ანას თავი მოკვეთეს, ელისაბედი 3 წლისაც არ იყო. ამიტომ საგარაუდოა, რომ მას დედა არ დაამახსოვრდებოდა. თუმცა ცხადია, მის შესახებ მოარული ამბები, რომლებმაც დროთა განმავლობაში ნახევრად მითური სახე მიიღო, ელისაბედის ყურამდეც მიაღწევდა. ანას სიკვდილის შემდგომ მეფესთან მისი ქორწინება ანულირებულად, ხოლო ელისაბედი ბასტარდად (მეფის უკანონო შვილად) გამოცხადდა და მან სასახლე დატოვა.

ბევრი მოსაზრება არსებობს, თუ რა გავლენა მოახდინა დედის ბერძა ელისაბედზე. ერთ-ერთი ვერსიით, ის, რომ დედოფალი არა-სოდეს დაქორწინებულა, სწორედ მშობლების გამოცდილების გავლენის შედეგი იყო. თავად ელისაბედი არასოდეს საუბრობდა დედის შესახებ, თუმცა, როგორც ჩანს, ტრაგიკულად აღსრულებულ დედას მის გულში დიდი ადგილი ეჭირა და მთელი ცხოვრება ამას საიდუმლოდ ინახავდა. ამის უტყუარ მოწმედ სწორედ მისი ბეჭედი გამოდგება, რომელსაც მართლაც ბევრი რამის თქმა შეუძლია დედოფლის დამოკიდებულებაზე ანასადმი. ელისაბედს მთელი ცხოვრება მედალიონით დაჰქონდა დედის სახე და ამის შესახებ არაფინარაფერი იცოდა.


ნინო ჩანალიონი



ინგლისის
დედოფალ
ელისაბედის
I-ის
ბეჭედი თან
მედალიონსაც
წინმორადგენდა.
როცა
დედოფლის
გარდაცვლების
შეძლვ ის
განსხვები,
ორი ქალის
პირტულები
გამოჩნდა.
ესთი თავად
ელისაბედის
I იყო, ხოლო
მეფის —
უცნობი ქალი



ბეჭედი
დახურულ
მდგრადიანაში



გარმანის უძველესი პირდღიოთება რომაულია



ეკლესის ეზო, სადაც რომაულ ბიბლიოთეკას მიაკვლიერება

გერმანიის ქალაქ კიოლნში, პროტესტანტული ეკლესის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს, ქვეყნაში უძველესი ბიბლიოთეკა აღმოჩინეს. ის ა.წ. 150-200 წლებით თარიღდება და რომაელთა აგებული უნდა იყოს.

დიკ შმიტცი, ექსპერტის წერი: „თავიდან გვეგონა, რომ ეს მხოლოდ სახალხო შეკრების ადგილი იყო, მაგრამ მერე ისეთი რაღაცები აღმოგაჩინეთ, როთაც ეს შენობა ძალიან ჰგავდა ბიბლიოთეკას, კერძოდ, ეფესოში არსებულ ბიბლიოთეკებს. შენობა, საგარაუდოდ, 20 ათასამდე გრაგნილსა და პაპირუსს ინახავდა.“

მეცნიერთა ცნობით, ბიბლიოთეკა ორ-სართულიანი უნდა ყოფილიყო, ზომით 20 მეტრი 9 მეტრზე.

კიოლნი განთქმულია თავისი გოტიკური ტაძრით, მაგრამ ქალაქში ბევრია რომაული მემკვიდრეობაც. ამ ადგილას ძვ.წ. 38 წელს დააარსა დასახლება არა უბიორუმი რომაელმა სარდალმა. სამხედრო ფორპისტი გაფართოვდა და კოლონიის სტატუსი რამდენიმე ათწლეულის შემდეგ იმპერიატორმა კლავდიუსმა მიანიჭა. მან სახელიც გადაარტვა დასახლებას და კოლონია კლაუდია არა აგრძებინებისუმი უწოდა, რადგან აქ დაიბადა მისი მეორე ცოლი აგრიპინა-უმცროსი. ქალაქში შემორჩენილია რომაული კედლები, კარიბჭეები და აკვედუკები.

მომზადებულია „დოიჩე ველეს“ მიხედვით

მსოფლიოში ყველაზე ძველი ყველი ებრი ტექი

ებრი ტექი უძველესი ყველი აღმოაჩინეს. მას დედაქალაქ მემფისის ქალაქისთავის, პტამესის ნეკროპოლისში, იტალიელმა მეცნიერებმა მიაგნეს. მკვლევართა ვარაუდით, ყველი, სულ მცირე 3200 წლისაა.

ერთი ქილა შეიცავდა გამჭარებულ მოთეთრო მასას, აგრეთვე ტილოს ქსოვილს, რომელიც შესაძლოა ჭურჭელს ფარავდა, ან მასში მოთავსებულ მასას იცავდა.

ენრიკო გრუკო, კატანიის უნივერსიტეტის ქიმიკოსი: „მასალის შესწავლისა და გაანალიზების შემდგე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ყველის პირველი ყველაზე მყარი არქეოლოგიური მტკიცებულებაა, რომელიც კი აქამდე მოგვიპოვება“.

როგორც ირკვევა, ძველ ებრი ტექი ყველის დასამზადებლად ერთდროულად იყენებდნენ ძროხის, ცხვრისა და თხის რძეს. ლაბორატორიული კვლევის შედეგად ყველში ბაქტერიაც აღმოაჩინეს, რომელიც ე.წ. ბელთაშვა ზღვის ციებ-ცხელებას იწვევდა.

ეს დაავადება, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ლეტალური შედეგით სრულდებოდა, ცხოველებიდან ადამიანებზე, როგორც წესი, არაპასტერიზებული რძის პროდუქტებით ვრცელდებოდა.

„დეილი მეილის“ მიხედვით



ყველის არსებობის დებაზე ძველი მტკიცებულება

პტამესის ნეკროპოლის ორი სკეტჩი
ნიღებრლანდებში, ლეიიდენის მუზეუმშია გადატანილი



ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

კალიტრა მელია გისმენი!..

დარეკა: 219 60 13

მოგვცერეთ: contact@palitra.ge

ან: „კვირის კალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით


ა ქ ა დ ე მ ი კ რ ს ი ი ა ნ ი ს ს ტ რ ა დ ი ნ შ ი

საქართველოსთან და ქართველ მეცნიერებთან მჭიდრო კავშირი აქვს გამოწენილ ლატვიელ მეცნიერს, აკადემიკოს იანის პაულის ძე სტრადინშის, რომელსაც წლეულს 85 წელი უსრულდება. იგი გახლავთ ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სკნატის თავმჯდომარე, ამავე აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი (1998-2004), ქიმიისა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი საპატიო ჯილდოს კავალერი.

1952 წელს იანის სტრადინში პირველად ჩამოიდა საქართველოში, სადაც ნიკოლოზ სიმონის ძე ჯანაშიას ოჯახში ცხოვრობდა. ის დაუახლოვდა ქართველ მეცნიერებს, მეცნიერობდა რაზიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორთან, აკადემიკოს ჯონდო ჯავახიშვილთან (1933-2008).

სტრადინშმა მონოგრაფიულად გამოიკვლია მოღვწეობა ქიმიკოს პეტრე რევაზის (რომანის) ძე ბაგრატიონისა (1818-1876), რომელიც 1870-

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრის იანის სტრადინშის დაბლობი



ა კ ა დ ე მ ი კ რ ს ი ი ა ნ ი ს
ს ტ რ ა დ ი ნ შ ი — ფ ა ნ ე
ჯ ა ვ ხ ი შ ვ ი ლ ი ს მ ე დ ლ ი ს
კ ა ვ ა ლ ე რ ი ს


1876 წლებში ლიფლანდიის, ესტლანდიისა და კურლანდიის გენერალ-გუბერნატორად მსახურობდა. იგი იყო სახელგანთქმულ გენერალ პეტრე ფანენს ძე ბაგრატიონის (1765-1812) მშისწული. იანის სტრადინშის გამოკვლევებში ამომწურავდა არის შესწავლილი ბაგრატიონის განსაკუთრებული წვლილი როგორც ქიმიის დარგში, ასევე რიგის პოლიტექნიკური სასწავლებლის განვითარებაში.

ა კ ა დ ე მ ი კ რ ს მა ს ტ რ ა დ ი ნ შ მა ს ა მ ე ც ნ ი ე რ ი რ ე ბ ა თ ა კ ა დ ე მ ი ი ს ს ა პ ა ტ ი օ რ დ ლ ე ქ ტ ი რ ი ნ ბ ი რ ი ს დ ა ტ ვ ი ს ე რ ე ბ ი რ ი ს ა კ ა რ ი თ ვ ე ლ ბ ა ლ ტ ი უ რ ი უ რ ი ს უ რ თ ი ე რ თ ი ბ ი ს ი ს ტ ი რ ი ი ს ნ ა რ კ ვ ე ვ ე ბ ი ს „, რ მ ე ლ ი ც გ ა მ ი ც ე მ უ ლ ი ა ქ ა რ თ ვ ე ლ ა დ , ლ ა ტ ვ ი უ რ ა დ დ ა რ უ ს უ ლ ა დ , რ მ ე ლ ი ც თ ბ ი ლ ი ს შ ი , ა ს ე ვ ე რ ი გ ა შ ი .“

იანის სტრადინშის წვლილი ქართველი მეცნიერების წინაშე სათანადოდ არის დაფასებული. იგი არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად (2002) და დაჯილდოებულია უმაღლესი სამეცნიერო ჯილდოებით „, იგნე ჯავახიშვილის მედლით“, „, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით“ და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „, იაკობ გოგებაშვილის მედლით“.“

გულითადად ვულოცავთ აკადემიკოს იანის სტრადინშის ამ იუბილეს და ვუსურვებთ, კიდევ დიდხანს ეღვაწოს ლატვიისა და საქართველოს საკუთილდღეოდ.

„ისტორიანი“



ქვეყნის უძველესი მეცნიერების ისტორია

ეგვიპტში, საქართველოს წერილობის ტერიტორიაზე აქამდე უცნობი სამარხების კომპლექსს მიაკვლიერა, რომელიც რამდენიმე კამერისგან შედგება. კომპლექსის შუაგულში კი აღმოჩნდა ტალახის აგურისა და კირქვისგან აგებული სპეციალური ნაგებობა, სადაც გარდაცვლილთა სხეულების მუმიფიცირება ხდებოდა. შენობა მოიცავს ორ ვრცელ აუზს, გარს კი ტალახის აგურით ნაგები კედლები აკრაგას. სწორედ აუზებს იყენებდნენ, სავარაუდოდ, ცხელრების მუმიფიცირებისთვის. ამისთვის საჭირო ქირურგიულ ინსტრუმენტებს, ჭურჭელს, ზეთებს ბალზამირებისთვის და სხვა ნივთებს მიწის 30-ეტრიანი უენა ფარაოდა.

ეგვიპტურ-გერმანული ექსპედიციის წევრებმა სარკოფაგსაც მიაგნეს, რომელიც, წარწერის მიხედვით, ქალღმერთ მუტის ქურუმს ეკუთვნოდა. თუმცა მისი სახელის დაგენა კედლებს, რადგან თაბაშირის ის ნაწილი, რომელზეც მისი სახელი უნდა ყოფილიყო ამოტვიფრული, გატეხილია. ჯგუფმა მხოლოდ იმის გარკვეულ შეძლო, რომ ქურუმის სახელი მოიცავს ღვთაება ნეიტის სახელსაც და ის XXVI დინასტიის პერიოდში, ძვ.წ. 664-404 წლებში ცხოვრობდა.

ქურუმის მუმიას სახეს მოოქრული ვერცხლის ნიღაბი უფარავდა. თვალების ადგილი ამოცებული იყო კალციტით, ობსიდიანით და შავი ქვით, რომელიც შესაძლოა ონიქსი იყოს. ამ ტიპის ნიღაბი არქეოლოგებს 1939 წლის შემდევ აღარ აღმოუჩენიათ. არტეფაქტები ექსპედიციის წევრებმა 3D ლაქერით სკანირების მეთოდით შეისწავლეს.

რამადან ბადრი ჰუსეინი, ექსპედიციის ხელმძღვანელი: „ამ ნიღბის აღმოჩენას თამაბად შეიძლება სენსაცია ეწოდოს. ძვირფასი ლითონის ნიღბები ძალიან ცოტაა შემორჩენილი, რადგან ეგვიპტურ სამარხთა უმეტესობას უძველეს ხანშივე ძარცვავდნენ. ამას გარდა ხელთ გვაქვს ზეთების შესანახი ლარნაკები და ასარწყავი თასები. ყველა მათგანი ეტიკეტი-რებულია. ახლა უკვე შეგვიძლია ამ ზეთების ქიმიური შემადგენლობაც კი გაფარგვიოთ“.

sciencealert.com-ის მიხედვით



ქურუმის მუმიას სახეს მოოქრული ვერცხლის ნიღაბი უფარავდა. თვალების ადგილას შეი ქვა შესაძლოა თანახმად იმის გარკვეულ შეძლო, რომ ქურუმის სახელი მოიცავს ღვთაება ნეიტის სახელსაც და ის XXVI დინასტიის პერიოდში, ძვ.წ. 664-404 წლებში ცხოვრობდა.



ბალზამირებისთვის საჭირო ზეთების შესანახი ჭურჭელი შესაბამისი ეტიკეტებით

საქართველო
ნეკროპოლისი





გერმანულ-ქართულ-ოსმალური დიპლომატიური სამკუთხადი

ბათუმი XX საუკუნის დასაწყისში

ოსმალეთის ომლვანენი კახითვები და ბექმანები ეპიცომატიური თვალი (1918-1921)

დაფილი I

საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიის უახლესი პერიოდის სრულყოფილად შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებოა 1918-1921 წლებში მოღვაწე ქართველ და გერმანულ დიპლომატთა მოგონებანი იმდრონდელი ისმალეთის სახელმწიფო და სამშედრო მოღვაწეთა შესახებ. ამ უკანასკნელთა საქმიანობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა ხელახლა დაბადებულ ქართულ სახელმწიფოზ.

1917 წლის ოქტომბერში მომხდარი გადატრიალების შემდეგ, რის შედეგადაც ბოლშევიკები რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიის დიდ ნაწილს დაეპატრონნენ, კავკასიის ფრონტის რღვევაში ინტენსიური ხასიათი მიიღო. რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები მასობრივად ტოვებდნენ ფრონტის ხაზს და სამშობლოში ბრუნდებოდნენ. მოწინააღმდეგის ჯარების სტიქიურმა უკან დახვევამ ისმალეთის შეიარაღებული ძალების გააქტიურება გამოიწვია. ისინი შეტევაზე გადმოვიდნენ და ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთის დაკავება სცადეს.

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში დაიდო საზავო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და ოთხთა კავკირის წევრ ქეყნებს (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთი, ბულგარეთი) შორის. რუსეთის მთავრობამ ივალდებულა ბათუმის, არდაგნისა და კარსის ოლქებიდან თავისი ჯარის გაყვანა.

ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციებმა 1918 წლის მარტ-აპრილში — ტრაპიზონსა და მაისში — ბათუმში გამართულ საზავო კონფერენციებზე სცადეს ზემოხსენე-

ბული ოლქების შენარჩუნება, მაგრამ ამაռო. ისმალეთის არმია შეუჩერებლად მიიწვედა წინ და რუსთა ჯარის მიერ დაცლილ ტერიტორიას იკავებდა.

ტრაპიზონის კონფერენციის მასალებიდან ჩანს, რომ იმ პერიოდის ისმალეთის საგარეო პოლიტიკაში ბათუმის ოლქი მუდმივად ფიგურირებდა და მის ოკუპაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

იმხანად შექმნილმა ვითარებამ ამიერკავკასიისა და ისმალეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა ინტენსიური კონტაქტები აუცილებელი გახადა. დიპლომატები აქტიურად ჩაერთნებ მიმდინარე პროცესებში.

1918 წლის აპრილში, პეტროგრადიდან სამშობლოში დაბრუნდა მეცნიერი და დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი (1875-1944), რომელიც საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაინიშნა რესპუბლიკის მთავრობის მთავრი მრჩევლად საგარეო პოლიტიკის საკითხებში. იგი უშუალოდ მონაწილეობდა ბათუმის კონფერენციაში. მის ნაშრობში „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო

პოლიტიკაში“ წარმოდგენილია ამიერკა-
ვკასიაში იმხანად არსებული ურთულესი
პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის
ობიექტური სურათი. ნაშრომი მნიშვნელოვან
ცნობებს შეიცავს ოსმალეთის სახელმწიფო
და სამხედრო მოღვწეთა შესახებაც.

ზურაბ ავალიშვილი მოგვითხრობს:
„ფრონტი საბოლოოდ იშლებოდა. „სადემარ-
კაციო ხაზი“, რომელიც ამ მხრიდან დაუც-
ვლი იყო, უკვე აღარ ზღუდავდა თურქებს და
იმ ძალადობის საბაბით, რომელიც სომხურმა
სამხედრო ნაწილებმა მუსლიმანური მო-
სახლეობის მიმართ ჩაიდინეს, თურქებმა 1918
წლის იანვრის ბოლოს დაიწყეს შეტევა“.

გულის მომკვლელია ზურაბ ავალიშვილის
მიერ აღწერილი ბათუმი, რომელიც 1918 წლის
1-ლი აპრილიდან ოსმალეთის შემადგენლობაში
მოექცა: „ერთო თვეც არ გასულა იმ დღეებიდან,
რაც სეიშმი მხურგალე სიტყვები წარმოითქმე-
ბოდა: ბათუმი ან სიკვდილი! უბათუმოდ ჩვენი
სიცოცხლე არ ღირს! — და, აი, დამოუკიდე-
ბელი ამიერკავკასიის დეპუტატებიც აღმოჩნდ-
ნენ ბათუმში, მაგრამ არა როგორც საკუთარ
სახლში, არამედ თურქების სტუმრად (1918
წლის 6 მაისი)... წარმოუიდგინოთ თურქების
გრძნობებიც... ისინი, თითქოს ბრუნდებოდნენ
აქ, 40-წლიანი განშორების შემდგ. და თუმცა,
რაც აქ 1918 წელს დაწერათ, ნაკლებად ჰგავდა
1878 წელს მათ მიერ დატოვებულ ბათუმს.
ბრუსტ-ლიტოკსში მათთვის დათმობილ პრო-

ვინციებს ისინი აღიქვამდნენ თურქულ ელ-
ზას-ლოტარინგიად, რომელიც, კუთვნილები-
სამებრ მათვე დაუბრუნდა. ამ განსაკუთრებულ
გრძნობას დაქმატა რაღაც უფრო ზოგადი რამ:
დიდი ხანია ოსმალეთი მიეჩვია პროვინციების
დაკარგვასა და ქალაქების დათმობას. მას
შემდგ, რაც სულითნების ძლიერებამ იკლო, ეს
პირველი შემთხვევა გახლდათ, როცა თურქთა
ჯარმა დაიკავა საქმაოდ ცნობილი და მნიშვნე-
ლოვანი ქალაქი და ეს წარმატება სტამბოლის
პატივმოყვარეობაზე მოქმედებდა. ეს მაინც რა-
დაც ნუგეში იყო ბაღდადისა (1917 წ. მარტში)
და იერუსალიმის (1917 წ. დეკემბერში) დაკარგ-
ვის შემდგ! აი, რატომ უბრწყინავდათ სახები
თურქ ფოცრებსა და მოხელეებს ბათუმში 1918
წლის გაზაფხულზე, რატომ ხასხასებდნენ წი-
თელი ლეიინს (ქსოვილია ერთგვარი. — ნ. ჯ.)
თურქული ბაირალები ყველა საზოგადოებრივ
და სახაზინ შენობაზე!“

ზურაბ ავალიშვილი შთამბეჭდავად აღწერს
იმხანად ბათუმში შეიცვლის სახელ-
მწიფო და სამხედრო მოღვაწეებს: „კონფერენ-
ციაზე მთავარი დელეგატი იყო იუსტიციისა
და (დროებით) საგარეო საქმეთა მინისტრი
პალილ-ბეი, „ერთობისა და პროგრესის“ ჯგუ-
ფის თეალსაჩინო წარმომადგნელი (მოგვია-
ნებით — კონსტანტინოპოლის პარლამენტის
თავმჯდომარე), აპობლექსიური წყობისა და
თურქებისათვის დამახასიათებელი ცრუფრან-
გული პეტრე მერი კაცი. ბათუმშივე იმყოფე-



სექართველოს
დემოკრატიული
რესუბლიკის
სამთავრობო

დელეგატი
გერმანიის
იმპერიის

დელაქლაქში.
მარცხნიდან
სხედას:

ნიკო ნიკოლაძე,
აკაკი ჩხერიმელი,
ზურაბ

ავალიშვილი.

დგანან:

სპირიდონ

ქედა, გორგა
მაჩბერი,

მიხეილ
(მახაკო)


წერეთველი
(გერლიბი,
1918 წელი)



ისმაილ
ქემალ-ფაშა
(1881-1922)



აქედ
ქემალ-ფაშა
(1872-1922)



მეჰმედ
თაღაათ-
ფაშა
(1874-1921)

ბოდა იბ დროს კავკასიის ფრონტის თურქი მთავარსარდალი ვეპიბ-ფაშაც, მხარბეჭიანი, თყალსისხლიანი, საომარი ველიდან უბრძოლ-ველად წასულ ჯარებზე იოლად მოპოვებულ გამარჯვებათა გმირი. ჩვენ დროს ჩამოვიდა კონსტანტინოპოლიდან იახტით საზღვაო მინისტრი ჯემალ-ფაშაც, ცნობილი ტრიუმ-ვირატის წევრი (თალაათა-ენვერი-ჯემალი), წარმოსადგი და თვალსაჩინო ფიგურა. ჩვენს ჩამოსკლამდე ენვერ-ფაშა ბათუმში ყოფილიყო, დიდი ზარ-ზეიმით შეხვედროდნენ“.

მოგონებებში ზურაბ ავალიშვილი იხსენებს ჯემალ-ფაშას, ვეპიბ-ფაშასა და პალიოლ-ბეის ვაზიოტს ბათუმში, რომელიც საზღვო კონფერენციის მსვლელობისას შედგა. მათ „მოისურვეს გასცნობოდნენ ჩვენს დელგატებს... მოგგართვეს ყავა. აქეთა მხარეს, პატარა სასტუმრო ოთახში, მთელ არქიპელაგად განლაგდა ამიერკავკასიის დელეგაცია. მე მიწვეული ვიყავი „თანაშრომლად““. ჯერ თვისეუფალ საუბრი; შემდეგ ჩვენს სტუმრები გვთხოვთ, ყოველმა ეროვნულმა სექციამ გულწრფელად გამოთქვას თვეისი აზრი.

აკაკი ჩხენკელი ყოველთვის აღფრთოვანებულია, როცა შემთხვევა ეძლევა გააპას „საერთაშორისო“ საუბარი. აქ მის წინაშე ოთომანის პორტას სამი ბურჯი აღმართულა. სამი კავკასიური ერის ქადაგთა პირისპირ დამდგარანა ისინი. ციფრმა „სამმა“ მისტიკურად იმოქმედა ჩხენკელზე და მან, როდესაც წინ ედგა სამი მუსლიმანი და ორიც თავისივე დელეგაციაში ჰყავდა, დაიწყო იმით, რომ „ოუმცა როგორც სოციალისტი, დიდ მნიშვნელობას არ განიჭებ რელიგიურ დოგმატებს, მაგრამ როგორც ღმერთია სამსახოვანი, მაგრამ ერთია, ისევე ამიერკავკასია, თუმცა შეიცავს სამ ერს, მაგრამ“ და ა.შ.

ნიკო ნიკოლაძე უბრალოდ, მოკლედ, დასაბუთებულად ილაპარაკა თვით ოსმალეთისთვის ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის სარვებლობაზე, მნიშვნელოვანია დასაწყისშივე არ წავართვათ ამიერკავკასიას ის ელემენტები, რომლებიც მის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს და ა.შ.

ალექსანდრ ხატისოვმა (ხატისინმა) თუმად აირჩია სომხეთის საკითხი, ჯემალ-ფაშას მოაგონა მისი სარდლობა პალესტინაში და ქრისტიანებისადმი კეთილი დამოკიდებულება, სომქი მევობრები, რევოლუციაში მისი თანამებრძოლები. ეტყობა, ჯემალ-ფაშას მტ-

კონფერენციალ ადგილს შექმო. მან სერიოზული სახე მიიღო და ურჩია, ამ საკითხზე არ ელაპარაკათ — ყველაფერ იმის შემდეგ, რაც მოხდაო (თურქთა დრომა რწმენით, 1914-1915 წლების ომში სომხებმა ზურგში მახვილი ჩასცეს)“.

ზურაბ აგალიშვილი შემდგნაირად ახასიათებს ვეპიძეფაშას, რომელიც სადგურზე ამიერკავკასიის დელეგაციის წევრთა გასაცილებლად მოუიდა: „მისი თქმით, იგი მხოლოდ 42 წლისაა, მაგრამ გარებობა ხანში შესული კაცისა აქვს. რამდენი დამის გათევა მომიხდა მე, მეთაურს, ავტომანქანაშიო, — ამბობს იგი, — რამდენჯერ დავკერებულვარ სადილად მოხარშულ კვერცხსა და ჭიქა რძეს! წარმოშობით ალბანელია იანინიდან, მაგრამ დედა ქართველი მუსლიმანი ჰყოლია ახალქალაქიდან. ჩვენს ოჯახში 17 ოფიცერია, 3 სარდალიო. იურისკონსულტი ნუსრეფ-ბეიც ალბანელია“.

ქართველი დიპლომატი წარმოაჩნენ გერმანიის როლს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა-განმტკიცებაში და წერს: „1918 წლის ზაფხულში, შავი ზღვის რაიონში გერმანიის სამხედრო და პოლიტიკური უპირატესობისა და თურქეთის მიმართუ აშკარა პეტერბონიბის უპერებლობის გამო, ერთადერთი, რისი გაკეთებაც ჩვენ შევეძლო — ეს იყო თურქების მგლური მადისოვის გერმანიის კონტროლის დაპირისპირება. ჩვენც შევეცადეთ, რაც შეიძლებოდა მეტად გვესარგებლა თვით გერმანია-თურქეთის სამოკაფშირეო დისციპლინის

არსით... გერმანია აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის მიმრემელი. ამ დროს ამ როლის შესრულება ხელშეიფებოდა მხოლოდ მას. მისი მხარდაჭერით ეს საკითხი საქართაშორისო მნიშვნელობას იძენდა“. ამასთანავე, გერმანიის მხარდაჭერით, „საქართველო, კავკასია შევიდა ვეროპულ პოლიტიკასა და ისტორიაში. დადგა ჩვენი არსებობის პროინციულ-რუსული ფაზის აღსასრული!“

ზურაბ აგალიშვილი იხსენებს საქართველოს დელეგაციის შეხვედრას თალაათ-ფაშასთან, რომელიც 1918 წლის 24 სექტემბერს, ბერლინში, სასტუმრო „ადლონში“ შედგა: „დიდი ვეზირის კაბინეტში იმყოფებოდა აგრეთვე კავკასიურ-თურქული იერსახის ახალგაზრდა კაცი, ფაქიზად ჩაცმული, პერიანი, რომელსაც კრუმწასმული თმიდან დაწყებული და ლაიკის ფეხსაცმლით დამთავრებული, ყველაფერი უბრწყინვდა. იგი ტახტის მემკვიდრის ვაჟი გახლდათ, მაშასადამე, სულთან ფარუქ-ეფენდის მმისწული. ყმწვილი უსიტყვოდისმენდა ჩვენს საუბარს. სახელგანთქმულმა ტრიუმვირმა, რომელმაც ფოსტის წვრილი მოხელის თანამდებობიდან ვეზირობას მიაღწია და ამით „უმაღლესობაც“ შეიქმნა, ხაზგასმული თავზიანობით მიგვიღი“.


საყურადღებოა ნაშრომში მოცემული თალაათ-ფაშას გარეგნული დასასიათება და მისი გასაუბრება საქართველოს დელეგაციასთან: „ეს მოსული, შავგვრემანი,

ისტანბული (კოფილი კონსტანტინოპოლი) XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე





თხმალეთის
სულთანი
მეჰმედ V
რეგენცია
(1844-1918),
მეფეობდა
1909-1918
წლებში



თხმალეთის
ბიულო
სულთანი
მეჰმედ VI
გაპირდინი
(1861-1926),
მეფეობდა
1918-1922
წლებში.
უძროსის
მას სულთან
მეჰმედ V
რეგენციას

ელვარეთვალებიანი პომაკი (გათურქებული ბულგარელი. — ნ. ჯ.), არასენტიმენტალური გამომეტყველებით სხეადასხვანაირად გამუდ-მებით იმეორებდა: „ჩვენ ყველაფურს მოვაგ-ვარებთ, ყველა სადავო საკითხს გადავჭრით ორივე მხარისთვის სასარგებლოდ... ჩვენ ერთმანეთს მხარში უნდა ვუდგეთ კავკასიაში. აი, დღეს რუსმა ელჩმა იოფებ მითხრა, რომ ისინი, რუსები, თვით საქართველოსაც კი არ ცნობენ, თუმცა დათანხმდნენ გერმანიის მიერ მის ალიარებაზე! ხედავთ თუ არა, რომ ჩვენ მოკავშირები უნდა ვიყოთ შეძლებ კი ერთად წარმართავთ იქ, აღმოსავლეთში დიდ პოლიტიკას“... ამაში იგულისხმებოდა კავკასიის კონფედერაცია, განსაკუთრებით კი — თურანული აღმოსავლეთის პოლიტიკური ორგანიზაცია, ანატოლიიდან თურქესტანამდე. „თავი დაანებეთ გერმანიას — ჩვენთან იყავით“

— ასე უნდა გაგვეგო თალაათის წინადაღება“.

1918 წლის 4 ოქტომბერს ზურაბ ავალიშვილი ბერლინიდან ისტანბულში გაემგზავრა. გზად მან გაიცნო გადამდგარი გენერალი მეჰმედ-ფაშა, რომლის შესახებაც წერს: „შეშინებული ლაპარაკობდა პოლიტიკურ მდგრმარებაზე; მილოცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მთავაზობდა შაქარსა და პურს... გამაცნო ახლახან გარდაცვლილი სულთან მეჰმედ-რეშადის გენერალ-ადიუტანტი სალეპ-ფაშა. ეს უკანასკნელიც სასოწარ-პეთოლებით აქნევდა თაქს“.

ისტანბულში ჩასული ზურაბ ავალიშვილი შეხვდა სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეებს, რომლებმაც ქართველი დიპლომატები კარგად მიიღეს.

14 ოქტომბერს ქართული დელგაცია ეწვია მაჰმედ-ფაშას, წარმოშობით ქობულეთის თავდგირიძეს (ე.წ. ჩურუქესულუს).

ზურაბ ავალიშვილი წერს: „თოფ-ხანის მოუნის ზემოთ ერთ-ერთ აღმართზე მდგბარე ნახევრად ვეროპულად მორთულ სახლში ძალიან თბილი შეხვედრა მოგვიწყვეს. ფაშა ადრეც ყოფილა მინისტრი და ახლაც უნდა შესულიყო თვეფიკ-ფაშას მთავრობაში, თუ იგი შედგებოდა. მისი სიტყვებით, იგი მხადიყო გაეკუთხინა საქართველოსთვის ყველაფერი, რაც არ ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთის ინტერესებს. მათი მხრივ, ახლა უნდა ველოდეთ უფრო თავშეკავებულსა და ზომიერ პოლიტიკას. თვითონ მას არაერთხელ უცდია დაერწმუნებინა ისინი, ვისაც ეს საკითხი ქვებოდა, ბათუმსა და საქართველოს შორის კავშირის შენარჩუნების აუცილებლობაში. იგი დაგვპირდა მოლაპარაკებოდა ახალ ვეზირს, რომ სასულველი იყო დაუყოვნებლივ, ახლავე გადაწყვეტილიყო ყველა სადავო საკითხი საქართველოსა და თურქეთს შორის. მსახური-მეზღვურის მიერ მორთმეული ტრადიციული ფინჯანი გავის შემდგე, ჩვენ გამოვეთხოვთ თვაზიან მასპინძელს. საუბრის თავი და კული ქართული იყო, ტანი კი — ფრანგული“.

16 ოქტომბერს ქართველი დიპლომატები შეხვდნენ ახალ დიდ ვეზირს — იზეთ-ფაშას, რომელმაც განაცხადა: „ბრუსტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით გათვალისწინებულს გარდა, საქართველოში მათ მიერ დაკავებული ყველა ტერიტორია განთავისუფლდება. რაც შექება ამ ხელშეკრულებით მიღებულ პროგინციებს (ბათუმი), თუ მისი დაბრუნება აუცილებელი

გახდა („ვილსონის პრინციპის“ მიხედვით), თურქები ამაზეც თანახმა იქნებიან. ამასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წერილმან საკითხებზე საგარეო საქმეთა მინისტრ ნაბი-ბეის-თან უნდა შევთანხმდეთ“.

ზურაბ აფალიშვილი იგონებს: „გრძაგრძეთ მოლაპარაკება მინისტრთან და მის ამხანაგ რეშად-ჰიქმეთ-ბეისთან. ამ დიპლომატს... დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. მათ დაადასტურეს, რომ თანახმანი არიან დაუყოვნებლივ გაანთვისუფლონ ახალციხისა და სხვა მაზრები (ე.ი. ბრესტ-ლიტოვსკის ზუით მიღებულს გარდა), თუმცა აღნიშნეს „ახისკას“ (ახალციხის) შუსლიმური ხასიათი და სხვ.

„მიუხედავად ამისა, — განაცხადა რეშად-ჰიქმეთმა, — ჩეენ უარს გამბობთ იმაზე, რაც სცილდება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების სახს და სურვილს გამოითქმათ, საუკეთესო მეზობლური ურთიერთობა გვქონდეს ქართველებთან, რომელიც კავკასიაში წარმოადგენენ ყველაზე უფრო...“ და ა.შ. ამს მოჰყევა „დათვლული“ სიტყვები. შემდევ დაწერილებით განვიხილეთ ამ ტერიტორიების გაწმენდის საკითხი და მთვიდეთ დაპირება, რომ ამის შესახებ დეპეშით გაიცემიდა განკარგულება“.

იარაღის ძალით მიერთებული ქართველი და სომხური ტერიტორიების დათმობა ოსმალეთის ხელისუფლებას ფრიად უმძიმდა.

აფალიშვილი შენიშნავს: „შემდევ გადავედით ბათუმის საკითხზე და ყურადღება გავამახვიდეთ იზეთ-ფაშას მიერ გამოხატულ გუშინდელ, ძალიან პირობით თეზისზე, რომ „თუ თურქეთი იძულებული გახდება გაანთვისუფლოს სამი სანჯაყი (ბათუმი, არდაგანი, ყარსი), მაშინ იგი შეად არის საქართველოს დაუთმოს ამ ტერიტორიის ქართული ნაწილი“. ამ თემას ჩვენი თანამოსაუბრენი თავს არიდებდნენ და რაღაც პირქუშად ლაპარაკობდნენ. ისინი, მგონია, იმედს არ კარგავდნენ „ვილსონის თანახმად“ შევნარჩუნებინათ ის, რაც მიიღეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით“.

* * *

საქართველოში გერმანიის შეიარაღებული ძალების ნაწილების ყოფნის (1918 წლის ივნის-ნოემბერი) პერიოდში მათ სამხედრო-დიპლომატიურ მისიას ხელმძღვანელობდა გენერალი, ბარონი ფრიდრიხ კრეს ფრედრიქ კრესენშტაინი (1870-1948). მის მოგონებებში „ჩემი მისია კავკასიაში“, რომელიც 2002

წელს ქართულად გამოიცა, საყურადღებო ცნობებს ეხვდებით ამიერკავკასიაში ჩამოსულ ოსმალეთის მოღვაწეთა შესახებ.

1918 წლის 29 ივნისს კრესენშტაინი ბათუმში ჩავიდა. ნოე უორდანიას თხოვნით, მან მოლაპარაკება გამართა კავკასიის ფრონტის ხაზზე განლაგებული ოსმალეთის ჯარის სარდალ ვეპიბ-ფაშასთან. მოლაპარაკების მიზანს იმხანად სოხუმთან გადასხმული 800-კაციანი დესანტის უკან გაწვევა წარმოადგენდა.

ქართველთა მიმართ სიმპათით გამსჭვალული გერმანელი გენერალი და დიპლომატი საქმაოდ ცვად მოიხსენიებს თავისი ქვეყნის მოკვშირე ოსმალეთის სამხედრო მოღვაწეებს. მის მოგონებებში ვკითხულობთ: „ავადსახსენებელი ვეპიბი, დაბალი, დაახლოებით 42 წლის სქელი კაცი, მართლაც ცბიერი, მოლაპარაკებებში გაქნილი აზიელი, თავისი გარეგნობითაც მხეცურად მოძალადე, უაღრესად არასიმპათიური, მაგრამ უდავოდ ძლიერი პიროვნება, მართალია, ძალიან შევობრულად შეგვეხვდა, თუმცა საქმისადმი სავსებით უარყოფითი დამოკიდებულება გამოამედავნა. მან გადაჭრით თქვა უარი სამხრეთ საქართველოში თურქების მიერ ტყვედ აყვანილი გერმანელი ჯარისკაცების განთვისუფლებაზე. შევიტყვეთ, რომ სოხუმში დესანტის გადასხმა მას კონსტანტინოპოლისთვის უცნობებლად გაუკეთებია, რაღაც აფხაზებს მისთვის დახმარება უთხოვიათ. სინამდვილეში, აფხაზეთის მთელი მოსახლეობა ქართველების მხარეს

ოსმალეთის
იმპერიის
გერბი





ზურაბ ჭალაშვილი

იდგა. მხოლოდ ზოგიერთმა მსხვილმა მიწათმფლობელმა, რომელთაც თბილისის სოციალისტური მთავრობის მიერ მათი სამფლობელოების კონფისკაციის ეშინოდათ, მიმართეს ვეპიბს დახმარებისთვის. ჩემს კითხვაზე, სწორ მისამართზე მოჰკვდით თუ არა მასთან, ვეპიბმა გვაცნობა, რომ იგი 5 საათზე მთავარსარდლობას თავის მძას ესად-ფაშას გადასცემდა. ენვერს იგი უკვე გადაუყენებინა თანამდებობიდან“.

კრუსენშტაინის მოგონებებში მოთხრობილია მისი მოღაპარაკების შესახებ ვეპიბ-ფაშას მძასთან — ესად-ფაშასთან. მემუარებში ვკითხულობთ: „გარეგნული შეხედულებით ესადი პირდაპირ მისი მძის საპირისპირო კაცი გახლდათ — სასიამოვნო, კეთილშობილური სახის პიროვნება, რომელიც კარგად ლაპარაკობდა გერმანულად და გულლია, პატიოსანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ ისევე ცხირერ და თავნება იყო, როგორც მისი მძა, თუმცა არა მასაცით მოხერხებული და ცინიკური. საუბარში იმ საბაბს იშველიებდა, რომ ოფიციალური მოლაპარაკებისთვის რწმუნებანი არ გააჩნია. მან მაშინვე განაცხადა უარი გერმანელ ტყვეთა განთავისუფლებაზე და ამტკიცებდა, სომქელტოლვილოებს თავიანთ სამშობლოში ვერ შევუშვებო, რადგან მათ იქ საშინელებანი

აქვთ ჩადენილიო; თქვა, რომ მას არ შეუძლია გაანთავისუფლოს თურქების მიერ უკანონოდ დაკავებული ტერიტორიები, რადგან საამისო უფლებამოსილებანი არ მაქვსო. სოხუმთან დაკავშირებული დესანტის გამო მას საჭიროდ მიაჩნია ამ ცნობის, როგორც არასწორის, საერთოდ უარყოფა და ა.შ.

თუმცა, ჩვენ საბოლოოდ მართლაც ენერგიულად და პირდაპირ გამოვთქვით ჩვენი მოსაზრება, მაგრამ ბათუმი უშედგოდ დავტოვეთ. სამაგიეროდ, ფოთისკენ გამგზავრებულებმა, გზაში ესადის რადიოგრამა მივიღეთ, რომ იგი — ალბათ ენვერის ბრძანების საფუძველზე, — შზადაა გაათავისუფლოს ტყვე გერმანელები და როცა ფოთში ჩავედით, დაგვხვდა ცნობა, რომ სოხუმთან გადასხმულ თურქების ჯარს საქართველოს ტერიტორია უკვე დაეტოვებინა. მაშასადამე, ჩვენი მისია მთლიად უნაყოფო არ ყოფილა“.

კრუსენშტაინი აღნიშნავს: „გენერალურმა ინტენდანტმა ისმაილ პაკი-ფაშამ, უჭირავიანესმა და ამავე დროს, გაიძვერა ყალთაბანდმა, დეპეშით მოწინებით მთხოვა შეუმდგომლობა ქართველებთან, რათა მათ ნება დაერთოთ აზერბაიჯანში შექნილი ბაბბა საქართველოს რკინიგზით გადაეტანათ“.

1918 წლის 16 ივნისს გერმანელი გენერალი აზერბაიჯანის იმდროინდელ დელაქალაქ ელიზავეტბოლში (განჯა) შეხვდა ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელს, გენერალ ნური-ფაშას, რომელიც ენვერ-ფაშას მძა იყო. მას კრუსენშტაინი აზერბაიჯანის „ფაქტობრივ დიქტატორს“ უწოდებს და წერს: „ნური-ფაშა 28-დან 30 წლამდე ასაკისაა. ენვერივით ლამაზი არაა, მაგრამ საკმაოდ კარგი იერისაა... თუმცა ძალზე თავაზიანი იყო, მაგრამ მისი ნდობა მაინც არ შეიძლებოდა“.

1918 წლის 4 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა ოსმალეთის არმიათა ჯგუფის უმაღლესი მთავარსარდალი პალილ-ფაშა. მის შესახებ კრუსენშტაინი წერს: „დაახლოებით 35 წლის, იშვიათად კარგი შესახედაობის და თავზიანი თურქი, ენვერ-ფაშას ბიძაა. ჭკვიანი და მოხერხებული — ხალისიანი ბუნებისა და გერმანელთა მიმართ, არა აშკარად, მტრულად განწყობილი. ვინაიდან „ახალგაზრდა თურქ“ ოფიცერთა უმეტესობის მსგავსად ისიც ძალიან სწრაფად დაწინაურდა — საფუძვლიანი პროფესიული ოსტატობა და ცოდნა აკლდა. ჩანდა, მას საკმარისი კეთილი ნება გააჩნდა


ჩვენთან და ქართველებთან ურთიერთგაგების მიღწევისთვის. მისი შტაბის უფროსი, ძალიან უნარიანი და საქმის მცოდნე, ბავარიის გენერალის პოდპოლკოვნიკი პარაქვინი, აშეკარად მისი ნდობით სარგებლობდა და კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენდა მასზე. საქართველოს მთავრობამაც და მეც თავმომწონე ფაშას ძალიან ვასიამოვნეთ. თავის მხლებლებთან ერთად იგი ორჯერ იყო ჩემთან სუფრაზე და საქართველოს მთავრობამაც გამართა მის პატივსაცემად თავისი ერთ-ერთი დიდი მიღება“.

გერმანელი გენერალი, რომელიც განჯაში ჰალილ-ფაშასთან ერთად ჩავიდა, აღნიშნავს, რომ ამ სარდლის უკმაყოფილება გამოიწვია მისი მმისწულის — ნურის მიერ ბაქოს ასაღებად განხორციელებულმა წარუმატებელმა ოპერაციამ. იგი საუბრობს ოსმალეთის გენერალიტეტისთვის დამახასიათებელ უარყოფით თვისებებზეც.

მოგონებებში ვკითხულობთ: „ჰალილი განჯაში დაწმუნდა, რომ მისი მმისწული ნური, რომელმაც, მართალია, თავი გამოიჩინა, როგორც პროპაგანდისტმა და ორგანიზატორმა, მხედრული თვალსაჩრისით უნიჭო კაცი იყო და არ შეეძლო, სამხედრო მდგომარეობა ემართა. მან შეუძლებელობა აღმრა მთავრობის წინაშე, რომ მისი მეთაურობისთვის დაექვემდებარებანათ ე.წ. ისლამის არმა, ანუ აზერბაიჯანში განლაგებული თურქეთის ჯარები. თავის უფროსებთან ურთიერთობა ჰალილს განსაკუთრებით გაურთულა იმან, რომ თავდაჯერებულ ესად-ფაშას ბათუმში, ჩემი და ჰალილის პროტესტების მიუხდავად, აქამდე არ ჩაუთვლია საჭიროდ ნატანებში საქართველოს სატელეგრაფო ქსელთან კავშირის აღდგენა. ჰალილს, საერთოდ, ყველა თავის ღონისძიებაში სიძნელე იმანაც შეუქმნა, რომ ესად-ფაშას მე-3 თურქული არმა მას არ დაუკვემდებარეს.“

თურქ გენერალებში განსაკუთრებით თელსაჩინო მიღრეკილება, იფიქრონ მხოლოდ პირად ინტერესებზე და უშუალოდ მათზე დაქვემდებარებული ჯარების მოთხოვნილებებზე, აქაც ისევე უარყოფითად იგრძნობოდა, როგორც ამ ჯარების პოლიტიკური პოზიციის ზეგავლენა გენერალების მიღწევებსა და მორჩილებაზე. სომხებისადმი ფანატიკური სიძულვილი და მათი სრული ამოწყვეტის სურვილი თურქული გენერალიტეტის შიგნით მრავალი უთანხმოებისა და ინტრიგის საბაბს იძლეოდა.

იმ დროს, როცა თურქების ყველა ინს-



ფრიდრიხ კუს ფონ კუსენშტაინი

ტანციას მთელი თავისი ძალა ბაქოსთან მდგომარეობის გამოსასწორებლად უნდა გამოეყენებინა, ესად-ფაშამ სწორედ ეს მომენტი მიიჩნია ხელსაყრელად, რომ თურქულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი 600-მდე ჯარისკაცი, რამდენიმე ტყვიამფრქვევით, საქართველოს სანაპიროზე, სოხუმთან ახლოს გადმოესხა მცირე რაზმებად.

საქართველოს მთავრობის თანხმობით მე იქ გაგზავნე მოიერიშეთა ბატალიონის მეთაური რამდენიმე ასეულით და დავაგალე, ხელთ ედოთ თურქი ჯარისკაცები, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, იარაღის გამოუყენებლად, განეიარაღებინათ და როგორც შეპყრობილი დეზერტიორები, უკანვე გაეგზავნათ ესადისთვის. ეს წმენდის აქცია სწრაფად და ინციდენტის გარეშე ჩატარდა“.

ამდენად, ზურაბ ავალიშვილისა და გენერალ კუსენშტაინის მემუარები ძვირფას წყარო როგორც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ოსმალეთის იმპერიას შორის 1918 წელს არსებული დაბაბული ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად, ასევე იმავე პერიოდში არსებული გერმანულ-ქართულ-ოსმალური დიპლომატიური სამკუთხედის გასანალიზებლად.

(დასასრული იქნება)

ნიკო აზვაბიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

თეთრი „გიორგანელის“ უცნობი ცარილები



სტუდენტური ორგანიზაცია „ფერია“ დროშით ხელში ნეტორ მაღალაშვილი, მარც ჩნივ ზის მახაკო წერუთხელი, ცენტრში ზის ლეო ქერქელიძე, მის გვერდით, უფრო ჩრდაში — გიორგი ქერქელიძე

გიორგი ქერქელიძის ეპისტოლების მიხედვით

„არის ორი ტიპი დიდი ადამიანებისა: ერთი არიან უმთავრესად მოქმედებისა, მეორენი — აზროვნებისა. პირველი დიდ როლს ასრულებენ თავის დროისთვის, მაგრამ მათ ფიზიკურ სიკვდილთან ერთად მათი როლიც თავდება.“

სულ სხვა მოაზროვნე, იდეოლოგი. მისი აზრები ავტორის სიკვდილის შემდგაც ისე აღელებებს, ამოძრავებს ხალხს, როგორც მისი სიცოცხლის დროს. განსაკუთრებით ეს ითქმის იდეოლოგზე, რომელიც ორ მხარეს — აზრსა და მოქმედებას ერთმანეთს უკავშირებს. ასეთია არჩილ ჯორჯაძე, რომლის პიროვნება და აზრი დღესაც უნათებს ჩვენს პარტიას და ქართველ საზოგადოებას“.

არჩილ ჯორჯაძის ირგვლივ თავი მოიყარეს შემოქმედებითმა და ესთეტურად მოაზროვნე ახალგაზრდებმა საქართველოს ყოველი კუთხიდან. მათ შორის იყვნენ მმები კერქელიძეები.

„ვმუშაობით „სოციალისტ-ფედერალისტების“ პარტიასთან — ლეოც, გიორ-

გიც და მეც (თუმცა პარტიის წევრები არ ვიყავით), რათგანაც მხოლოდ ამ პარტიას ეჭირა ეროვნული დროშა და ჩვენც იმედი გვქონდა, რომ რევოლუცია რუსეთის თვითმკურობელობას დამახობდა და საქართველოც თავისუფლებას მოიპოვებდა.

ლეო და გიორგი შვილები იყვნენ მათე კერქელიძისა, მის დროს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პატრიოტისა, და შვილებს მამის სახლითვან მოჰკონდათ მოვალეობა საშობლოსათვის ბრძოლისა, აღტყინიებული სიყვარული მისი“, — წერდა უკრნალ „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე მიხაკო წერუთხელი.

დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციის ცნობილი საქმის გამო 1906 წელს მმები ლეო და გიორგი კერქელიძეები, ასევე მათი დეიდაშვილი ნესტორ მაღალაშვილი მოსალოდნელი დაჟერის შიშით შვეიცარიაში გაიხიზნენ.

რუსეთის მთავრობამ მათ კვალს მალე მიაგნო და შვეიცარიის მთავრობისგან სისხლის სამართლის დამნაშავეთა გად-

მოცემა მოითხოვა. შვეიცარიის მთავრობამ ისინი დააპატიმრა, რომელთა საქმეს სასამართლოზე მიწვეულმა საერთაშორისო სამართლის ბელგიულმა მეცნიერმა ერქესტ ნისმა ამგვარი მსჯავრი დასდო: „რუსეთი მოტყუებით დადებული და დამტკიცებული 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევით გაბატონდა საქართველოში. მისი ბატონობა უკანონოა და წინააღმდეგომი საერთაშორისო სამართლისა. ამიტომ ყოველი მოქმედება ქართველთა ქვეყნის განთვისუფლებისთვის უკანონო უცხო ბატონობისგან პოლიტიკური აქტია, და დუშეთის საქმეც. კრუსელიძეებისა და მაღალაშვილის გადაცემა რუსეთისთვის ამიტომ უკანონო იქნებოდა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რადგანაც ისინი სისხლის სამართლის დამნაშავენი კი არ არიან, არამედ პატრიოტულ-რევოლუციონური აქტის ჩამდენი.“

საერთაშორისო სამართლის ძალით განთვისუფლებული შემძიმებელი ქრუსელიძეები უწევაში დამკიდრდნენ. უფროსმა შემაძლებელი ქრუსელიძემ უწევის უნივერსიტეტი დაამთავრა და მეცნიერ-იურისტი განდა, ხოლო გიორგი ქიმიის ფაკულტეტზე სწავლობდა. იგი უკვე ცოლშვილიანი იყო და მის მეუღლე თამარ ციციშვილს პირველი ვაჟი მათე საქართველოში, ხოლო მეორე ვაჟი ლეო (ლულუ) უწევაში შეეძინა.


შემებმა კრუსელიძეებმა უწევაში პეტრე სურგულაძესთან ერთად „სეპარატისტთა ჯგუფი“ დააპარსეს, რომლის უურნალი იყო „თავისუფალი საქართველო“. უურნალის რედაქტორი იყო პეტრე სურგულაძე, ხოლო თანამშრომლებად და ავტორებად ლეო და გიორგი კრუსელიძეები, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი და ნესტორ მაღალაშვილი. პაპიროსის ქაღალდზე დაბეჭდილი ყოველთვიური უურნალი 24- გვერდიანი იყო. სულ 1913-1914 წლებში უურნალის 4 ნომერი გამოვიდა.

ამ ჯგუფმა და მისმა უურნალმა მოაშადა ქართული აზრი მომავალ დიდ საქმეთა გასაგებად. „სეპარატისტთა ჯგუფი“, 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე „საქართველოს განმათვისუფლებელ კომიტეტად“ გადაკეთეს.

კომიტეტის წევრებთან ერთად გიორგი კრუსელიძე ხან სტამბოლში, ხან ლაზისტანში, ბოლოს ბერლინში მუშაობდა. 1916 წელს



გიორგი
კრუსელიძე



არჩილ
ჯორჯაძე



პეტრე
სურგულაძე



ლეო და გიორგი ჭრუსელიძეები

ლეო ჭრუსელიძის მშობლები მათუ ჭრუსელიძე და
მარიამ განჩავლი (ალექსანდრე როინაშვილის ფოტო)



ბერლინში „საქართველოს განმათავისუ-
ფლებელმა კომიტეტმა“ „ქართული გაზეთი“
დაარსა, რომელსაც 1917 წლის დეკემბრიდან
მის დაუკურვამდე, 1918 წლის სექტემბრამდე
რედაქტორობდა გიორგი კერუსელიძე.

1918-1919 წლებში გიორგი კერუსელიძე
მუშაობდა ბერლინში, დამოუკიდებელი სა-
ქართველოს საელჩოში. საქართველოს თავი-
სუფლებისა და დამოუკიდებლობის წლებში
იგი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა...

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების
შემდეგ, აქტიურ პარტიულ საქმიანობას ჩა-
მოშორებული გიორგი კერუსელიძე, გერმანი-
იდან საბოლოოდ საფრანგეთში დამკადრდა
და ფართო ლიტერატურული მოღვაწეობა
განაგრძო.

როგორც ემიგრანტი გახტანგ დამპაშიძე
1947 წლის 24 ივნისს შოტლანდიიდან გა-
მოგზანილ წერილში აღნიშნავდა: „...მაინც
რამდენი მასალა დაიღუპა ამ შეჩვენებული
ომის წყალობით: ლეო კერუსელიძის ნწერები
და წიგნები, გიორგი კერუსელიძის, ზურაბ
ავალიშვილის, რეზო გაბაშვილის და რამდენი
სხვა. აკაცი პაპავას წიგნთსაცავი მგრინი გა-
დარჩენილა, მაგრამ შეუძლია კი ვისმე მათი
სარგებლობა? — მეჰვება“.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, რო-
ცა „რეინის ფარდა“ ჩამოიხსნა, ქართულმა
პოლიტიკურმა ემიგრაციამ სამშობლოში
მიწერ-მწერა განახლა. 1956 წელს გიორგი
კერუსელიძე თბილისში მცხოვრებ დას, ელენე
გლურჯიძეს წერდა: „შენი ბოლო წერილი
ბერლინში, დაახლოებით, ამ 20-22 წლის უკან
მივიღე. დღეს 8 ამ თვის ბარათით უაღრესი
ბერნიერება მივიღე. შენ და შედა დავრჩით
ჩვენი დედმამიშვილებიდან. ლეომ, იასონმა
და გახტანგმა დაგვაობდეს.“

მომწერე ხოლმე ყველა ამბები. აკოცე
ყველას ჩვენებს და სთხოვე ხანდახან მაინც
ორიოდე სიტყვით გამომებაასონ. ჩვენი ია-
სონის შვილები რომ დიდად ლამაზნი იყვნენ,
ამას ხშირად მიამბობდა ხოლმე ლიზა ჩერ-
ქეზიშვილი. ერთი პირობა იასონის ბავშვების
ბერლინში ჩამოყვანას ვაპირებდი, ხოლო
ბევრმა ჩემგან დამოუკიდებელმა გარემოებამ
ხელი შემიშალა. ქხლა არა ვნანობ. საქართვე-
ლოს თავისი შვილები თვითონ სჭირიან და
მათ გაფანტუ დედამიწის ზურგის სხვადასხვა
კუთხებში დიდი ეროვნული დანაკლისია“.

ცრემლნაპკურებ პირველ წერილში სიტყ-

ვები ძლიერდა იკითხება. ამდენი ხნის მონატრებულ მმას სურდა, ყველაფერი გაეგო მისი ახლობლების შესახებ: „შენი 3 თებერვლის წერილი დიდი ხანია მივიღე და უღრმესი ბენიერებით წავიკითხე.“

მართალია, ბევრი სამწუხარო ცნობებია შიგ (ვახტანგ ქართველიშვილის, საშანათიშვილის, ვანო უთხელიშვილის, ტიტო გურამიშვილის, ნესტორ მაღალაშვილისა და კოხტას შესახებ), მაგრამ შენი სიტყვები კვლავ მიძრუნებენ ბავშვობისას განცდილ გრძნობებსა და სურათებს. რამდენი ტებილი და რამდენი მწარე მოგონებანი აღსდგებიან ხოლმე ჩემ თვალთა წინაშე და ჩემი გულის სიღრმეში. ხო, ჩემო ელენე, 13 აპრილს შესრულდება 51 წელი, რაც მე უცხოეთში დავხეხტები ქვეყნიდან ქვეყანაში. მაგრამ განა უკეთესთა უკეთესი ქვეყანა სამშობლოს აღილს დაიჭრს?!“

მწერ — თბილის ველარ იცნობო. და, განა, საერთოდ საქართველოს კიდევ ვიცნობ, ღმერთმა რომ მისი ნახევა მაღირსოს?! ფიზიკურად შეიძლება ესა თუ ის კუნჭული კიდევ მეცნობოს, მაგრამ მორალურად? ე.ი. ნათესავ-მეგობრები და საერთოდ მთელი ერი და მე, 51 წლის დამორჩების შემდგომ კიდევ ვიცნობთ ერთი-მეორეს?!


გაუიგე ლიზა თურმე კერუსელიძის ქუჩაზე ცხოვრობს. ალბად ივანე კერუსელიძის სახელმისამართის ქუჩა იქნება. გიგზავნი ერთ ჩემს სურათს 18 წლის უკან გადაღებულს. მას აქეთ დრომ თავისი მსვლელობა განაგრძო და კვალიც დიდი დასტოუ.

შენი ერთგული და მოსიყვარულე მმა გიორგი კერუსელიძე“.

მიუხედავად ნახევარ საუკუნეზე მეტის გასვლისა, გიორგი კერუსელიძე, როგორც ყველა ემიგრანტი, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ღრმა ფეხსევით იყო დაკავშირებული სამშობლოსთან, მის კოფასაც სდევდა დარდი და მონატრება: „მომაგონდება ხოლმე გორი, სადაც შენ, ლეო, ვახტანგი და მე დავიბადენით. მახსოვს ის სახლი, გორში, იქ სადაც ფშანი ლიახვა და ლიახვი მტკვარს ერთვიან. მაგონდება ხშირად ჩვენი აღმშრდელი აკვანი, გადახოხილი, დარიბი, ჭუჭყაინი ახრისი და ვერ აგიწერ, რამდენ პოეზიასა ვპოულობ თუნდაც შემდეგ სურათში: წყლის „ბოჭკა“, საღორესთან ახლოს, „ბოჭკის“, „კრანთან“ გობი, სადაც წინწკალ-წინწკალ



გიორგი კერუსელიძე (ზემოთ) და მისი წერილი საკუთარ დას, ელენეს (ქვემოთ)





ლეო ქრესელიძის მეთაურობით ბერლინში მოქმედი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“

წყალი გროვდებოდა, გადმოდიოდა და ქმნიდა პატარა წუმპეს, იხვისა და ბატის ჭუკების საბერძნიეროდ. მახსოვე დედა, ახალგაზრდა, ლამაზი, ტანადი, კოხტა, ეშჩით, მიშვიდველობით, საოცარი კეთილის ლიმილით დიდად დაჯილდოებული. მისი ლიტერატურული და პოლიტიკური „სალონი“.

სტუმრობა, სახლი მთაწმინდაზე — იმედები მომავლისა. მამა, ილიასა და აკაგის რომ აღფრთოვანებით გვიყითხავდა და გვავვარებდა. ყოველივე ეს და სხვა ბევრი რამ ღრმად და დიდის სილამაზით აღბეჭდილი არიან ჩემს გრძნობებში“.

გიორგი კერესელიძის წერილებში, სამშობლოსა და ახლობლების მონატრებასთან ერთად, საინტერესო ლიტერატურული პასაჟებიც არის წარმოდგენილი, რომლებიც ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნიან მის განსწავლულობასა და კრიტიკულ, ესთეტიკურ შეხედულებებზე: „ჩემთ ელენე,

ვამაყობდი და ვამაყობ შენით, და როდესაც წარმომიდგები ხოლმე, როდესაც შენ მომეჩენები, — ჩენი ღვთაებრივი ნიჭის გრიგოლ ორბელიანის ლექსა, რუსეთიდგან თავის დას ეფემიას რომ სწერდა გაიელვებს ჩემს გულში:

„....დაო სასურველ! ამა სოფელს
შენ დამშთი მხოლოდ...
მისთვის ვლოც ცასა, შავი დღენი
ჩემთვის შთომილნი
არ შეწყდნენ, ვიდრუ კვალად ჩემთა
თვალთ არ გიხილონ,
და მაშინ, ოდეს საუკუნოდ
მივლულო თვალნი
მშობლიურ მიწა ხელთა შენთა
გულს დამაყარონ...“

გრიგოლ ორბელიანი, ჩემთ ელენე, მე მიმაჩნია მსოფლიო პოეზიის ერთ ულამაზესს ნიჭითაგან: ქართული სიტყვის სრულმატრობელი, — დიდი ბატონი პოეზიისა, მუსიკა-

ლობისა, მხატვრობისა. მანეოვს, როდესაც მისი პოეზიისა და მამულიშვილობის დაუსებასა ვწერდი — გარკვეულად მესმოდა ძახილი ჩემი სამშობლოისა. თითქოს მიკი-ვოდა მისი ნიადაგი მორწყული მამა-პაპათა სისხლით, გაპოხიერებული მათი ძვლებით: „შენი გვამები მე მეტოვნის, ისევე როგორც შენი აზრი, შენი სული, შენი სიცოცხლე“. მრავალტანჯულ გრიგოლს (სულიერად) — შეილთა იმედიც ალარა ჰქონდა, — სასტიკად შეუტა თერგდალეულებს. თაობამაც ვეღარ იცნო უცხო სამოსელში გამოწყობილი პატრიოტი; შემინდა უებარი ვაჟაცი: „ვაკ თუ რაც წახდეს — ვეღარა ახსლგეს, — სასოწარკვეთილი მგოსანი ღრმად ამოიხრებს:

„დაგბერდი, ბედს ვერ მოვესწარ,
დაემხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უმედობა,
საფლავს ჩავდიგარ სიმწარით“.

და განუტვა სული თვისა.

მე გრიგოლზე ბედნიერი ვარ, რათგან ღრმადა მრწამს, რომ ჩვენი შვილის შვილი „ლამაზი და ვაჟაცი ახალგაზრდობა“ მოუკლის ჩვენს ქვეყანას და მომავალს შექმნის წარსულის ღირსად. აბა, სხვა ვინა ჰყავს პატრონად ჩვენს მშვენიერ ქვეყანას!“

ეურადებას იქცევს ილიას პიროვნებისა და მისი შემოქმედების მიმართ გიორგი კერუ-სელიძის დამოკიდებულება. იგი დას წერდა: „ცისკრის“ რამდენიმე წერილმა („ცისკარი“ №5, 1957) ილიას შესახებ დიდთ დამაინტერესა. ილია ჩემთვის ღვთაებრივი მოვლენაა. მან გადაგვირჩინა სიკვდილის პირზე მისული საქართველო. სამწუხაროდ, კიდევ მთელი სიღრმით ვერ ჩავწვდით მისი შემოქმედების უსაზღვრო განძს. ზოგიერთა ნაწერი, როგორც აქაური, ისე მანდაური ქართველებისა მცდარია, დარიბი. თუნდ მისი „განდეგილი“ ავიღოთ მაგალითად. აქამიმდე არ შემხვედრია არც ერთი ისეთი განხილვა, რომელსაც ესმოდეს, თუ რა რელიგიაურ-ფილოსოფიური აზრი სდევს ამ გენიოსურ ნაწარმოებში.

ესეთი ორიგინალური, წმინდა ილიასებრი განხილვა კოთილსა და ბოროტს შორის ბრძოლისა ვგონებ არავისა აქვს. არც Flaubert'ს, არც Zola'ს, არც ტოლსტოის, არც ლერმონტოვს, არც Anatol France'ს და არც სხვას“ (გუსტავ ფლობერი, ემილ ზოლა. — მ.მ.).

„წინასწარ კოცნით გიხდი მადლობას

ილიას საიუბილეო წიგნისთვის. ილიას ხსოვნა აქაც ვიღდესასწაულეთ. და განა შეძლება ქართველმა, ვინც ამ სახელის ღირსაია, ილია დაივიწყოს?“

* * *

საფრანგეთში დამკვიდრების შემდეგ გიორგი კერუსელიძე ფართო ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობაში ჩაება. მისი კრიტიკული წერილები ლიტერატურაზე ევროპაში გამომავალ უურნალ-გაზეთების გარდა, იძეჭდებოდა ამერიკაში დაარსებულ უურნალ „კრებულში“: „როცა ჩვენ გორიდან თბილისში გადავდიოდთ, მამაჩემის პატიჟ-საცემლად გორის პატრიოტულმა წრემ მის გარშემო გადააღებინა სურათი. მამა ზის შუაში. გარშემო: ზის მამას მარჯვნივ ნიკო ლომური; მარცხნივ პავლე ბურჯანაძე; უკან დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ) კონსტანტინე ცხვედაძე, სიმონ გოგლიჩიძე, ა. თოხაძე, ა. დავითშვილი, სურათის წინ წამწოლილიას. მგალობლიშვილი. ეს სურათი მოთავსებულია ჩრდილოეთ ამერიკაში დაბეჭდილ „კრებულში“ გრიგოლ (გიგო) დიასამიძის მოგონებებთან ჩართული. დიდი სიმპათიებით იხსენებს გიგო დიასამიძე მამას, ჩვენს ოჯახს, ისევე როგორც ლეოს და მე.“

გიგო დაასამიძე და მისი ასული ლოლა ჩრდილოეთ ამერიკაში არიან. ნიუ-იორკში ერთი ქართული უურნალი გამოდის. ამ უურნალმა წერილი მთხოვა. მივწოდე ვრცელი განხილვა გრიგოლ ორბელიანის პოეზიისა და მისი პატრიოტიზმისა. ამას წინათ მივიღე



გრიგოლ
(გიგო)
დაასამიძე



გენერალი ლეო კერუსელიძე, სამხედრო
და პოლიტიკური მოღვწე, ქრონიკულ-
განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი დიდერი



კადრი ფილმიდან „მაგდანას ლურჯა“ (1955 წ.),
რომელმაც ნიუ-იოჰორმა მყოფი გიორგი კერუსელიძე
აღტუკებაში მოიყვნა

ხუთი ცალი. ჩემი წერილი ცოტა დამახინჯებულია. ამავე ნომერში მოთავსებულია გიგო დიასამიდის მოგონება გორის ეპოქისა.

ამავე ნომერში მოთავსებულია გიგოს და ლოლას სურათი. გიგო 87 წლისაა, მაგრამ კარგად გამოიყურება.

ნიუ-იორქში ცხოვრების პერიოდში, ხანდაზმულობის მიუხედავად, გრიგოლ დიასამიძე არ წყვეტდა ლიტერატურულ საქმიანობას. მისი საყურადღებო წერილები და მოგონებები იძეჭდებოდა იქაურ ქართულ პრესაში — „ჩენი გზა“ და „კრებული“.

ასევე საყურადღებო გიორგი კერუსელიძის ეპისტოლები მთარგმნელობითი

მუშაობის რაობაზე: „ნუცუბიძის თარგმანის შესახებ რა გითხრა, ჩემო ელენე! იქნებ ყველა თარგმანებს სჯობდეს, მაგრამ ნუცუბიძე რუსთაველი არ არის და ლექსად შოთას თარგმნა შეუძლიან მხოლოდ გენიოსს პოეტს. ბალმონტსაცა აქვს თარგმნილი შოთას პოემა. ნუცუბიძისა უკეთესია, მაგრამ შოთას პოემას შორუულად თუ პავის.


დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ სამი თუ ოთხი უკეთესი თარგმანი რუსულად მაქვს წაკითხული, ამდენივე და მეტიც გერმანულად, ესევე ფრანგულად. ხოლო, დანტეს პოემის სიღრმეს და მშვენიერებას რომ ჩავწვდენოდი, იტალიური ენა საგანგებოდ ვისწავლე. ყველა ჩემს მიერ წაკითხულ თარგმანებს არ ძალუძღავთ ჩემთვის დანტე გერმანობინებინათ. და მთარგმნელებმა 30, 40 და 50 წელიწადი მოანდომეს ამ ძნელ საქმეს. ესევე გოვტე, ვირგილიუსი, მილტონის „დაკარგული სამოთხე“ და სხვა გენიოსური ქმნილებანი. ფრანგთა დიდმა მწერალმა შატობრიანმა თარგმნა „დაკარგული სამოთხე“ და ამბობს: ნახევარი ჩემი სიცოცხლისა ამ თარგმანს მოვანდომეო. თარგმნილია პროზით“.

შემდგომ წერილში გიორგი კერუსელიძე დის შეკითხვაზე პასუხობს: „მეკითხები თუ აქ დასდგეს „ვვგენი ონეგინი“ და თუ ვნახე დიდად აქებენ. არ ვიცი თუ დასდგეს. ორიოდე რუსული ფილმი ვნახე მე აქ. უნდა გითხრა, რომ ჩემშე დასტოვეს უხეირო შთაბეჭდილება. ნამდვილი ჩამორჩენილი პროვინციაა. ქართული ფილმებიც (ორიოდე) ვნახე და გული გამისკდა. რაღაც ნაცარ გადაყრილად მომეჩვნა — მტვრიანი, უნიჭე, უხეირო. ერთად ერთი ფილმი რომელმაც აღტაცებაში მომიყვანა, არის ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობიდან აღებული „ვირის ამბავი“. გამაოცა განსაკუთრებით ბავშვების ნიჭიერება თამაშმა. სხვა მსახიობებიც ნიჭიერნი არიან. კარგი ფილმი იმიტომაა რომ უბრალოა, უპრეტენზიო, გულწრფელი“.

ამ ეპისტოლები იგულისხმება თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის რეჟისორობით გადაღებული ფილმი „მაგდანას ლურჯა“, რომელმაც 1965 წელს კანის საერთაშორისო ფესტივალის პრიზი მოიპოვა.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

მარიამ გარებაშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი




„გაიცანით, ეს საქართველოა“


თბილისი.
რობერტ კაპა (1947)

ჯონ სტეინბეკისა
და რობერტ კაპას
თვალით დანახული
საქართველო
XX საუკუნის
40-იან წლებში


ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ცნობილი ამერიკული მწერლის, ჯონ სტეინბეკის მოგზაურობას საქართველოში. 1947 წელს, როცა მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო, მომავალი ნობელიანტი მწერალი საბჭოთა კავშირს ეწვია. მას თან ახლდა რობერტ კაპა, ფოტოგრაფი უნგრეთიდან — დოკუმენტური ფოტოგრაფიის კლასიკოსი, სამხედრო ფოტოურნალისტი-კის ფუძემდებელი და მსოფლიოში პირველი ფოტოსააგენტოს, „მაგნუმის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. მოგზაურებმა მოინახულეს მოსკოვი, კიევი, მაშინდელი სტალინგრადი, უკრაინის რამდენიმე სოფელი, აგრძელებული დღის, გორი და ბათუმი. მოგზაურობა, რომელიც არ ყოფილა განპირობებული მხოლოდ უცხო ქვეყნის დათვალიერების სურვილით, ორ თვეს გაგრძელდა. მისი შედეგი გახლდათ 1948 წელს სტეინბეკის მიერ გამოქვეყნებული ნაწარმოები. „რუსული დღიური“ — ასე უწო-

ჯონ სტეინბეკი (წინა პლანზე)
და რობერტ კაპა, 1947 წ.





თბილისი, რობერტ კაპას
ფოტოგრაფი (1947)



და მან წიგნს, რომელშიც თავისი შთაბეჭდი-ლებები ამერიკულ მკითხველს გაუზიარა და აქევ გვამცნო იმ დროსთვის საკმაოდ სარისკო და უჩვეულო გაძლიერების მიზანი.

ამერიკაში, მართალია, იმ დროს ბევრი იწერებოდა საბჭოთა კავშირზე, მაგრამ თითქმის არავინ არაფერი იცოდა ამ უზარმაზარ სახელმწიფოში შემავალი ერების, რიგითი მოქალაქეების ცხოვრების შესახებ. არც მათი ყოველდღიური ყოფის ამსახველი ფოტოები იძექდებოდა არსად. აქედან გამომდინარე, სტეინბეკსა და კაპას სურდათ, ამერიკელი საზოგადოებისთვის საბჭოთა კავშირი განსხვავებული მხრიდან ეჩვენებინათ, მიეწოდებინათ ინფორმაცია იქ მცხოვრებ ადამიანებზე — როგორ ჭამდნენ, რა ეცვათ, რით ერთობოდნენ, რაზე ლაპარაკობდნენ და სხვ. წიგნის შესავალ ნაწილში სტეინბეკი წერდა: „იყო რაღაც-რაღაცები რუსეთის შესახებ, რაზეც არავინ წერდა და რაც ჩვენ კველაზე მეტად გვაინტერესებდა. როგორც ეცვათ იქ? სადოლად რას ჭამდნენ? წვეულებებს თუ მართავდნენ და რით უმასპინძლდებოდნენ სტუმრებს? როგორი სექსი ჰქონდათ ან როგორ კვდებოდ-

ნენ? რაზე ლაპარაკობდნენ? თუ ცეკვავდნენ, მღეროდნენ და თამაშობდნენ? ბავშვები სკოლაში დადიოდნენ თუ არა? ვითიქრეთ, კარგი იქნებოდა, ეს ამბები გაგვერკვადა, ფოტოები გადაგველო და ამაზე დაგვეწერა“. ეს სიტყვები ნათლად წარმოაჩენს ამ მოგზაურობის მიზანს და რა თქმა უნდა, მწერლის ინტერესის საგანი საქართველოც იყო, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მასზე.

1947 წელს სტეინბეკი და კაპა ერთმანეთს ნიუ-იორკში შეხვდნენ, სადაც მწერალმა თავის ძველ მეგობარს ამცნო, რომ საბჭოთა კავშირში მოგზაურობას აპირებდა. ამ უზეულო იდეით აღფრთოვანებულმა ფოტოგრაფმა სტეინბეკის მეგზურობა შესთავაზა. „რუსული დღიურის“ შესავალ ნაწილში მწერალი მოგვითხრობს, როგორი გულმოღვანებით ეშადებოდნენ ისინი მოგზაურობის დასაწყიბად. იმავე 1947 წელს ისინი მოსკოვში ჩაფრინდნენ.

სტეინბეკის ნაწარმოების მე-7 და მე-8 თავები საქართველოში მოგზაურობას შევხება.

ჩვენს ქვეყანაზე საუბარს სტეინბეკი ასე იწევებს: „სადაც უნდა ვკოფილიყავით, მოსკოვში, კივში, უკრაინასა თუ სტალინგრადში, ყველგან გამუდმებით საქართველოს

ჯადოსნური სახელი ჩაგვესმოდა. ისინიც კი, ვინც არასდროს ყოფილა იქ და ვერც ვერასდროს ჩავლენ ალბათ, საქართველოზე მონუსხული აღტაცებით ლაპარაკობდნენ. ისინ ქართველებზე ისე ყვებოდნენ, როგორც სუპერმენებზე,.. თან ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს ეს კავკასიის მთებსა და შავ ზღვას შორის მოქცეული ქვეყანა მეორე სამოთხე იყოს“. ამ სიტყვებით, მწერალი არა მხოლოდ პიროვნულ სიმპათიას გამოხატავს საქართველოსადმი, არამედ საბჭოთა კუშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით მის ერთგვარ ჸპირატესობასაც და ეს ახრი რომ რეალურია, ამაში მოგვიანებითაც კიდევ რამდენჯერმე თავად დაგვარწმუნებს. „ეგ კი არა, ისიც გვგონია, — იუმორინარევი სერიოზულობით აგრძელებს იგი, — რომ ბევრს რუსს სჯერა, წესიერად, პატიოსნად თუ იცხოვრებს, სიკვდილის შემდგე საქართველოში მოხვდება“.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის საქართველო მართლაც სარგებლობდა პოპულარობით. აქ მცხოვრები ადამიანების ხასიათი, ნიჭიერება, კულტურული მიღწევები და ბუნებრივი გარემო იტაცებდათ სხვადასხვა ერების წარმომადგენლებს. ამის დადასტურებაა ამერიკელი მწერლის ზემოთ მოხმობილი სიტყვებიც.

საქართველოს ბუნებამ ჯერ კიდევ მაშინ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება მოგზაურებზე, როცა თვითმფრინავში ისხდნენ და ქართული მიწა ჯერ ახლოდან არ ენახათ. როგორც სტეინბეკი მოგვითხრობს, ისინი გაოგნებული იყვნენ კავკასიონის ხილვით, მთების ხედებმა გულში სითბო ჩაუდგარათ. მთელი მოგზაურობის განმავლობაში, სტეინბეკი პარალელებს ავლებდა საქართველოსა და ამერიკის ადგილებს შორის. მაგალითად, შავი ზღვის სანაპირო კალიფორნიის სანაპიროს შეადარა, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ შავი ზღვა ისეთი მშფოთვარე და ბოროტი არ არის, როგორც წენარი ოკეანე.

უცხო სალხების დახასიათებას სხადასხვა ეპოქის ისტორიკოსები, მოგზაურები და მწერლები უფრო ხშირად მათი გარეგნობის, ფიზიკური შესახედაობის აღწერით იწყებდნენ. ამ მხრივ არც სტეინბეკია გამონაკლისი, რომელიც ისტორიკოსის, მოგზაურისა და მწერლის ფუნქციებს შესანიშნავად ითავსებდა. აი, როგორ აცნობს ის ქართველებს საკუთარ მკითხველს: „ქართველებს სხვანაარი



მოსწოდები ტანცარებისგან (ზემოთ), გავეთილი სკოლაში (ქვემოთ). რობერტ კაპას ფოტოები (1947)



ბაზები ცეკვაზე. რობერტ კაპას ფოტო (1947)






მონაზონი ეკლესიაში. რობერტ კაპას ფოტო (1947)

კათოლიკოსი კალისტრატე
სიონის ტაძარში. რობერტ
კაპას ფოტო (1947)



მამადაჯიოთის ეკლესია. რობერტ კაპას ფოტო (1947)



30 | სამითონი ცეკვამცენტრი 2018

გარეუნობა აქვთ. შავგვრუმნები არიან, ბოშებს წააგვანან, ელვარე კბილები და გრძელი, ლამაზი ცხვირი აქვთ, თმა კი ტალღოვანი. თითქმის ყველა მამაკაცი ულვაშს ატარებს, ისინი გამხდრები და ენერგიულები არიან, შავი თვალები უციმციმებთ“. შემდგა კვლავ ქართველი ერისადმი რუსების სიმპათიებზე საუბარს განაგრძობს: „რუსი ხალხი აღტაცებული არიან მათით ყოველთვის მათ ძალასა და ენერგიაზე, მათ მოხერხებულობაზე ლაპარაკობენ, დიდებული კავალერები და კარგი მებრძოლები არიან. ქართველი მამაკაცები რუს ქალებს შორის დიდი მოწონებით სარგებლობენ. პოეტი ხალხა, კარგი მოცეკვავები და მომღერლები არიან, და როგორც ამბობენ, დიდებული საყვარლებიც. ასეც იქნება, ისეთ ბუნებაში ცხოვრობენ და ამ 2 ათასი წლის განმავლობაში იძღვნი ომი გადახდათ თავს“.

ამერიკელი მწერლისთვის, როგორც ჩანს, ცნობილი იყო საქართველოს სისხლიანი წარსულისა და ქართველი ერის ისტორიის შესახებ. ის მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ აცნობს ამერიკელებს ჩვენი ქვეყნის ისტორიის მთავარ შტრიხებს. თბილისხევ საუბრისას წერს: „აქა-იქ ძველისძველი ციხესიმაგრები გეხვდებოდა, და ქალაქშიც მთის თხემზე სასახლე დგას. ხეობის მეორე მხარესაც ციხესიმაგრე დგას, რადგან ეს ვიწრო ხეობა სამხრეთიდან სპარსელების, ირანელების, ერაყელების, ჩრდილოეთიდან კი თათრებისა და სხვა მძარცველთა გზად ქცეულიყო“. აღწერს რა სტეინბეკი თბილისის გეოგრაფიულ მდებარეობას, მისი ხეობა რატომძაც ნიუ-მექინიკოს ახსენებს, და ხაზს უსამს ქალაქის ისტორიულ სიძეელესაც: „მართლაც ძველისძველი ქალაქია, მაშინ როდესაც მოსკოვი წლეულს თავის მერვასე წლისთავს აღნიშნავს, გაისად თბილისი ათას ხუთასი წლის იუბილეს იზემებს“.

მწერალი საგანგებოდ საუბრობს აქ არ-სებულ ეკლესიებსა და საზოგადოდ, ქრისტიანულ რელიგიაზე, რომელსაც ყოველთვის მნიშვნელოვანი აღილი ეჭირა ქართველი ხალხის ცხოვრებაში: „ქალაქშიც და მთის თხემებზეც ძველი ეკლესიებია, საქართველოში ქრისტიანობა IV საუკუნეში შემოვიდა, და ის ეკლესიები, სადაც ახლაც მიმდინარეობს წირგა-ლოცვა, ჯერ კიდევ მაშინ აშენდა“. სხვა ადგილას კი იგი აღფრთვებით შენიშნავს, რომ აქ ქრისტიანული ტაძრები ჯერ

კიდევ მაშინ შენდებოდა, როცა ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში კერპთაყვანის-მცემლობა იყო გამეფებული. როგორც ჩანს, სტეინბეკისა და კაპაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მამადავითის „უბრალო და ლამაზმა“ ეკლესიამ მოახდინა. მათ დათვალიერების მთაწმინდის პანთეონიც. სტეინბეკის თქმით, ეს არის ის ადგილი, რომელიც „ქართველებს ძალიან უყვართ“.

მამადავითის ეკლესიიდან ჩამოსვლის შემდეგ, მოგზაურებს სიონის საკათედრო ტაძარიც უნახვთ, სადაც იმ დროს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე სამეუფო წირვას აღვლებოდა. აი, როგორ აღწერს ჯონ სტეინბეკი ამ ვითარებას: „წირვა-ლოცვას მოხუცი კაცი უძღვებოდა, ოუთომიანი, თაზე ოქროს მიტრა ედგა, და იმდენად ლამაზი იყო, ირეალური გეგონებოდა, იგი კათალიკოსი და საქართველოს ეკლესიის წინამდღოლია... დვინისმსახურება დიდებული იყო, და მუსიკოსების გუნდი წარმოუდგენლად გაღლობდა“. ვთიქრობ, აქ ნათლად ჩანს, როგორ მოიხიბლა ამერიკელი მწერალი საქართველოში არსებული მართლმადიდებლური ტრადიციით. და ეს ნამდვილად არ გახლავთ ერთადერთი შემთხვევა. არსებობს საქამაო ბევრი ფეტი, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ამერიკელებს ძალიან მოსწონთ ქართული ქრისტიანული კულტურა, განსაკუთრებით, საეკლესიო მუსიკა და ლიტერატურული მსახურება, რაც მათში განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევს.


სტეინბეკი საუბრობს თბილისში საუკუნეების განძავლობაში არსებული რელიგიურ ტოლერანტობის შესახებაც. ის წერს: „თბილისში ბევრი ეკლესია დგას, და უნდა იყოს კიდევ ასე, რადგან რელიგიური ტოლერანტობის ქალაქია, აქ ხომ ძველისძველი სინაგოგები და მუსლიმანური ტაძრები დგას, და არც ერთი მათგანი არასძროს არ დაუნგრევიათ“. საყურადღებოა ფრაზაც: „ეს ქალაქი (თბილისი) წარმოუდგენლად სუფთაა. პირველი სუფთა აღმოსავლური ქალაქია, რომელიც ოდესებე მინახავს“. მწერლის შეფასებით, ასეთ ქალაქში მოქალაქეებიც შესაბამისად ცხოვრობნ, ისინი ამაღლებული განწყობითა და ჩატმულობით უკეთესად გამოიყურებიან საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან შედარებით. სტეინბეკი თამამი გულახდილობით აღნიშნავს: „ქართველი ხალხი, სხვა ხალხებთან შედარებით უფრო



აკაკის საფლავი (ზემო), თბილისელები (ქვემო). რობერტ კაპას ფოტოები (1947)




თბილისის ბაზარში. რობერტ კაპას ფოტო (1947)





შეხვედრა მწერლთა კუშირში. რობერტ კაპას ფოტოზე (1947)



ქართველი
ინტელიგენცია
სტუმრებს
სუფრას სახაც
შეხვდა. რობერტ
კაპას ფოტოზე
(1947)



ლალი ჩანდა, უფრო ფიცხები და უფრო მხიარულები. და იქნებ სწორედ ამიტომ ეთაყვანებიან მათ რუსები. იქნებ სწორედ ასეთები უნდათ რომ იყვნენ“.

ლოგიკურია, როცა უცხო ეროვნების ადამიანი შენს ქვეყნაში ჩამოდის, კველანიარად ცდილობ აჩვენო ის, რაც ძალიან გიყვარს და რითაც შენი ხალხი ამაყობს. გამონაკლისს არც სტეინბეკისა და კაპას ქართველი მასპინძლები წარმოადგენდნენ, რომელთაც ეკლესიებისა და მუზეუმების დათვალიერების შემდეგ, სტუმრების ყურადღება საფეხბურთო მატჩზე, თბილისისა და კივის გუნდების შეხვედრაზე გადაიტანეს. ამ საკითხთან დაკავშირებით სტეინბეკი წერდა, რომ საქართველოში და საერთოდ მოულ საბჭოთა კავშირში, ფქტურთი ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობა იყო, ისევე როგორც ჭადრაკი, ოუმცა, მისი დაკავირვებით, პირველ ადგილას მაინც ფეხბურთი იდგა. აღსანიშვნაია, რომ გორში სტალინის მუზეუმის სანახავად ჩასული ამერიკელი მოგზაურები დაესწრნენ ქართულ ჭიდაობაში ნაციონალური შეჯიბრების ფინანსურ შეხვედრასაც და ამ კუთხითაც გაეცნენ ქართველების სპორტულ შესაძლებლობებსა და მებრძოლ ხასიათს.

მეტად საინტერესო გახლდათ, აგრძელვე, ქართველ მწერლებთნ შეხვედრა, რომელზეც საკმაოდ ბეჭრს საუბრობს სტეინბეკი. მისი თქმით, ქართველებს თავიანთი ლიტერატურით დაიდ წვლილი შეაქვთ მსოფლიო კულტურის საგანძურში, და ამ ფაქტის იდეალურ დადასტურებად შოთა რუსთაველის „ვეფხისტეოსანს“ მიიჩნევს.

თბილისისა და გორის შემდეგ, სტეინბეკი და კაპა წევიჟნენ დასავლეთ საქართველოსაც, კერძოდ კი ბათუმს. „დილით ძალიან ადრე გავიღვიძეთ და აღმოგვინეთ, რომ სრულიად სხავანაირ მიწაზე, სულ სხვანაირ მხარეში ამოგვეყო თავი“, — მოგვითხოვთ ის, სადაც მათზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ჩაის დიდაც და ლამაზმა პლანტაციებმა მოახდინეს.

ქართული სამზარეულო და ქართული სტუმართმოყვარეობა რომ უეჭველად მონუსხვდათ უცხოელ მოგზაურებს, ამაში, ვფიქრობ, მოულოდნელი არაფერია. ისინი კარგად გაეცნენ აქაური სუფრის ტრადიციას, „თამადის“ ფეხომქნეს, ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს, რომლებითაც მოხიბლული სტეინბეკი წერდა, ეს საოცარი ქართველები

ყველაფრით გვჯობიან, ყველაფერი გამოსდით, რასაც ხელს მოჰკიდებენო.

თუმცა, ეს ყოველივე სულაც არ ნიშნავს, რომ ამერიკიდან ჩამოსულ სტუმრებს საქართველოში ყველაფერი მოქმინათ. ეს შეუძლებელია, მაგრამ მათ მიერ დაწუნებულ ფაქტთა სია მეტად და მეტად მცირეა...

მოული მოგზაურობის განმავლობაში რობერტ კაპა „შეირაღებული“ იყო ფოტოაპარატით და ყველაფერს აღბეჭდავდა მისი მეშვეობით. კაპამ გადაიღო უნიკალური კადრები თბილისში, გორსა და ბათუშში. დღესდღობით, ქართველი ფოტოგრაფები ცდილობენ ამოიცნონ რომანტიკოს ფოტოგრაფის შემოქმედების საიდუმლო, რაც განაპირობებდა მისი ფოტოების სიდიადესა და გენიალურობას. ერთხელ კაპას ერთ-ერთი ამერიკული შურალის რედაქტორმა პკითხა, რა იყო მისი ოსტატობის საიდუმლო. მან უპასუხა — მთავრია, მოგწონდეს ხალხი და ეს აგრძნობინოო. აშკარა იყო, რომ ქართველი ხალხი რობერტ კაპას ძალიან მოქწონა, უფრო მნიშვნელოვანი კი ის იყო, როგორ დიდებულად გააცნეს მან და სტეინბეკმა საქართველო ამერიკულებს.

აღსანიშნავია, რომ ამერიკული მწერალი ზუსტად 20 წლის შემდეგ საქართველოში კვლავ ჩამოვიდა და თქვა, ეს ქვეყანა ისეთვე მიმზიდველია, როგორც პირველი მოგზაურობის დროს. ამჯერად მის მოგზაურობას პოლიტიკური დატვირთვაც პქონდა, როგორც თავად სტეინბეკი წერს, იგი ამ ვიზიტით ჯონ კენედის თხოვნას ასრულებდა. არსებობს ცნობები, რომ იმ პერიოდში მწერალი ჩართული იყო ეროვნულ პოლიტიკაში, ამასვე ადასტურებს მისი მეგობრობა ლინდონ ჯონსონთან (აშშ პრეზიდენტი 1963-1969 წლებში).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯონ სტეინბეკისა და რობერტ კაპას საქართველოში მოგზაურობა გამორჩეული მოვლენაა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორიაში. ამ ორმა უნიჭიერესმა პირვენებამ შესანიშნავად გადაჭრა დასახული ამოცანა — ამერიკელი მკითხველისთვის საბჭოთა კავშირისა და მათ შორის, საქართველოს სრულიად სხვა, არაპოლიტიკური კუთხით გაცნობა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი იყო იმ პერიოდში როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ისე ამერიკელი საზოგადოებისთვის და დღესაც აქტუალობას არ კარგავს.

გიორგი მაჩარაშვილი



▲
თბილისისა
და იუვის
გუნდების
მატჩი



▼
ტრიბუნებზე
მატჩის
დროს



◀
მუსიკოსთა
დასტაცია.
რობერტ
კაპას
ფოტოები
(1947)



უნიკალი

2018 წლის სეპტემბრის ნოველით




პირველი ბვარიეტეტი შანქისჭები

1992 წლის აგვისტოში ახალციხეში რუსული მოტომსროლელი დივიზიიდან მიღებული ტანკებით დაიწყო ეროვნული არმიის ჯავშანსატანკო ნაწილების ჩამოყალიბება და მას შემდეგ 10 აგვისტო ქართველი ტანკისტების დღედ ითვლება. ახალციხემდე ბევრად ადრე ეროვნულ გვარდიას, როგორც მაშინდელ დამოუკიდებელ სამხედრო ფორმირებას, სატანკო ბატალიონი უკვე ჰყავდა.

1991 წლის 2 სექტემბერს თბილისში კინოს სახლთან ოპოზიციის მიტინგის დარბევა ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის გამწვავების მიზეზად იქცა. საქართველოს დედაქალაქი ხელისუფლების სანინაალმდევონ გამოსვლებმა და მიტინგებმა მოიცვა. 12 სექტემბერს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ხელი მოაწერა განკარგულებას შინაგანი ჯარების შექმნაზე, ხოლო 25 სექტემბრიდან თბილისში საგანგებო წესები ამოქმედდა. 26 სექტემბრიდან რუსთაველის პროსპექტზე ახალშექმნილი შინაგანი ჯარის მცირერიცხოვანი დანაყოფები ტანკებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით განლაგდნენ.

1991 წლის 21 დეკემბერს სამაჩაბლოდან ჩამოსულმა ეროვნული გვარდიის მცირერიცხოვანმა დანაყოფებმა თბილისში რუსთაველის პროსპექტზე იმელის შენობა დაიკავეს. გვარდიელთა განკარგულებაში ორი БРДМ-2, ერთი БТР-70, რამდენიმე სატვირთო და „უაზ“-ის მარკის ავტომობილი იყო. გვარდიელებს მოხალისედ შეუერთდა ჯგუფი „ქონდაქარი“, რომელიც 50-მდე კაცს აერთიანებდა, ჰქონდა თავისი ფორმა და მისი წევრები პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულნი...





სამხედრო წვრთნები პანჯიშის ხელმისამართი (2002 წ.)

როგორ მზადდებოდა 2008 წლის აბრისტოს ომი

XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეული რუსეთსა და საქართველოს შორის საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ვითარების გამწვავებით ხასიათდებოდა. ეს ტენდენცია უფრო მეტად საგრძნობი გახდა ვლადადიმირ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 1999 წლიდან. 2008 წლის ოქტემბერისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ამ ომის მიზნები საბრძოლო მოქმედებებამდე რამდენიმე თვით ან თენდეც წლით ადრე კი არ არის საბიექტო, არამედ დაკავშირებულია მოულენების ერთობლიობასთან, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში 1999 წლიდან განვითარდა.

1990-იანი წლების დასასრულს და 2000-იანი წლების დასწყისში საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე ოთხი რუსული სამხედრო ბაზა, რომელიც 1995 წლის შეთანხმების საფუძველზე ოფიციალურად იყო განვითარებული საქართველოს ტერიტორიაზე.

სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის საკითხი მწვავედ დაისახ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის სამიტზე, როცა რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე, გუდაუთისა და გზაჩანის სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიიდან უნდა გასულიყო 2001 წლის 1-ელ თვლისამდე. ამ ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციას შეეძლო რეალურად შეემცირებინა საკუთარი სამხედრო წარმომა-

დგენლობა საქართველოში და ამით ერთგვარი საფუძველი შეემზადებინა აფხაზეთისა და ციხინვალის რეგიონის კინფლიქტების შშვილინი გზით მოგარებისთვის, თუმცა ეს კრუმლის მიზნებში არ შედიოდა.

2000 წლის 9 ნოემბერს მოსკოვმა სავიზო რეჟიმი შემოიღო საქართველოსთან. ქართული მხარის გამოთქმულ უკმაყოფილებას ამ საკითხთან დაკავშირებით მოჰყვა კრუმლის მიერ დსთ-ის წესდების იმ ნაწილის გაუქმება, რომელიც თანამეგობრობის წევრი ქვეყნებისთვის თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობას იძლეოდა (წესდების მე-2 და მე-19 მუხლების ნაწილები).

ერთი წლის შემდეგ, 2001 წლის 8 აპრილს, მიიღეს ე.წ. „სამხედრო ოსეთის კინსტიტუცია“. დეკემბერში ციხინვალის რეგიონში მორიგი „საპრეზიდენტო არჩვნები“ გაიმართა, რომელშიც

გამარჯვება მოიპოვა ედუარდ კოკითიმ, ბიზნესმენმა და პროფესიონალმა მოჭიდავემ. ცხადი გახდა, რომ წინამორბედი დე-ფაქტო პრეზიდენტის, ლუდვიგ ჩიბიროვისა და შევარდნაძის ფორმატი, რომლის დასკვნით ნაწილს 2000 წლის 13 ფლისს პარაფირებული ე.წ. ბადენის დოკუმენტი წარმოადგენდა, მოუღებელი იყო კრემლისთვის.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი ნაუ-იორგში კრემლისთვის საქართველოშე თავდასხმის კიდევ ერთი მიზეზი აღმოჩნდა. მანკეტენის ტრაგედიიდან ერთი წლის თავზე პუტინმა საქართველო ტერორისტული საფრთხის მატარებელ ქვეყნად გამოაცხადა. 2002 წლის 6 აგვისტოს კრემლმა დაბომბა პანკისის ხეობა. ამ აბების შემდეგ, 22 ნოემბერს, ედუარდ შევარდნაძემ ნატოს პრაღის სამიტზე სიტყვით გამოსვლისას, პირველად გამოთქვა საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების სურვილი.

2002 წლის მაისში, რუსეთში მიიღეს ახალი კანონი რუსეთის მოქალაქეობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების ე.წ. გამარტივებულ წესს ხალხთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის. ეს რეგულაციები მოცემული იყო კანონის მექესე მუხლში, რომლის მიზდვითაც გამარტივებული წესით რუსეთის მოქალაქეობა მიენიჭებოდათ იმ პირებს, რომლებიც „ფლობდნენ სსრ კავშირის მოქალაქეობას, მოსახლეობენ და მოსახლეობდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების ტერიტორიაზე, არ მიუღიათ არამარტივ სახელმწიფოთა მოქალაქეობა და შედეგად, დარჩნენ მოქალაქეობის გარეშე“.

ეუთოს სტამბულის სამიტზე (1999 წ.)



ეს იყო საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის რუსული მოქალაქეობის მასობრივი მინიჭების პროცესის დასაწყისი, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა კანონის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. სწორედ ამ რუსულმა კანონმა საქართველოში 2008 წლის ინტერვენციისას, რუსეთისთვის ერთგვარი „არგუმენტის“ როლი შეასრულა, რის მიხდვითაც კრემლი „საკუთარ მოქალაქეებს იცავდა“.

კონომიკურ საკითხებში პუტინის კოფილი მრჩევლის, ანდრეი ილარიონოვის ცნობით, 2003 წლის ობერგალში რუსულმა მხარემ თორმეტი T-55 ტიპის ტანკი გადასცა ოს სეპარატისტებს. ეს პროცესი 2003-2004 წლებშიც გაგრძელდა. 2004 წლის მაისსა და ივნისში კრემლის მიერ ცხინვალის რუგიონში გაიგზავნა 75 ერთული T-72 ტიპის საბრძოლო ტანკი, უზარმაზარი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა.

ამასთან ერთად, საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ბაზების გაყვანის ნაცვლად, ამ პერიოდში რუსულმა მხარემ დაიწყო ახალი სამხედრო ბაზების მშენებლობა ჯავის რეგიონში და ოჩამჩირის სამხედრო ბაზის მოდერნიზება აფხაზეთში. რუსი ურნალისტის, იულია ლატინინასა და ანდრეი ილარიონვის ინფორმაციით, მოსკოვი კიდევ ერთ ბაზას აშენებდა დაღესტნის ბოთლიხის რეგიონში, საიდანაც 2008 წლის სამხედრო ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდნენ.

ზემოაღნიშნულ პროცეგაციებს საქართველოში რუსული მხარე ახორციელებდა 2003-2004 წლების გარდამავალ პერიოდში,



მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმირ პუტინის შეხვედრა გაზანში (2005 წ.)

როცა საქართველოს ხელისუფლება გამოიცვალა და მთავრობაში ახალი გუნდი მოვიდა მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით. თუკი მანამდე შევარღნაძემ ლიად გამოხატა ნატოში ინტეგრაციის სურვილი, ახალი ხელისუფლების მთავარი მიზანი ამ სურვილის რეალობად ქცევა იყო, რისთვისაც სხვადასხვა მიმართულებით რეფორმები დაიწყო. ამგვარი პოლიტიკა, რა თქმა უნდა, შორს იყო კრემლის რეალური მიზნებისგან, რომელიც მირითადად საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკური სივრცის მაქსიმალურ კონტროლზე იყო ფოკუსირებული.

მკეთრად დასავლური საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად, საქართველოს ახალი მთავრობისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს რუსეთთან დიალოგი წარმოადგენდა. ამის ნათელი ილუსტრაცია იყო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პირველი ოფიციალური ვიზიტი მოსკოვში 2004 წლის 11 თებერვლს. ქართულმა მხარემ რუსეთთან დიალოგის სურვილი გამოხატა, თუმცა პასუხად იმავე წლის ივლისის დასაწყისში მიიღო დიდი რაოდნობით ახალი რუსული ტექნიკა ცხინვალის რუსინში.

8 ივლისს, ქართულმა მხარემ რეგიონში რუსული სამხედრო ტექნიკით დატვირთული ცხრა სატვირთო მანქანა დააკავა. მომდევნო დღეს, რუსულმა მხარემ 50 ქართველი მშვიდობისმყოფელი განაიარადა და ცხინვალის ცენტრში დააჩიქა. რუსებმა ეს სცენა გადაიღეს და წამყვან რუსულ საინფორმაციო

გადაცემებში აჩვენეს. იმავე დამით, ქართველთა მიერ კონტროლირებული სოფლების, თამარაშენისა და ქურთის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს.

რუსეთის ამგვარი აგრესიული პოლიტიკის მიუხედავად, 2004 წელს მოსკოვსა და თბილისს შორის პირდაპირი სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილება მოხერხდა ქართული მხარის ზომიერი დიპლომატიური პოზიციის საშუალებით. 2004 წლის 5 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ უვანია სოჭში ედუარდ კოკიონის შეხვედრას ესწრებოდა რუსული მხარე და ეუთო. შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმებით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარების შშვიდობიანად დარეგულირების აუცილებლობას. ამასთან ერთად, დადგინდა, რომ მომავალში სამხედრო ნაწილებისა თუ ტვირთის გადაადგილება კინფლიქტის ზონაში მხოლოდ და მხოლოდ შერეული საკონტროლო კომისიის ეველა მხარესთან შეთანხმებითა და მათი დასტურით უნდა მომხდარიყო.

2005 წლის 26 იანვარს, სტრასბურგში, ეკონომის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ცხინვალის რეგიონთან დაკაშირებით ახალი სამშვიდობო გეგმის ინიციატივა წამოაყენა. გეგმის მიხედვით, ცხინვალის რეგიონს უნდა მინიჭიებოდა აუტონომიური სტატუსი საკუთარი თვითმმართველობის ორგანოების არჩევის უფლებით, რომელიც, თავის მხრივ,

ითვალისწინებდა პარლამენტისა და აღმასრულებელი ორგანოს შექმნას. ავტონომიური რეგიონის პარლამენტის კომიტეტისაში უნდა შესულიყო საგანმანათლებლო, კულტურული, ეკონომიკური, საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტა. ამასთან ერთად, ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას უნდა პქონოდა ხმის უფლება ეროვნულ სამთავრობო სტრუქტურებში, რის კონსტიტუციურ გარანტისაც თავად ეს გვემა წარმოადგენდა. სამწესაროდ, ოსმა სეპარატისტებმა, საკუთარ „დამოუკიდებლობაზე“ აპელირებით, უარყვეს ეს გვემა და მას „ყოვლად მიუღებელი, მორიგი პროპაგანდისტული ნაბიჯი“ უწოდეს.

ქართული მხარის ამ სამშვიდობო ინიციატივას მხარი დაუჭირა ეუთოს ლიუბლიანის მინისტერიალმა 2005 წლის 6 დეკემბერს. მინისტერიალის შეფასებით, ქართული გეგმა, შესაბამისი მხარდაჭერის შემთხვევში, ნამდვილად იძლეოდა კონფლიქტის შვიდობიანი დარღვეულირების გარანტიას.

2005 წლის 30 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა და მისმა რუსმა კოლეგამ სერგეი

ლავროვმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას რუსული სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვნის გაღის შესახებ. დოკუმენტის მიხედვით, მოსკოვის სამხედრო ნაწილებს საქართველო 2008 წლის ბოლოსთვის უნდა დაეტოვებინათ.

ეს პირობები კიდევ ერთხელ დადასტურდა ქართულ და რუსულ მხარეებს შორის 2006 წლის 31 მარტს სოჭში გაფორმებული შეთანხმებით საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ბაზების გაყვანის შესახებ. შეთანხმების მე-11 მუხლის მიხედვით, რუსეთს არ უნდა მიეწოდებინა სამხედრო შეიარაღება ამ ბაზებისთვის. აღნიშნული შეთანხმებების მიუხედავად, 2006 წლის მაისისთვის, მოსკოვმა ჯავასთან ახალი სამხედრო ბაზის მშენებლობა დაიწყო.

პარალელურად, რუსულ პრესაში აქტიურად იძეჭდებოდა ინფორმაცია ქართული მხარის სამხედრო ნაწილების შიდა საშარულოს შესახებ, რაც კრემლის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე აქტიურ ჯაშუშურ საქმიანობაზე მიუთითებდა. მაგალითისთვის, „ნებავისიმაია გაზეტას“ 2006 წლის 1-ლი მარტის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში

► დაკავება რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით (2006 წ.)

▼ ქართველების დეპორტაცია რუსეთიდან (2006 წ.)





კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისთვის რუსეთმა დასჯლეთზე შურისძიება განიზრახა და დასასჯლად საქართველო შეარჩია

საუბარი იყო ქართული მხარის მიერ ცხინვალის რეგიონის წინააღმდეგ მომზადებულ სამხედრო გეგმაზე, სახელწოდებით „ვეფხვის ნახტომი“. რუსელი ნარატივის მიხედვით, ქართული მხარის ქმედებები დიდწილად განპირობებული იყო აშშ-ის მიერ საქართველოს წაქეზებით. ეს თვალსაზრისი საკმაოდ მკაფიოდ გამოხატეს რუსმა ავტორებმა მიხაილ ლეონტიევმა და დმიტრი გუგოვმა წიგნში: „დამოუკიდებელი საქართველო — ბანდიტი ვეფხვის ტყავში“, სადაც 2008 წლის ოშე საუბრისას ავტორები პირდაპირ აღნიშნავენ, რომ ამერიკელებმა თავიანთი ძალი მიუშვეს რუსეთის წინააღმდეგ.

ესკალაციის ახალი ფაზა 2006 წლის 27 სექტემბერს დაიწყო, როცა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა განო მერაბიშვილმა განაცხადა რუსელი სპეცსამსახურების ჯაშუშური ქსელის აღმოჩენის შესახებ. სპეცოპერაციის შედეგად დაკავეს რუსელი სპეცსამსახურების თანამშრომლობაში ეჭვმიტანილი რუსეთის ოთხი და საქართველოს თერომეტი მოქალაქე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ვიდეო- და აუდიოჩანაწერები, რომლებშიც საქართველოს ხეთი მოქალაქე რუსელ სამსახურებთან კავშირს აღიარებდა.

პასუხად მოსკოვმა გაეროს უშიშროების საბჭოს შეკრუბა მოითხოვა, რუსეთის საელჩომ თბილისში შეწყვიტა ვიზების გაცემა საქართველოს მოქალაქეებისთვის და ელჩი ვიაჩესლავ კოვალენ्कოც გამოიწვია თბილისიდან. რუსეთის განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტრომ საქართველოში გამოგზავნა თვითმფრინავები, რომელთაც საქართველოში მცხოვრები რუსი დიპლომატების ოჯახების „ვაკუაცია“ ვაღლებოდათ. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა ქართული მხარის საქციელი „სახელმწიფო ბანდიტიზმად“ შერაცხა. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთ სამინისტრომ რუსეთის მოსახლეობას მოუწოდა, საქართველოში ჩასვლისგან თავი შეეკავებინათ. რუსეთის ტერიტორიაზე ლეგალურად მცხოვრებ ქართველებს შეუტერდათ ვიზები. ანდრეუ ილარიონოვის ინფორმაციით, რუსეთის სახელმწიფო დუმაშ სპეციალური „საქართველოს დეპარტამენტი“ შექმნა.

როგორც ეხედავთ, მოსკოვის რეაქცია საქართველოს ჩატარებულ სპეციალურაციაზე შორს იყო აღეკვატურისგან. ამის მიზეზად შესაძლებელია დავასახლოთ ორი მთავარი ფაქტორი: 1) რუსეთი არ იყო ჩვეული საქართველოსგან მსგავს მოქმედებებს, ამიტომაც

კრემლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს „დასჯა“ სპეციალურაციის გამო; 2) მოსკოვის მთავარი სტრატეგიული მიზანი იყო საქართველოს საშინაო პოლიტიკური სივრცის კონტროლი. სწორედ ამ მიზნით მიმართა კრემლმა საქართველოს წინააღმდეგ ზემოაღნიშნულ ნაკლებად აღეყვატურ ქმედებებს. საქართველოს დასჯასთან ერთად, რუსეთს იმის დემონსტრირებაც უნდა მოქმედინა, თუ რამდენად „სასიცოცხლოდ“ იყო საქართველო მოსკოვზე დამოკიდებული. საბოლოოდ ეს ყველაფერი, ბუნებრივია, ერთადერთ მიზანს — საქართველოს საკუთარი პოლიტიკური თვალსაწიერიდან და გაულენიდან არგვშებას ემსახურებოდა. ამგარად, მოსკოვის ქმედებების მიხედვით, საქართველოს უნდა „ეზღო“ იმისთვის, რომ საკუთარ ტერიტორიაზე რუსული ჯაშუშური ქსელის საქმიანობა აღკვეთა.

2007 წლის მაისში საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთი გეგმა შემუშავა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის დასრულებულირებლად. ქართულმა მხარემ შექმნა „სამხრეთ ოსეთის დროებითი აღმინისტრაცია“, რომელსაც ხელმძღვანელობდა „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი „თავდაცვის მინისტრი“ დამიტრი სანაკოვენი. საქართველოს ხელისუფლების ეს მოქმედება წინააღმდეგობრივად აღიქვა ქართველმა საზოგადოებამ, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია, რომ ამ ნაბიჯებით საქართველოს ხელისუფლება არ არღვევდა არც ერთ შიდა ან საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმას.

საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსული ბაზების დემონტაჟი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე, 2007 წლის მეორე ნახევრისთვის დასრულდა. წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, მოსკოვის ამგვარმა ნაბიჯმა საქართველოში ერთგარი გაკირვება გამოიწვია. ჯერ კიდევ 2007 წლის თებერვალში, მიუნხენის კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი ასრულებდა საკუთარ სიტყვას და საქართველოდან ბაზები დაჩქარებულ რეჟიმში გაპყავდა.

თუმცა, როგორც ანდრეი ილარიონოვი აღნიშნავს, ეს ნაბიჯი კრემლმა მხოლოდ იმიტომ გადადგა, რომ საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში თავიდან აეცილებინა ქართული მხარის მიერ საქართველოს სხვადასხვა ნაწილში განლაგებული ბაზები-

დან რუსი სამხედროების ტყვედ ჩაგდების შესაძლებლობა. ილარიონოვის აღნიშნული შეტელულება ფარდას ხდის რუსულ საომარ გეგმას საქართველოს წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ, იყო, რომ იმავე ავტორის თქმით, „რუსეთის მმართველმა წრეებმა 11 წელიწადზე გათვლილი ამოცანა მხოლოდ და მხოლოდ ხუთ თვეში განახორციელეს“.

2008 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ვითარება უფრო და უფრო მძიმდებოდა. სამშვიდობო გეგმების უარყოფისა და მოსკოვის მხრიდან პროგრაციული ქმედებების ფონზე, ოფიციალურ თბილისს საკარისი საფუძველი პქონდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებითვის. საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი \$560 მილიონიდან \$875 მილიონამდე გაიზარდა. 2008 წლის იანვარში საქართველოში გაიმართა პლებისცატი ქვეყნის ნატოში გაწვერების თაობაზე, რომელშიც საქართველოს მოსახლეობის 77%-მა დადგებითი პოზიცია გამოხატა.

ზედმეტია საუბარი, რომ ქართული მხარის ეს ქმედებები კრემლის გადიზიანებას იწვევდა. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ახლოვდებოდა 2008 წლის 2-4 აპრილს დაგვამილი ნატოს ბუქარესტის სამიტი, რომელზეც საქართველოსა და უკრაინისთვის ე.წ. სამოქმედო გვერდის (Membership Action Plan — MAP) მინიჭების საკითხი უნდა განხილულიყო.

აღსანიშნავია, რომ კრემლის უკამაყოფილება ქართული მხარის პოლიტიკის მიმართ

დამიტრი სანაკოვი, 2007 წელს შექმნილი „სამხრეთ ოსეთის დროებითი აღმინისტრაციას“ ხელმძღვანელი





ბომბორა — რუსეთის სამხედრო ბაზა გუდაუთასთან

საქამიანდ მკაფიოდ აისახებოდა რუსული ბუნებრივი აირის საქართველოში გასაყიდ ფასებზე, რომელთა დინამიკა 2005-2009 წლებში ასე გამოიყერებოდა: \$60 — 2005, \$110 — 2006, \$235 — 2007, \$280 — 2008, \$350 — 2009.

2008 წლის დასაწყისში, მოსკოვში საქართველოსთან ომის გამა უკვე დამტკიცებული იყო. როგორც თავდა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, ეს გვერდი საიდუმლოს არ წარმოადგენდა და მან იგი პირადად მოიწონა 2006-2007 წლების მიზნაზე. მოცემული გვერდის აქტუალურობა უკვე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე და იმ გეოპოლიტიკურ კონტექსტზე იყო დამკიდებული, რომელიც კავკასიის რეგიონის გარშემო იქმნებოდა 2008 წელს. ამ კუთხით, ორ მოვლენას პქნედა მთავრი მნიშვნელობა საერთაშორისო პოლიტიკური მასშტაბით პირველი — კოსოვოს დამოუკიდებლობის დღიარება 2008 წლის 17 თებერვალს და მეორე — ნატოს ბუქარესტის სამიტი 2008 წლის 2-4 აპრილს.

კოსოვოს ფაქტორს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისიდან. 2007 წლის თებერვალში თავის „მიუწენის სიტყვაში“ (გამოსვლაში მიუწენის ყოველწლიურ უსაფრთხოების კონფერენციაზე) ვლადიმირ

პუტინმა ერთგვარად ამხილა დასავლეთის ქვეყნები კოსოვოში სამხედრო ძალის გამოყენების გამო. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პრეზიდენტს კოსოვო ერთი სიტყვითაც არ უსენებდა, მან ხაზი გაუსვა საერთაშორისო მასშტაბით ძალის გამოყენებისთვის გაერო-ს უშიშროების საბჭოს (და არა ნატოს ან ევროკავშირის) დასტურის აუცილებლობას.

კრუმლის პოლიტიკა კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით მკაფიოდ გამოიკეთა ამ მოვლენიდან მეზუთე დღეს, 2008 წლის 21 თებერვალს, ვლადიმირ პუტინისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრაზე. ამ შეხვედრის დეტალები განხილულია ამერიკელი ანალიტიკოსის, რონალდ ასმუსის ცნობილ წიგნში, რომლის მიხედვითაც პუტინმა, ფაქტობრივად, პირდაპირ განუცხადა სააკაშვილს რუსული გეგმების შესახებ საქართველოში: „აუცილებელია რეაგირება იმაზე, რაც ევროპამ კოსოვოში მოიმოქმედა; ჩვენ მუდმივად ვფიქრობთ, როგორ მიუვდეთ ამ საკითხს და თქვენც გაითვალისწინეთ, რა წესში განვიცდით ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მხრიდან — როგორდაც ხომ უნდა გამოვწმაუროთ მათ მხარდაჭერას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ... არ გვესმის,

რატომ წამოიწყო ამერიკამ ვერობის ისლამიზაციის კამპანია – მას მერე, რაც ალბანელებმა თავისი გაიტანეს, მეტსაც მოინდომებენ და ახლა მაკედონიასაც მისდგებიან! ხომ გესმით, რომ კოსოვოს შემდეგ, დასავლეთს უპასუხოდ ვერ დაუტოვებთ – მართალია, ეწუხურ, მაგრამ თქვენც ამ პასუხის ნაწილად მოიაზრებით“.

ამგვარად, პუტინმა ჯერ კიდევ 2008 წლის ოქტომბერში ახადა ფარდა რუსეთის გეგმებს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით დასავლეთისვის კოსოვოს გამო პასუხის გასაცემად მოსკოვს სჭირდებოდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება, რაც ბუნებრივია, საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციების ერთობლივი განხორციელების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტუარი საშუალება საქართველოს „აგრესორად“ წარმოჩენა უნდა ყოფილიყო. ამგვარად, აქ იკვეთება რუსული პოლიტიკის მსგავსება 1990-იან წლებში შექმნილ ვითარებასთან აფხაზეთში. როგორც თავის დროის ვლადისლავ არძინბა ამბობდა, რომ ქართველებს ნებისმიერ ფასად უნდა ესროლათ აფხაზებისთვის. ამჯერად იგივე შედიოდა მოსკოვის ინტერესებში.

ამგვარად, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველო მეტად როგორ ვითარებაში აღმოჩნდა. მიუხედავად მიხეილ სააკაშვილის ერთმნიშვნელოვანი პოზიციისა, რომ საქართველო კოსოვოს აღიარებას არ გვმავდა, ვითარება ჩვენი ქვეყნის გარშემო სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა.

4 მარტს „სამხრეთ ოსეთის“, ხოლო სამი დღის შემდეგ აფხაზეთის „პარლამენტებმა“ მიმართეს რუსეთს, დსტ-ისა და გაეროს მათი დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნით.

შექმნილ ვითარებაში, 28 მარტს მიხეილ სააკაშვილმა წარმოადგინა ახალი სამშვიდობო გეგმა აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების შესახებ. გეგმის მიხედვით, საქართველოს მთავრობაში უნდა შექმნილიყო ვიცე-პრეზიდენტის პოსტი, რომელსაც ეთნიკურად აფხაზი წარმომადგენერი დაიკავებდა. აფხაზეთის პარლამენტს უნდა პქონოდა ვეტოს უფლება ყველა იმ საკითხებზე, რომელიც აფხაზეთს ქებოდა. ამასთან, აფხაზეთის ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომლითაც რეგიონის აღმშენებლობა იყო დაგეგმილი: „ულიმიტო ავტონომია, ფართო ფედერალიზმი და სე-



მაუნქნის 2007 წლის უსაფრთხოების კონფერენციაზე კლადიმირ პუტინი სიტყვით გამოდის

თავის დროშე კლადიმირ არძინბა ამბობდა, რომ ქართველებს ხებასმიერ ფსად უნდა ერთოდათ აფხაზებისთვის. 2008 წლისთვის ეს უკვე ცხინვალის რუსობში იყო მოხვევის ამოცანა



რიოზული წარმომადგენლობა საქართველოს სახელისუფლებო პარატში — ეს ყველაფერი იქნება განხორციელებული საერთაშორისო გარანტორების მხარდაჭერით“, — აცხადებდა მიხეილ სააკაშვილი. მეორე ღლეს, აფხაზეთის „ხელისუფლებამ“ საქართველოს შემადგენლობაში დარჩენის შესაძლებლობას დაუშვებელი უწოდა.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

პასაპერ გალიჩავა


თუ ისტორიის დოქტორანტი (სტატია გამოქვეყნებულია უცხოურ საერთაშორისო ურნალში, როგორც მომავალი დისერტაციის ნაწილი)

აკლდამა სამეგრელოს მთავრისთვის

**ფალეჯისის ტაძარში
ღვაცან დადიანის
უკანასკნელი ნავსაჭუდელია
ჟემორჩენილი**

საქართველოს მნელბედობამ, ისტორიულმა ქარტეხიდლებმა და მტრის მრავალრიცხვანმა შემოსვებმა ჩვენი წინაპერების არაერთი განსასვენებელი წარხოცა და სამუდამოდ დაკარგა. ამ შხრივ გამონაკლისია წალენჯიხის ტაძრის დასაცლეთ გალერეაში, ეკლესიის მთავარი კარიბჭის სამხრეთით მდებარე ეკვდერი. მისი შესწავლაც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, როგორ ზრუნვლნენ ქართველი მეფე-მთავრები საკუთარ უკანასკნელ ნავსაჭუდელსა და საკუთარი ხსოვნის უკვდავყოფაში.

ღვაცან დადიანი სამეგრელოს ისტორიაში ყველაზე ძლიერი მთავარი იყო. აკლდამაც ისეთი მოიწყო, რომელსაც მასშტაბთა და სიმძიდრით საქართველოში ანალოგი არ ექვება. სამეგრელოს მთავარმა იმქვენიურ ცხოვრებაზე ზრუნვა, ჩანს, სიცოცხლეშივე დაიწყო და დიდი სამუშაოც გასწია. ამ სამზადისის შესახებ მოთხოვობილია ეკვდერში შემორჩენილ არაერთ წარწერაზე, თუმცა ზოგიერთი მათგანი საერთოდ აღარ იკითხება ან იმდენად არის დაზიანებული, რომ სიტყვების გარჩევა მნელდება. განსასვენებლის მოწყობის ისტორია ყველაზე ვრცლად უშუალოდ საფლავის ქახე, ანუ 16-სტრიქონიან ეპიტაფიაშია გადმოცემული. მონათხრობიდან ირკვევა, რომ ეკვდერში მანამდე დიდი მთავრის წინაპრები ყოფილან დაკრძალული, როგორც თავად აღნიშნავს, თითქმის ყველა ხელმწიფე, თუმცა განსასვენებელი ცედად, შეიძლება ითქვას, შეუსაბამოდ ყოფილა მოწყობილი. მთავარი მას კარიბჭეს უწოდებს და არა ეკვდერს. ეკლესიის კარიბჭეში ამ



ღვაცან II დადიანი (1611-1645), წალენჯიხის ეკლესიის ფრესკა

უკანასკნელის მოწყობა ღვაცანსა და მის მეუღლეს, დედოფალ ნესტან-დარეჯანს ერთად დაუწყიათ. მიწის ქვეშ ორი „ტანი“ აკლდამა გაუკეთებიათ. წარწერაში განმარტებულია, რას ნიშნავს ეს ორი ტანიც, ანუ აკლდამის გამომა (სავარაუდოდ, მარჯვნივ) ღვაცანს საკუთარი და მეუღლის განსასვენებელი მოუწყვია, გაღმა კი (სავარაუდოდ, მარცხნივ) საბატონო შეილის — ალექსანდრესი და მისი თანამეცხელისა.

დადიანი წარწერაში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მას აკლდამაში „ძვალისა ჩასაყრელი“ კი არ გაუკეთებია, არამედ განსასვენებელი. ამისთვის კონსტანტინოპოლიდან ორი მარმარილოს ქა ჩამოუტანია, ერთი „დასაწოლად“ და მეორეც „გულზე წასადგამად“. როგორც ჩანს, ღვაცანმდე წალენჯიხის კარიბჭეში სამთავრო საგვარეულოს წარმომადგენლები წინასწარ განსაზღვრული წესის გარეშე იკრძალებოდნენ (ამიტომაც ხმარობს მთავარი ეპიტაფიაში ტერმინ „ძვალია ჩასაყრელს“). ღვაცანს კი საკუთარი უკანასკნელი განსასვე-

ნებლის მოწყობა ცალკე სურდა, ამიტომაც იგი საგანგებოდ აუშენებია, ხოლო ეპიტაფიაში მომავალ თაობებს დაქინებით სოხოვს, მისი ნასყიდი მარმარილოს ტახტიდან ძვლები არ შესძრან და ტახტზე სხვა მიცვალებული არ დაწვიონონ. და თუ ამას მაინც იზამენ, ანუ ღვევანს ამ ერთ მტკაველ მიწას შეცილებიან, მაშინ მთავარი დანაშაულის მონაწილეებს ზეციური სამსჯავროთ და განკითხვის დღის საშინელებით ემუქრება.

მთავრის მიერ კონსტანტინოპოლიდან ჩა-მოტანილი ქვები მართლაც განსაკუთრებული ნიმუშებია. ტახტის ფორმის მარმარილოს ღრმებს მცენარეული ორნამენტი მიუყვება კუთხებში, კიდევბი კი ზეაღმართული აქვს. ორივე ფილა მარმარილოს ფქვებზე დგას, რაც მიუთითებს, რომ ისინი თავიდანვე განსასვენებლისთვის იყო მოზადებული. ღვევანმა სამეცნიეროში მხოლოდ ეპიტაფია დატანინა ერთ-ერთ, კერძოდ „გულზე წასადგამად“ გამზადებულ ქვას.

ეკვდერის მთელი სივრცის ქვეშ დასაკრძალავი კამერაა მოთავსებული, რომელიც

მოპირკეთებულია დიდი ზომის სუფთად გათლილი კვადრუბით. კამერის იატაკზე დადგმულია მარმარილოს ტახტი, რომელიც ამჟამად ექვს დიდ ნაწილადაა დატევრეული და მასზე, როგორც ჩანს, მიცვალებულთა სხეულები განათავსეს (როგორც ეპიტაფიაში ღვევანი წერს — დასაწოლი ტახტი). ანუ შეიძლება ითქვას, იშხნის ტაძარში ახლახან აღმოჩენილი მდიდრული სამარხის მსგავსად, წალენჯიხის ღვევანის სული განსასვენებელი შუა საუკუნების გრიოპული კრიპტის მსგავსია. აქ სხეული საგანგებოდ მოზადებულ დაზურულ სივრცეში განისვენებდა. ეკვდერის იატაკი კრიპტის სახურავს წარმოადგენდა, მარმარილოს ფილა კი ღვევანის ფრესკის ქვეშ ზედ სამხრეთ კედელზე იყო მიღებული, დანარჩენი სივრცე დიდი ღრმებით ოსტატურად შეუვსა ასტატს, კრიპტაში ჩასვლა დასავლეთის მხრიდან, წელში მოხრილ ადამიანს შეეძლო. ჩანს, აკლდამაში სწორედ აქედან შეასვენეს (და არა ჩასვენეს) ღვევანი და მისი მეუღლე. აქ ამისთვის საგანგებოდ მოწყობილი საფუზურია. დასაკრძალავი კამერა რომ იყტებოდა,

ღვევან დადიანსა და ნესტან-დარუჯანს ზელო ტაძრის მოდელი უპერიათ





ამაზე იატაკში შემორჩენილი ვერტიკალური ჩარჩო და დასალუქი ლოდისთვის დატოვებული ყალიბი მიუთითებს.

ორნაწილიანი ეკვდერის იატაკის ქვეშ თუ კრიპტა განთავსებული, ზემოთ სამღლოცველოა მოწყობილი. ეკვდერის სამხრეთ კედელზე, ცენტრალურ აღგილას, ლევნის საოჯახო პორტულტია. აქ დგანან მდიდრულ სამოსში გამოწყობილი მთავრი, რომელსაც კეთილშობილი ოვლებითა და დიდი ოუთრი რაჟამებით (ბუბულებით) შემკული გვირგვინი ხურავს, ასეთივე სახეობო ნესტან-დარჯანის ფიგურა. გვირგვინოსნებს ხელთ ტაძრის მოდელი უპყრიათ მათ შუაში და ორივე მხარეს შვილები დგანან. შეუაფისებული შემორჩენილია წარწერა „ბატონისშვილი“ და საფიქრებელია, რომ იგი ლევნის ერთ-ერთი ვაჟი (ალექსანდრე ან მანუჩარი) უნდა იყოს. დანარჩენი ორი შეილიდან ერთი ასულია, საგარაუდოდ, ზილიხანი და ის ნესტანის გვერდით დგას, ლევნის მხარმარცხნივ წარმოლგენილი მესამე შეილის სახება კი იძღენად შებღალულია, რომ დღეს რამის გარჩევა შეუძლებელია.

ტაძრის მოდელის ზემოთ წარწერაა, საკმაოდ დიდი და მრავალსტრიქონიანი, თუმცა იძღენად არის გადაშლილი, რომ მისი წაკითხვა მეტად ძნელია, თავის დროზე ეს

ვერც ექვთიმე თაყაიშვილმა მოახერხა. რამდენიმესაათიანი მცდელობის შემდეგ შემდეგი სიტყვები ამოვიკითხები: „მაღალი და უძლეველი, მრავალჯერ სახელოვანი, ქებული, ყველა საქმეში გამარჯვებული... და კორცხელისა საყდრისა... მონასტერი ამანე ხელ...“ ჩანს, დადიანი ამ ეპიტაფიაში მისთვის ჩვეული პომპეზურობით ვევბოდა საკუთარი ღვაწლისა და აღმშენებლობის შესახებ, მათ შორის უნდა ყოფილიყო კორცხელის ტაძრის მშენებლობა, რომელიც მთავარს XVII საუკუნის პირველ ნახევარში, 1639 წლისთვის აუგაა.

ეს გედელი კიდვე ერთი რამით არის საყურადღებო. იგი ლევნის ეპიტაფიაში ნახსნებ შემდეგ ფრაზას ქმაურება: „ეს წინა ეკუდერი იყო და სრულობით ჩვენი ნათესავი ხელმწიფე ვინც გამოსუდა ამ წინას ეკუდერში საფლაობდეს“ — როგორც ჩანს, სარეკონსტრუქციო სამუშაოებამდე, რომელიც ლევანისთვის ახალი განსასვენებლის მოწყობას ისახავდა მიზნად, ამ ადგილას არაერთი დადანი ყოფილა დაკრძალული. ამის დასტურია სამხრეთ კედელზე ჩვენთვის უცნობ დიდგვაროვანთა საკმაოდ სანტერუსო გამოსახულებები. ამბიციურ მთავარს საკუთარი ეკვდერის მოწყობის დროს ეს ფიგურები გადაულესია და მასზე ოჯახი და ნათესავები დაუხატვინებია, თუმცა უამთას-

რუბილიტაციამდე





აკლდამა რეაბილიტაციაშე

დასაკრძალვი კამერა



ვლის გამო კედლის დასავლეთ მხარეს ბათქაში ჩამოცვენილა, რასაც ლგვანის უახლოესი წრის წარმომადგენელთა ფიგურები ემსხვერპლა. თუმცა, გამოჩენდა უფრო ძველი, სავარაუდოდ, XIV საუკუნის ფენა. აქ ორი პირი დგას. ერთი მამაკაცი უნდა იყოს, რომელსაც საოცრად მოხდენილი თეთრი, დიდი კუნწულით (ან სულაც ბურთულით) დამშვენებული ქუდი ახურავს, მეორე კი, სავარაუდოდ, ქალბატონი.

ეკვდერის კედლებზე ნათესავების დასატყაჩვენთვის მანამდე უცნობი ტრადიციაა — მთავარი საკუთარ განსასვენებელში ხატავს იმ პირებს, რომლებიც მასთან არ არიან დაკრძალული. ამ მოვლენას თავისებური ახსნაც შეიძლება მოვუძებნოთ, რომ სამეგრელოს მმართველი ამ პორტრეტის მიზნების მიხედვით ცდილობს საკუთარი ოჯახის ისტორიის სრულფასონად გადმოცემას. ამდენად აქ ვხედავთ ლევანის ბიძების, გიორგი ლიპარტიანისა და როსტომ დადიანის, დეიდის ელენეს, მმის ერეკლეს, დის

— ქართლის სახელოვანი დედოფლის მარიამის შესანიშნავად შესრულებულ ფიგურებს. აკლდამაში გასაგები მიზეზების გამო არ არის ლევანის შემობლების გამოსახულებები, მათი აკლდამა მთავარმა საგანგებოდ ამავე ტაძარში ცალკე მოაწყო და იქვე დაახატვინა დედ-მამა.

ღრმად მორწმუნე ლევანი კარგად აცნობიერებდა, რომ ამქვეყნიურ განსასვენებელთან ერთად მას იმქვეყნიურ ცხოვრებაზეც უნდა ეწრუნა, ეკვდერის დასავლეთი კარის თავზე მოთავსებულ წარწერაში იგი აღნიშნავს: „მიწა კართ და მიწად მიყალთ და ძვალი აქა ძეს, ხოლო სული ჩუენი ფრიად საწყალობელი იხსენ მაცხოვარო ჯოჯონეთისა მწარისა სასჯელისაგან“. როგორც ჩანს, მას ეკვდერში თავისი სულის მეოხად მნათე ან სულაც წინამძღვარი დაუდგენია. ეს უკანასკნელი მაქსიმე სინელი (ვინ იცის, იქნებ ლევანმა ის სინას სახელოვანი მონასტრიდანაც კი მოიწვია) უნდა იყოს, რომელიც ამავე ეკვდერის ფრესკულ წარწერაში მოიხსენიება.

ბედმა ისე ინება, რომ მთავარმა უზარმაზარი ძალისსმევა და დიდი შემოქმედებითი ენერგია დახარჯა საკუთარი უსაფრთხო აკლდამის მოწყობისთვის, თუმცა ის დაუცველი დარჩა და დაზიანდა.

ამ სტრიქონების ავტორს აღნიშნული საფლავის ქვა 5 ნაწილად დამტვრეული ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაზიანდა. მაშინ ადგილობრივები ამბობდნენ, რომ ეს ბარბაროსობა მხედრიონის ჯარისკაცებმა ჩაიდინეს, ამ საზოგადო მოსაზრების

რამე უტევუარი არგუმენტი ან დასაბუთება არ არსებობდა, ამიტომ იგი საეჭვო ჩანდა... ეჭვს ისიც აძლიერებდა, რომ გაძარცულ კრიპტაში მოსახლეობა ჩაღწევასა და იქიდან ძვლების ამოღებას ცდილობდა. ადგილობრივებში გავრცელებული იყო აზრი, რომ ლევანის საფლავიდან ამოღებული ძვლები ეპილეფსით დააგადებულებს შველოდა... ამ თითქმის გაურკვეველი და შეიძლება ითქვას, აუხსელი გარემოებისთვის ნათელის მოფენა მეტად მნელი იქნებოდა, რომ არა უურნალ „ისტორიანის“ რედაქტორის, ჯაბა სამუშაის მონათხრობი ამბავი, რომელიც ისტორიკოსს ეროვნულ-განმათვაისულებელი მოძრაობის დროს წალენჯიხის ტაძრის ან განსვენებული წინამდღვრისგან მოუშენია: ლევანის საფლავს სამეგრელოში ჯერ კიდევ გვიან შუა საუკუნეებში განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, მისტიკური დატეიროთვა შეუძენია. ხსოვნას მთავრისას, რომლის დროსაც „სამეგრელომ მანმდე არნახულ და შემდევ არგანმეორებულ სიძლიერეს მიაღწია“ (აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია), რეგიონში დიდი მოწიწებით და სიკვარულით ეყრდნობოდნენ. უბრალო ხალხმა ლევანს ადგილი გამორჩეულ წინაპართა და შეიძლება ითქვას, წმინდანთა შორისაც კი მიუჩინა. აქედან გამომდინარე, მისმა ძვლებმაც „სასწაულებრთვი და მაკურნებელი“ ძალა შეიძინა. ამიტომ ძალიან მალე საფლავი მომლოცველობისა და პილიგრიმობის ადგილად იქცა. ჩანს, მთავრის დიდებით მოჯადოებულებმა მისი საფლავი გახსნეს (რა დროსაც უნდა დალენწილიყო კონსტანტინოპოლიდან ჩამოტანილი ლოდი) და ძვლების „მაკურნებელ“ ნაწილებად დარიგება დაიწყეს...

წლეულს, ლევან დადიანის აკლდამის მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ მამუკა ხაჩარაძის აქტიური მხარდაჭერით ხელოვნების სასახლის მიერ ინიცირებული სარეაბილიტაციო სამუშაოები დააფინანსა. ხელოვნების სასახლის სპეციალისტებმა, ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელების ხელმძღვანელობით, პროექტი მომზადეს, რომლის მიხედვით აღდგა დამტერეული ქა, დამონტაჟდა ლითოონის იმიტატორზე, დასაკრძალი კამერა ნაგვისგან გაიწმინდა და მომავალი არქეოლოგიური გათხრებისთვის მომზადდა. ტაძრის სივრცეში სხვადასხვა დროს აღმოჩენილი ძვლები დაბინავდა და ისინიც მომზადდა მომავალი კვლევი-


სათვის (დნმ). კრიპტაში ჩასავლელი დაიხურა მოძრავი, ხელით გათლივლი ლოდით. შეიცვალა ეპველერის ძეველი განათება. შესასვლელებში კი ჩამონტაჟდა ხის კარი და ცხაურები.

„მაკურნებელ“ ნაწილებად ძვლების დარიგება დამახასიათებელი ამბავია შუა საუკუნეებისთვის, მსგავსი მოვლენები ევროპაშიც არაერთხელ მომხდარა. სახელოფნი წინაპრების წმინდანთა რიგში ჩარიცხვა და მათი თავვანისცემა კი ყველა ღროში ჩვეულებრივი ისტორიული ფქტი იყო. ცხადია, ლევან დადიანის ბიოგრაფია და მისი ბობოქარი წარსული ქართული ეკლესიის მხრიდან მოწინებული და მით უფრო, კანინზაციის საფუძველი ვერასოდეს იქნებოდა, თუმცა ჩანს, უბრალო ხალხში დადიანის ძლევამოსილების შესახებ გადმოცემები ყოველთვის არსებობდა, რაც „წვრილ ერში“ მის სახელს დიდ აუტორიტეტსა და შარავანდებს სხენდა.

აირჩი კალანდია

ხელოვნების სასახლის დირექტორი

ლევან დადიანის აკლდამა რეაბილიტაციის შემდეგ



ვრცელი „ქვეყანა“ ახტანი



ამჟამად რესტაურირებული არტაანის ციხე
ნაღდარ შოშიტაშვილის და კახა ქამაძაძის ფოტოები

ცაფილი I

თურქეთის რესპუბლიკაში „დარჩენილი“ საქართველოს ისტორიული კუთხების მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შესწავლა ბოლო სამი ათწლეულია საკმაოდ ნაყოფიერად მიმდინარეობს. მანამდე შეიძი ათწლეულის განმავლობაში კი ამგვარი კვლევა-ძიება ქართველი მეცნიერების მიერ მხოლოდ ოცნების სფეროს განეცუათვენებოდა. ვითარება ჩენეს თვალწინ შეიცვალა, დღეისთვის დაგროვდა საჭირო და საინტერესო სამეცნიერო პროდუქცია, ცალკეული სტატიების, ნაშრომთა კრებულების და მონოგრაფიების სახითაც კი.

აქამდე შესწავლა-გამოკვლევანი თუ სა- მეცნიერო-პოპულარული ესეები ძირითადად განეკუთვნებოდა კლარჯეთისა და მასში შემა- გალ ლოკალურ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხებს, ტაოს, ლაზეთს, აგრუთვა, ქართველ მოსახლეობას თურქეთის რესპუბლიკის შიდა რაიონებში, რომლებიც ბედის უკუდმართობის გამო გადასახლდნენ თუ გადასახლეს მამა- კაპური სამკვიდრო ფუძიდან. ჩენებურების ერთმა ნაწილმა იქ საკმაოდ დიდი ანკლავები შექმნა. ეს „პატარა საქართველოები“ დაა- ფუძნეს 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ აჭარიდან და კლარჯეთიდან „წა- სულმა“ ეთნიკურად ქართულმა მოსახლეობამ, ანუ როგორც მათ კრუბსითად ვუწოდებთ და ლიტერატურაშიც ასე ჰქვია, მუჰაჯირებმა.

ზემოაღნიშნულ კვლევათა არეალში ვერ

წვდებოდა კიდევ ერთი ვრცელი ისტო- რიულ-ეთნოგრაფიული შხარე ისტორიული საქართველოსი, როგორიცაა ქართველთა დედამდინარის, მტკვრის ზემო წელისა და მისი აუზის მოსახლეობა, მხარე, რომელიც თითქმის ბოლო ასი წლის განმავლობაში თურქეთშია. მანამდე იყო დაახლოებით ოთხი ათწლეული, როცა ეს რეგიონი რუსეთის იმ- პერიამ შემოუერთა თავის სამულობელოებს და საქართველოს სხვა კუთხებთან ერთად შედიოდა რუსეთის უზარმაზარ სახელმწი- ფოებრივ სივრცეში. მანამდე კი იყო თითქ- მის ოთხსაუკუნოვანი ხანა, როცა მტკვრის სეობის სათავეები ოსმალეთმა მესხეთის სხვა კუთხებთან ერთად დაიპყრო და შექმნა ახალციხის საფაშო, რომელშიც მოული სამ- ცე-საათაბაგო შედიოდა.

ქართული კავალის საეპიგლად

გვიან შეს საუკუნეებამდე კი არტაანის რეგიონი იყო საქართველოს დიდი ისტორიის, ქართული სახელმწიფო ობიექტებისა და ეთნო-კურ სივრცის შეძალებელი ნაწილი. მეტიც, ეს მხარე და მთლიანად მესხეთი წარმოადგენდა ქართული ეთნოსის ჩამოყალიბებისა და სახელმწიფო ობიექტების განვითარების ერთ-ერთ უძნიშვილოვანეს აკანს.

ძალიან ცოტა იცის ქართველმა საზოგადოებამ დღევანდელი არტაანის რეგიონის ცხოვრების, იქაური მოსახლეობის ყოფისა და კულტურის, ეთნიკური და ეთნოგრაფიული შეძალებენლობის, საზოგადოდ, იქაური ხალხის ყოფის შესახებ. უნდა ვთქვათ, რომ ბოლო წლებში აქ მუშაობდნენ ქართველი მეცნიერები, თუმცა მათი ექსპედიციების მიზანი და მიმართულება იყო აქ არსებული ეკლესია-ტაძრების, საფორტიფიკაციო ნაგებობების, ამ ძეგლებზე აღნუსხული ეპიგრაფიკული მასალის კვლევა. საინტერესო შედეგებიც არის მიღებული, რომელიც აღნუსხავს ამ ძეგლების დღვევანდელ მდგომარეობას და ამ მონაცემების შეპირისპირების საშუალებას იძლევა საზღვრების გახსნამდე ცნობილ მდგომარეობამდე. ხოლო აქაური ეთნოგრაფიის შესახებ კი პრაქტიკულად არაფერი იყო ცნობილი.

სწორედ საქართველოს ძველი ისტორიული მხარის – არტაანის კომპლექსური კვლევა წარმოადგენდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-პროფესორთა ერთი ჯგუფის მიზანს. ექსპედიციას, რომელიც შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა, ცნობილი ეთნოლოგი თამაზ ფუტკარაძე ხელმძღვანელობდა, რომლის თავზიანი წინადაღებით აღმოვჩნდი ბათუმელ მკვლევართა შესანიშნავ გუნდში: ფოლკლორისტი ელგუჯა მაკარაძე, თურქოლოგი ლილე თანდილავა, რომელიც გვეხმარებოდა ადგილობრივ, თურქულენოვან მოსახლეობასთან კომუნიკაციაში, ძეგლი ისტორიის სპეციალისტი ემზარ კახიძე, არქეოლოგი, გონიო-აფსაროსის მუზეუმის მკვლევარი კახა ქამადაძე, აჭარის ტელევიზიის რეჟისორი და ოპერატორი ანზორ ქათამაძე, უნივერსიტეტის მრავალ ექსპედიციამოვლილი მძღოლი ტარიელ დიასმიძე, რომლისთვისაც იმდენად ნაცნობია ტაო-კლარჯეთის გზები, ძეგლე-

ბი და სოფელ-ქალაქები, რომ საქმიანად ერთვებოდა ექსპედიციის მუშაობაში და ამ სტრიქონების ავტორი.

არტაანი დღეს

ამჟამად ეს ტერიტორია არტაანის (თურქ. არდაან; რუს. არდაგან) ადმინისტრაციულ ერთეულში ანუ ილში შედის, რომელიც თავის მხრივ მცირე ერთეულებად, რაიონებად ანუ ილჩებად იყოფა. ასეთი ილჩე ექვსია: საკუთრივ არტაანის (არდაპანის), ჩრდილ-პალაკაციოს (ჩილდირი), ერუშეთის (დამალი), კოლას (გოლეს), ფოსოსა (ჰანაკის) და ფოცხოვის (ფოსოფი). გასაკვირია, მაგრამ ხშირად ილჩების საზღვრები ძველ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულებს ემთხვევა. არტაანის მხარეში შედის აგრეთვე ჯგუფების სამხრეთი ნაწილი, საიდანაც შემოდის მტკვარი გარძიის სიახლოებეს. იგი მიაკუთვნეს ჰანაკის რაიონს. ისტორიული ჩრდილ-პალაკაციოს აღმოსავლეთით იყო ისტორიული აბოცი, რომელშიც კარგა ხანია შეიცალა ეთნიკური სურათი, ქართველის ჭაჭანება აღარ არის, დღეს სომხეთის სახელმწიფოს მიეკუთვნება (საბჭოთა პერიოდში ეს

შავეთის
წყლის ხობა



კოლა-არტაანი მტკვრის „სამშობლოა“.
ასე იწყება დედამდინარე მტკვარი
ისტორიულ კოლაში





ქალაქ არტაანის (თურქულად არდაპანის) ხედი მტკვრისა და არტაანის ღელეს შესართავთან

გახლდათ ღუკასიანის რაიონი, 1995 წლამდე აშოცის რაიონი ერქა) და შირაქის ოლქში შედის. ქართველ საზოგადოებაში ნაკლებად არის (ცნობილი ლოკალური ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ფოსო (ჰანაკი), ხოლო კოლას მიდამოებში (დღვანდველი თურქული სახლწოდებით გოლე) იწყება ფშნებით შეკრებილი ნაკადული, რომელიც მტკვრად გადაიქცა. ის არტაანის მხარეში ჯერ „მხარს ვერ შლის“, სიმძლავრეს ვერ კრეფს და ისე შემოდის საქართველოს სამხრეთ კარიბჭეში, ჯავახეთში.

არტაანამდე გზა უკვე ჩვეული მარშრუტით გავიარეთ. შავიზღვისპირა ლაზეთიდან ჩხალთის უღელტეხილის გადალახვით, ბორჩხება-ართვინის გავლით დღეისთვის „ყველაზე ქართულ“ იმერხევს აუკრეთ და შავშეთის წყლის ხეობას ავეუვვით. თავდაპირველად მრავალ ბრძოლაგადატანილ შავშეთის ანუ სათლელის ციხეს მიყადექით. აქ ამჟამად არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს და სწორედ მისი ხელმძღვანელი, ქართული წარმომაგლობის არქეოლოგი, იმერხეველი ოსმან აითექინი გველოდა. სამუშაოების მიმდინარეობის გასაცნობად იყვნენ მოსული ართვინის გუბერნიის ხელმძღვანელობაც, რომელიც აითექინი გველოდა. სამუშაოების მიმდინარეობის გასაცნობად იყვნენ მოსული ართვინის გუბერნიის ხელმძღვანელობაც, რომლებთანაც საინტერესო, კონსტრუქციული საუბარი გაიმართა წარსულის კვლევებთან დაკავშირებით.

შეხვედრა ფარსულთან

საქართველოს გმირული წარსულის უტყვიაშებები აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა: ყოფით ნივთები, მოჭიქული და მოუჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები, ქვემქებისა და მათი წინამორბედის – ფილაკავანების ქვის ჭურვ-ბირთვები. ჩვენი იქ ყოფნის დროს ახალადმოჩენილი ნივთების საპრეპარაციო სამუშაოები მიმდინარეობდა.

სათლელის ციხის ერთ სკეტორში ჩვენი ყურადღება მიიპყრო საინტერესო სათავსე-მა მასში განთავსებული მცირე ოთხკუთხა „უჯრედებით“ გაწყობილი კედლებით. მისი ანალოგები საქართველოს სხვა კუთხებშიც გვხვდება. მაგალითად, ვარძიაში, აგრეთვე ქვათახევის მახლობლად, ე.წ. მაღალაანთ კოშკში და სხვ. რიგი მეცნიერები, განსაკუთრებით მედიცინის ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს შუა საუკუნეების აფთიაქია, რაც ლოგიკურად, ციხესიმაგრის დამცველებისთვის აუცილებელია. მეორე მოსაზრებით კი ეს სამტრედეა, საფოსტო მტრედებისთვის განკუთვნილი. ეს გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი აუცილებელი და საუკეთესო საშუალება იყო, მით უმეტეს, ალყაშემორტყმული ციხისთვის. ერთი სიტყვით, ორივე მოსაზრებას აქვს თავისი გამართლება.

იქვე, მეზობლად მარანი ყოფილა, მიწაში ჩაყრილი ქვევრებით. მცირე რაოდენობით და-

ნო, განსაკუთრებით წითელი, აუცილებელი, გასამხნევებელი სასმელი იყო ციხის მცველთათვის მშვიდობიანობის ღროსაც და სააღეებდომარეობაშიც. იქვე ყოფილა გამართული თონე, ამჟამად სპეციალისტების მიერ რესტავრირებული. წარმოდგენაში ცოცხლდება, როგორ ფუსტელებშიც აქ ხაბაზი და თავისებისა და დოლის პურით ამარაგებდა ციხის გარნიზონს.

ცალკეა აღმართული ციხის ეკლესია, საშუალო ზომის დარბაზული ნაგებობა, რომელიც განსაკუთრებით აუცილებელი იყო მეციონებთა რწმენისა და სულიერი სიძრვიცისთვის. ასეთი ეკლესიები ან ნაეკლესიარები შავშეთ-არტანის ციხესიმაგრებში თითქმის ყველგან შეგვხვდა. მაგალითად, ჩრდილ-პალაკაციოში, ქაჯის ციხეში ნაწილობრივ პერანგშენარჩუნებული, თურ ციხეში ჩრდილის ტბის მახლობლად და სხვ.

სათლელის ციხის ისტორია

სათლელის ციხის მახლობლად, დასავლეთით, ტბეთის დიდებული ტაძარია, გასული საუკუნის 60-იან წლებში აუკითქებული და ნაწილობრივ შემორჩენილი. მის სუროთმოძღვრულ ღირსებაზე გადარჩენილი აღმოსავლეთის ფასადიდა მეტველებს. ციხესიმაგრის ჩრდილოეთით კი თანამედროვე რაიონული ანუ ილჩეს ცენტრია, რომლისთვისაც შავშეთ (შვათ) დაურქმვეათ. მისი მოსახლეობის უმეტესობა წარმოშობით ქართველია, თუმცა მათი

დიდი ნაწილი, როგორც იმერხეველები იტყვიან „გადაბრუნებული ქართველია“, რომელთაც სამწუხაროდ, ქართული მეტყველება დავიწყებული აქვთ. ერთი კი უნდა ვთქვათ, აქუარ მკვიდრთ ანთროპოლოგიურად, ფიზიკური ტიპით, შეხედულებით, აშკარად გამოარჩევს ადამიანი კოლა-არტაანის მოსახლეობისგან, რომელიც თურქული (სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფი) და ქურთული წარმომავლობისაა.

სათლელის ისტორია კი ასე იწყებოდა. X-XI საუკუნეები საქართველოს აღმასვლის ხანაა. ქვეყნის გაერთიანების მეწინავეობა მესხეთმა, ტაო-კლარჯეთმა იტვირთა. პირველ ხანებში, წინა აზიაში პოლიტიკური მდგრამარეობას დასაბალნებლად და არაბების წინააღმდეგ საპირისოებრივ ბიზანტიისთვის ხელსაყრელი იყო ჩვენი ქვეყნის გაძლიერება. მაგრამ მას შემდგვ, რაც საქართველო რეგიონში ანგარიშგასწვევ ძალად ყალიბდებოდა, ერთმორწუნენე მეზობლები შეშფოთდნენ. კეისარმა ბასილი II-მ, რომელმაც ბულგარელებს თავს არნაზული უბედურება დაატეხა, 15 ათას ბულგარულ ტყვე-მეომარს თვალის სინათლე დაუშრიტა და ბულგართმელების სახელი „დაიმსახურა“, საქართველოსთვისაც მოიცალა.

ბასილი ბულგართმელებმა გადაწყვიტა შავშეთ-კლარჯეთის მიწა-წყლის, ე.წ. დავით გურაპალატის მემკვიდრეობის ბიზანტიისთვის „დაბრუნება“. ამისთვის ბიზანტიამ ძალასთან ერთად, ჩვეულ ვერაგობასა და ცბიე-

სათლელის ციხესიმაგრები ეკლესიაც პქონდათ

სათლელის ციხე






სათლელის ციხე, სარუსტაფრაციო სამუშაოები
უძეველესი მარანი სათლელის ციხეში



არქეოლოგების მოძიებული პაზარტის ქვის
სატყორცნი ბირთვი და მოუჭიჭავი ფალა

ციხესიმაგრეში ორეც იყო გამართული,
ამამად რესტავრირებულია



რებას მიმართა. მოსყიდვით, ბიზანტიური სა-
მეფო კარის ტიტულებისა და პრივილეგიების
დაპირებით, ქართველი დიდებულების ერთი
ნაწილი, ჩანჩახა ფალელი (მტერს გარელობის
ციხე გადასცა), არჯევან ჰოლალასბე (წეფთის
ციხე „დაუთმო“, ვაჩე კარიჭის ძე და იოანე
ბანელი გადაბირა.

სწორედ ამ ქვეყნისთვის მძიმე დროს გამოჩ-
ნდნენ პატრიოტები, ქვეყნის ჰერმარიტი მამუ-
ლიშვილები, რომელთაც სათვეში ჩაუდგა საბა
მტბვარი, ეპისკოპოსი ტბეთის. მისი თაოსნო-
ბით აიგო სათლელის ციხე, რომელსაც მაშინ
ციხე სვეტისა ეწოდა. საბა მტბვარს მხარში
ამოუდგა ანჩის ეპისკოპოსი იოანე ანჩელი.
თორ-აბჯრით შეჰქურილმა სულიერმა მამებმა
უწინამძღვრუს შავშელებს და დაიცვეს მამული
ცხრა მთა იქიდან მოსული მტრისგან, რომელ-
საც არ აგმაყოფილებდა ბიზანტიის იმპერიის
უკიდვანი სფრცე და აღორძინების გზაზე დამ-
დგარი საქართველოსთვის სამხრეთის მხარის
წაგლეჯას ლამობდა. თითქოს შემკვიდრეობით
მიიღო მის ადგილას აღმოცენებულმა და
მასაცით გაურცობილმა ოსმალთა იმპერიამ ბი-
ზანტიის პრეტენზიები ამ ჩვენს მიწა-წყალზე...

მღვეღვარე ცოსტალგია

დავტოვეთ შავშეთ-იმერხევის ტყიან-ხო-
დაბუნებანი მიწა-წყლი და არტაანისაკენ
ავილეთ გეზი. ჭოროხის ხეობიდან მტკვრის
ხეობაში გადავდით. ამ მდინარეების წყალგამ-
ყოფი საქართველოს საზღვრებიდან სამხრე-
თისენ გაწოლილი არსიანის ქედია. ტყიანი
სერპანტინით ალბურ ზონაში ავედით, სადაც
შავშელთა საზაფხულო საძოვრები, იალა-
ღები ანუ იალებია. უღელტეხილი საპარის
სახელწოდებით ზღვის ღონიდან 2470 მეტრ-
ზეა. უღელტეხილიდან აღმოსავლეთით გამოჩ-
ნდა დიდ სივრცეზე დაფენილი, არნა ხულად
ნაყოფიერი ზეგან-ვაკების სახნავ-სათესები
და სათიბ-საძოვრები.

არტაანის მხარეში განსაკუთრებით ვეძებთ
ქართულ სოფლებს, რომელიც როგორც გა-
მოვიკლიეთ, აღარ არსებობს; ვეძებთ ქართუ-
ლი წარმოშობის მოსახლეობას, რომელნიც
კანტიკუნტად, სპორადულად გაფანტულან
თურქულ ან ქურთულ სოფლებში. რამდენიმე
ასეთ ოჯახს არტაანის მახლობლად, სოფელ
ჭინჭრობში შევხვდით და როცა ჩვენი ვინაობა
შეიტყვეს, გადაუჭირდებლად შეიძლება ითქ-
ვას, რომ ალბათ ეს იყო ყველაზე დიდი გაო-

ცება მათ ცხოვრებაში, მეტიც — მღელვარუნისტალგია მოეძალათ.

XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე საუკუნის მეორე ნახევარში აღნიშნავდა, რომ იმ პერიოდისთვის არტაანის მხარეში ქართულად მოსახლეობის მეოთხდი თუ ლაპარა კობდა. ახლა კი... მთელ ამ მხარეში სანთლით საძებნელია ქართულად მეტყველი ადამიანები. ისინი უფრო ქალაქ არტაანში სამუშაოდ ამოსული იმერხეველები არიან. მთლიანობაში, სოფლად შეკვედრილ იშვიათ მოსახლეებში იმდენად შორს იყო წასული დევთნიზაციის პროცესი, რომ მათი ქართველობა მხოლოდ წარმოშობის ცოდნით თუ გამოიხატებოდა.

მხარის მოსახლეობა მრავალრიცხოვნი არ არის, სულ 135 ათას მოსახლეს ითვლის. აქედან ქალაქ არტაანის მოსახლეობა 25 ათასამდეა. მკაფიოდრი ქართული მოსახლეობის ადგილი თურქ და ქურთ მოსახლეობას აქვს დაკავშული. ეს პროცეს XVI საუკუნიდან არის დაწყებული, რისი უტყვია მოწმებიც სოფლებში წინა საუკუნეებიდან შემორჩენილი ეკლესია-ტაძრებია.

„რომ თურქად დაიგადე...“

ზუსტი ეთნიკური სურათის დადგენა არ ხერხდება, რადგანაც აღწერის დროს ეროვნება საერთოდ არ მიეთითება — თურქეთის მოქალაქე ყველა თურქია. თუმცა, ამ მხარეში მოგზაურობის დროს მრავლად გვხვდება ქურთული სოფლები, განსაკუთრებით კოლასა და ჰანაკის რაიონებში. აქაური ქურთული ყველა მუსლიმანური სარწმუნოების აღმსარებელია. ასევე კომიპაქტურად ცხოვრობენ წარმოშობით თურქმანები. მათ ქართული მოსახლეობისგან დაცლილი ისტორიული ერუშეთი უკავიათ, რომელიც დამალი/ტამალის რაიონს მოიცავს. რეგიონში მცხოვრები დანარჩენი თურქული ტომობრივი ეთნოგრაფიული ჯგუფები უმეტესად არიან თარაქამები/თურქებები, ასევე ყარაფაფახები; არიან ე.წ. ახისეყბი ანუ ახალციხის მხრიდან მოსულთა შთამომავლები. აქ ერთიანდებიან გათურქებული მაპმადიანი მესხები და ახალციხიდანვე გადმოსული თარაქამების შთამომავლები.

ვფიქრობ, უინტერესო არ იქნება თვალის ერთი გადავლებით მიმოვიზილოთ სხვა თურქული ტომების შთამომავლთა ძირითადი განსახლების ოლქები. ეთნოგრაფიული მანავები ცხოვრობენ ბურსას, აღდენიზის, მუშის,




სრულ დაგრეუს გადარჩენილი ტბეთის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი

1961 წელს აფეთქებული ტბეთის ტაძრიდან ეს ინტერიერიდა არის დარჩენილი



ტბეთის ტაძრის ჩუქურთმიანი ქვები იქვე ახლოს ბოსტნის ღობედ არის გამოუხებული



მოგზაური ეთნოლოგის ჩანაწერები




მესაქონლეთა საზაფხულო იაილები არსიანის ქედზე
თავად ხიშმაშვილების საგარეულო სახლი შემცირდა



ფუფას რაიონის კაბახტას მეხოვეუბნი — აჭარულ
მუჰაჯირთა შოამომავლი აპმედ გიუგონეათა (ბეჭანიძე)
და ოღუშთა ტომეული ალი. დღეს თოვლები ერთი წერის
წარმომადგენელია



რაიონული (იღწეს)
ცენტრი შემცირდა (შავშეთ)



მარმარას ოლქებში; იორუქები ძირითადად მერსინში, ადანაში, თარსუში, ანატოლიაში; ყარაფაფახები — ყარსში, არტაანში, მუშში, ბულანჯაცში; ოღუზები — გერასუნში, ზონგულდაკის, სინოპის, კასტამონუს, თოსიას, ბოლუს ოლქებში, ანუ ქართველ მუჰაჯირთა შოამომავლების განსახლების მეზობლად; სელჩუკები — კონიაში, ნევშირში, კასერში, სივსში; თარაქამები — არტაანსა და ყარსში...

თურქელი წარმომავლობის ტომების გარდა, თურქი ერის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მრავალ ხალხს მიუღია. მათ შორის არიან ქართველები, ლაზებთან ერთად (ტაო-კლარჯეთიდან, არტაანის მხრიდან, ლაზეთიდან და აჭარა-კლარჯეთიდან წასულ ქართველ მუჰაჯირთა შოამომავლები); აფხაზები და ჩერქეზები; ბოშნაკები ანუ ბალკანეთიდან, ბოსნიიდან გადმოსულნი (საქართველო, ბურსა-ინგოლი, ადანა, განსაკუთრებით იშმირი); არნაუტები ანუ ალბანელთა შოამომავლები; პომეკები — ბულგარეთიდან გადმოსული მაკმადიანები; გაგაუზები — ბულგარეთსა და მოლდავეთიდან მოსულები, მაკმადიანი სომხები ანუ ჰემინები და სხვ.

მიუხედავად ჩამოთვლილი ეთნიკური და ეთნოგრაფიული კომონენტებისა, რომელნიც განირჩევან სამეურნეო-ყოფითი თავისებურებებით, ეთნოგრაფიული კონფიგურაციით, წარმომავლობის ხაზგასმითაც, თურქთის სახელმწიფომ ოსმალური პერიოდიდან და განსაკუთრებით, მუსტაფა ქემალ ათათურქის დროიდან, შეძლო მტკიცე, ერთანი ეთნოსის, თურქის ჩამოყალიბება. სახელმწიფო სლოგანია: „ყოველ დილით, გაღვიძებისას ღმერთს მადლობა შესწირე, რომ თურქად დაიბადე“.

* * *

უნდა ითქვას, რომ არტაანში, აქაური თურქები პატივს სცემენ თვეიანთ ეთნოგრაფიულ წარსულს, რომელიც ინდივიდუალური თავისებურებებით გამოირჩევა დანარჩენი თურქეთისგან. აშკარად იგრძობა ქართული ტრადიციული მატერიალური კულტურის, სამეურნეო და საოჯახო იარაღებისა და ნივთების გაელენა, მსგავსი ელემენტებია საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებში. (გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ცოდარ შოთითავილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესიონალი

„მზის ქამათის“ ეკლესიატონი იმპერატორი

ანტიკური და შუა საუკუნეების მსოფლიო ცივილიზაციებისა და კულტურათა უძრავლესობაში ქალის სოციალური როლი მამაკაცთან შედარებით დაბალი იყო. თუმცა, ისტორიამ შემოგვინახა რამდენიმე მაგალითი ჰქონიანი და ამბიციური ქალებისა, რომელთაც შეძლეს სოციალური ჩარჩოების გადალახვა და ხელისუფლების სათავეში მოსვლა. მაგალითად, საქართველოში თამარ მეფე, ინგლისში ელისაბედ I და ვიქტორია, ანტიკურ სამყაროში კლეოპატრა. ჩინეთის ხანგრძლივი ისტორიაში რამდენიმე ქალი იყო, რომლებიც, ფაქტობრივად, ქვეყნას მართავდნენ. ძირითადად ისინი ახალგაზრდა იმპერატორების დედები იყვნენ, რომლებიც, შვილის სრულწლოვანებამდე, რეგენტებად იდგნენ ხელისუფლების სათავეში. ანდა, იმპერატორის მთავრი ცოლები, რომლებიც ჩრდილში იდგნენ, რეალურად კი იმპერიის პოლიტიკას განკარგუდნენ. თუმცა, ჩინეთის ისტორიაში ერთმა ქალმა — უ წ' თიენმა მოახერხა ძალაუფლების კიბის სათავემდე ასვლა, ჩრდილიდან გამოსვლა და იმპერატორის ტიტულის მიღება.

უ წ' თიენი დაიბადა 624 წელს (სხვა ვერ-სიებით, 623 ან 625) უ შ' ხუო-ს ოჯახში. უ შ' ხუო წარჩინებული გარის წარმომადგენელი იყო, რომლის წევრებსაც სუის დინასტიის დროს (581-618) ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობები ეკავათ. რადგან უ შ' ხუო მეოთხე ვაჟი იყო, მემკვიდრეობიდან მცირე ნაწილი ერგო და ამიტომ ვაჭრობას მიჰყო ხელი. მისმა წამოწყებამ გაამართლა და ხეტყით ვაჭრობით გამდიდრდა. სუის დინასტიის ბოლო წლებში იგი დაუმეგობრდა ლი იუენს. ამ უკანასკნელმა აჯანყება მოაწყო სუის საიმპერიო გვარის წინააღმდეგ და 618 წელს თანის დინასტია (618-907) დაარსა. უ შ' ხუო აქტიურად უკრდა ლი იუენს მხარს, მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებშიც და თანის გამარჯვების შემდეგ, ორი პროვინციის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა მიიღო. მადლიერმა ლი იუენმა უ შ' ხუოს მეორე ცოლად შეურჩია სუის საიმპერიო გვარის — იანგის წარმომადგენელი. სწორედ მეორე ცო-



უ წ' თიენი (624-705) — ქალი, რომელიც ჩინეთის იმპერატორი გახდა (XVIII საუკუნის პორტრეტი)

სუის დინასტიის იმპერატორი იან-დი, რომელიც 618 წლის აჯანყებულებმა განდგნეს





ლი օუენი (618-626) — თანის დინასტიის
დამარცხებული

14 წლის იყო უწ' თიენი, როცა იმპერატორ თაიწონგა (626-649) შეხვდა. იმპერატორი



ახალგაზრდა
უწ' თიენი.
XVII
საუკუნის
პორტრეტი

როცა იმპერატორი თაიწონგი გარდაი-
ცვალა, კანონის მიხედვით, ყველა უშვილო
ხარჭას თავი უნდა გადაეპარსა და ბუდისტურ
ტაძრში მონაზვნად აღკვეცილიყო. თუმცა,
ბუდასადმი ლოცვა უ წ' თიენის ბედისწერა
ნამდვილად არ იყო. მონასტერში შესვლი-
დან მალევე უ წ' თიენი შემთხვევით შექვდა
ახალ იმპერატორს — კაოწონგს (649-683),
რომელიც მამისთვის შესაწირის რიტუალის
აღსასრულებლად იყო ტაძარში მისული.
რამდენიმე წყაროს მიხედვით, კაოწონგს ჯერ
კიდევ მამამისის სიცოცხლეშივე შეკვერებია
უ. ბუნებრივია, ახალ იმპერატორს მასთან
შექვედრისას გრძნობები განუახლდა. უ-ს
სასარგებლოდ განვითარდა მოულენები იმპე-
რატორის ჰარამსანაშიც. მთავარი ცოლი —
დედოფალი ვანგი ეჭვიანობდა იმპერატორის
ფაორიტზე — ხარჭა სიაოზე, რომელსაც
გაჟი ჰყავდა კაოწონგისაგან, თვითონ კი უშვი-
ლო იყო. უ წ' თიენის გამოჩენა, მისი აზრით,
იმპერატორის ეურადღების სხვა ქალზე
გადატანის საშუალება იქნებოდა, რომელ-
საც, სიაოსგან განსხვავებით, ზურგს ძლიერი
ოჯახი არ გაუმაგრებდა. დედოფალ ვანგის
წახალისებით, კაოწონგმა უ ხარჭად აიყვნა. თუმცა,
მოვლენათა განვითარებამ აჩვენა, რომ
უ-ს ამბიციები და შესაძლებლობები უფრო
მეტი იყო, ვიდრე ვანგს ან სიაოს შემდლოთ
ჯმკლავება.

651-655 წლებს შორის პერიოდში უწინდეთი ხელ-ხელა იმაგრებდა პოზიციებს იმპერატორის კარზე. მოსამსახურუ პერსონალთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და ჯაშუშთა ფართო ქსელი ჰყავდა. 652-653 წლებში იმპერატორს გაჟები გაუზინა. ოუმცა, მთავარი მოწინააღმდეგების — ვანგისა და სიათს მოსამორებლად მეტი იყო საჭირო. ორივე მათგანი ძლიერ არის სტიკრატიულ ოჯახს

წარმოადგენდა და მმართველობის მაღალ ეშელონებში მხარდამჭერებიც ჰყავდათ. ამ წინააღმდეგობის გადასალახად უ-მ რადი-კალურ ზომებს მიმართა. კერძოდ, გამოიყენა თავისი ახალშობილი ქალიშვილის უეცარი გარდაცვალება და მისი სიკვდილი დედოფალ ვანგს დააბრალა, რომელიც ხშირად დადიოდა ჩვილთან სათამაშოდ. გავრცელებული ვერსიით, ბავშვი თვითონ უ-მ მოკლა, როცა დედოფალმა ვანგმა თამაშის შემდეგ ჩვილის თოახი დატოვა. მომდევნო წელს დედოფალი ვანგი და მისი დედა ჯადოქრობაში დაადანაშაულა, რაც კანონით აკრძალული იყო. იმპერატორისთვის ეს საკმარისა აღმოჩნდა, რომ ვანგისთვის მთავარი ცოლის ტიტული ჩამოერთმდა და ამ რანგში უ წ' თიენი აღეზე-ვებინა. ახალი თანამდებობის მიღებიდან მა-ლევე უ-ს ბრძანებით ვანგი და სიაო შეიპყრეს და სასტიკი წამებით მოკლეს.

656 წელს იმპერატორმა ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა უ წ' თიენის ვაჟი — ლი ხონგი. 656-659 წლებში უ-მ მთავრობას ჩამოაცილა კველა გავლენიანი მინისტრი, რომელიც მის აღზევებას ეწინააღმდეგებოდა და პოლიტიკოსთა საკუთარი ჯგუფი შექმნა. 660 წელს იმპერატორს კაოწონგს ძლიერი შეტევა ჰქონდა... საერთოდ, იმპერატორი პიროვნული სძლიერით არ გამოირჩეოდა. ის ძლიერი მამის სუსტი შვილის ტიპური მაგალითი იყო. კაოწონგის სხეულიც ისეთივე სუსტი იყო, როგორიც მისი პიროვნება. პერიოდულად შეტევები ჰქონდა (ამ დროს მუდმივი თავის ტკივილი აწუხებდა) და ზოგჯერ იძდენად მძმეც, რომ სახელმწიფოს მართვისაგან დიდი ხნით ჩამოცილება უწევდა. 660 წლის შეტევის შემდეგ მისი მდგომარეობა იმდენად დამხმადა, რომ იმპერიის მართვა დედოფალმა აიღო თავის თავზე და ეს კარგადაც მოახერხა. იმდენად კარგად, რომ კაოწონგის გამოჯანმრთელების შემდეგაც თვითონ იღებდა გადაწყვეტილებებს.

ვერ ვიტყვით, რომ კაოწონგი ვერ ამჩნევდა ცოლის ამბიციებს ან თავს უხერხულად არ გრძნობდა თავისი უფლებების დამცრობით. 664 წელს ერთ-ერთ მინისტრთან — შანგ კუანგ ი-სთან შეთანხმდა, რომ მინისტრი დაწერდა საჩივარს დედოფალზე, იმპერატორი კი საჩივარს მიიღებდა და უ-ს გადააყენებდა. თუმცა, სანამ საჩივარი დაიწერებოდა, ჯაშუ-შების მეშვეობით უ-მ ამის შესახებ შეიტყო



唐太宗皇帝之真像

იმპერატორი თაიწინგი (626-649)

და იმპერატორს განრისხებული გამოეცხადა. თანის დინასტიის დამარსებლებს ნამდვილად შერცხვებოდათ საიმპერატორო ტახტზე ისე-თი კაცის ჯდომის, რომელიც გაბრაზებული ცოლის წინაშე ბოდიშების მოხდასა და „და-ნაშაულთა“ სხვისთვის გადაბრალებას დაიწყებდა. საბოლოოდ, უ-მ თანამდებობა შეი-ნარჩენა, ხოლო შანგ კუანგ ი გადაასახლეს.

იმპერატორი თაიწინგი (ქვემოთ, ცენტრში)
გამოსახულია 642 წლით დათარიღებულ ფუსკაზე
დაუნახუანგის ერთ-ერთ გამოქვაბულში





იმპერატორი კაოწონგი (649-683)

ტანგბის კარის საგაზაფხულო გასეირნება
(იმპერატორ კაოწონგის ეპოქის შატგარი)

ძალაუფლების სივის ბრძოლაში უ-ს არა მარტო მინისტრებთან, არამედ თავის შვილებთანც მოუწია დაპირისპირებამ, კერძოდ, ტახტის მემკვიდრეებთან. 670 წელს კაოწონგს ისევ შეტყვა ჰქონდა და იმპერიის საქმეები დროებით მემკვიდრემ — ლი ხონგმა ჩაიბარა და სათნადოდ გაართვა კიდეც თავი. ამასთან, ლი ხონგი უკმაყოფილო იყო იმპერატორის საქმიანობაში დედის ჩარევით. იმავე 670 წელს ლი ხონგი მოულოდნელად გარდაიცვალა. წყაროებისა და ისტორიკოსების ვარაუდით, მის ნააღრევ სიკვდილში უ-ს ხელი უნდა ერიოს. სავარაუდოდ, მან საჭმლით მოწამლა უფროსი შვილი. ტახტის ახალ მემკვიდრედ გამოცხადდა უ-სა და კაოწონგის მეორე ვაჟი — ლი სიენი. მოვლენები ამ შემთხვევაშიც დაახლოებით იმავე სცენარით განვითარდა. ლი სიენს არ მოსწონდა, რომ საიმპერიო კარზე დედამისის სახით ქალი დომინირებდა და მის წინააღმდეგ იყო განწყობილი. უ წ' თევნმა დაარწმუნა კაოწონგი, ლი სიენისთვის ჩამოერთმია მემკვიდრის სტატუსი და გადაესახლებინა. ახალ მემკვიდრედ მათი მესამე ვაჟი — ლი სიანი გამოცხადდა.

683 წელს იმპერატორი კაოწონგი გარდაიცვალა და ტახტი დაიკავა ლი სიანმა სახელით — ჰონგწონგი (683; 705-710). კაოწონგმა თავის ანდერძში დაწერა, რომ ტახტის მემკვიდრეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები დედა რეგენტთან — უ წ'



თიენთან კონსულტაციის შემდგე უნდა მიეღო. ერთი მხრივ აქ ისე ჩანს, რომ კაოწონგი უ-ს ღიად რთავს საიმპერიო საქმეებში ჩარევების ნებას, თუმცა რეალურად ეს ანდერძი იყო უ-ს ძალაუფლების შესუსტებისა და მთავრობის საქმეების ყოველდღიურობიდან გამევების მცდელობა. მაგრამ ნათქვამია, თქმა გაკეთებაზე ადვილია. ახალმა იმპერატორმა სცადა თავის ნებაზე პოლიტიკის წარმართვა და რამდენიმე ახალი მინისტრი დედის ნებართვის გარეშე დანიშნა. უ-სოვის ეს საკმარისი გაფრთხილება იყო მომავალი საშიშროების შესახებ. ჭონგწონგის ტახტზე ასვლიდან ექვსი კვირის შემდგე უ წ' თიენი არმიის თანხლებით შევიდა იმპერატორის დარბაზში და იმპერატორი, შეუსაბამო მართვის გამო, გადაყენებულად გამოაცხადა. ახალ იმპერატორად გამოცხადდა უ-ს მეოთხე გაუი — ლი ტანი უუეიწონგის (683-690; 710-712) სახელით. უუეიწონგი უკვე ნამდვილი თოჯინა იყო უ წ' თიენის ხელში, იმის უფლებაც კი არ ჰქონდა, სასახლის საიმპერატორო ნაწილში გადასულიყო და ფაქტობრივად, შინაპატიმრობაში (ცხოვრობდა).

684-690 წლებს შორის პერიოდში უ წ' თიენმა რაღიკალური ნაბიჯები გადადგა ყველა მოწინააღმდეგის მოსაშორებლად.

იმპერატორი კაოწონგი. ცინგის დინასტიის (1644-1911) სამპერატორო საზაფხულო სასახლის გაღერძის მოხატულობის ფრაგმენტი. სასახლის პარკი 3 ათასი ნაგებობით შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში

გაწმინდა მთავრობის ზედა ფენა, თანის საიმპერატორო გვარის 13 შტო გაწყვეტინა, ქუჩებში დადგა ბრინჯაოს ფუთები, რომელშიც ხალხს ძოლალატების დასმენის წერილები უნდა ჩაეყარა. ბუნებრივია, ასეთ ღია დესპოტურ ქმედებებს თავისი გამოძახილიც ჰქონდა. 684 წელს პირველი ფართომასტრაბაზინი აჯანყება დაიწყო უ-ს წინააღმდეგ, თუმცა ის მალევე ჩაახშეს. უფრო დიდი საფრთხის შემცველი იყო 688 წლის აჯანყება. ამ წელს უ-მ თანის საიმპერიო გვარის წარმომადგენლები მოიწვია დედაქალაქში ცერემონიალზე დასასწრებად. უ-ს პიროვნებისა და წარსული ქმედებების გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, მათ მიიჩნიეს, რომ ეს მახე იყო, რათა ისინი შეეკრიბათ და ერთად ამოქმოცათ. ამიტომ საიმპერიო გვარის რამდენიმე შტო აჯანყდა. რამე მნიშვნელოვანი შედეგი არც ამ აჯანყებას მოჰყოლია.

80-იანი წლების ბოლოს უ წ' თიენის ძალაუფლება რეალურად უზენაესი იყო ჩინეთში. თუმცა, მაინც რჩებოდა იმპერატორი. მართალია, ის შინაპატიმრობაში ცხოვრობდა და არანაირი ძალაუფლება არ ჰქონდა, მაგრამ თვით ტიტული იმპერატორისა მაინც უმაღლეს ძალაუფლებას ატარებდა. ამიტომ უ-მ გადაწყვიტა, ძალაუფლების კიბეზე თა-



ჩინეთის ისტორიიდან



ჩინეთი
უწ' თიენის
მმართველობის
ძერთობა
(690-705)

ვისი აღმასვლა იმპერატორად გახდომით დაგვეირგვინებინა. ჯერ კიდევ კაოწინგის სიცოცხლეში გამომედავნდა უ-ს სურვილი, ყოფილიყო იმპერატორის თანასწორი. კერძოდ, 674 წელს უწ' თიენის რჩევით იმპერატორმა გადაწყვიტა თასის მთაზე მიწისა და ცისთვის შესაწირის რიტუალი აღესრულებინა. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მქონე რიტუალი, რომელიც იმ ღროისთვის უკანასკნელად ახ.წ. I საუკუნეში გაიმართა. მთა თაი ჩინეთის ერთ-ერთი წმინდა მთაა, რომელზეც მსხვერპლშეწირვის პრეროგატივა მხოლოდ იმპერატორს ჰქონდა. იმპერატორი კაოწინგი მთაზე ავიდა პროცესიასთან ერთად და რიტუალი აღასრულდა. მალევე მას თავისი, ქალებისგან დაკომპლექტებული პროცესით, გაჰყვა და რიტუალი გაიმეორა უწ' თიენმა. კონფუციანური მოძღვრებით, ეს ქმედება უძალლესი დანაშაულის ტოლფასი იყო, თუმცა, უსთან შეპასუხება ვერავინ გაძედა.

690 წელს ჩინეთის ისტორიაში პირველად და უკანასკნელად, ტიტული, რომელიც თავის ღროჩე ცინ შ' ხუანგ ტიმ (ძვ.წ. 259-210) შექმნა („ხუანგ ტი“ – იმპერატორი), მიიღო ქალმა. უ-მ გამოაცხადა თანის დინასტიის დასრულება და ჭოუს დინასტიის დაარსება (690-705). ჭოუს დინასტია ტახტიდან მისი გადაყენებისთანავე გაუქმდა და თანი აღდგა, ამიტომ უწ' თიენის მიერ გამოცხადებულ ჭოუს დინასტიად არ ცნობენ.

იმპერატორად გახდომის შემდეგ უ-მ რეპრესიები შეამსუბუქა. მეტიც, 697 წელს თავისი სადამსჯელო მანქანის მეთაურიც კი სიკვდილით დასაჯა. წინა იმპერატორი – უეიწინგი ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა, თუმცა 698 წელს ტახტის ახალ მემკვიდრედ დანიშნა ლი სიანი – ყოფილი იმპერატორი ჭინგწინგი. უწ' თიენის მმართველობისას იმპერიის საგარეო პოლიტიკა და დაყრობითი ომები წარმატებით მიმდინარეობდა. 692 წელს ტიბეტისგან დაიბრუნა ანსის პროვინცია დასავლეთით. თუმცა, უდიდესი კრიზისის გადატანამაც სწორედ იმპერატორობის სანაში მოუწია. 695 წელს ჩინეთს ტიბეტი დაესხა თავს, მომდევნო წელს კი ხიტანების მომთაბარე ტომები და ახალი აღმოსავლეთი თურქთა სახაკანი. მათ წინააღმდეგ მოქმედებისას გამოვლინდა უ-ს მოთმინება და გამჭრიახობა. მან ისარგებლა ტიბეტელების მმართველ წრეებში უთანხმოებით და ჯაშუშების მეშვეობით ეს კონფლიქტი გაამწვავა. შედეგად, ტიბეტში ძასტტაბური შინაოში დაიწყო და მომხდეულებიც ჩინეთს გაეცალნენ. ჩრდილოეთის ფრონტზე თურქებს გაურიგდა, რომ მათ მეთაურს პრინცესას მიათხოვებდა და მაღალი რანგის ტიტულებს უბოძებდა, თუ ხიტანებს შეუტევდნენ. 696-697 წლებში თურქებმა მართლაც დაამარცხეს ხიტანები და ჩრდილოეთით განდევნეს. საბოლოოდ, თურქების წინააღმდეგ უწ' თიენმა მასობრივი

მობილიზაცია გამოაცხადა და უზარმაზარი არმიით მათი განდევნაც მოახერხა.

მმართველობის უკანასკნელ წლებში უ წ' თიენმა ორი საყვარელი გაიჩინა — მმები ჭანგები. ეს მმები აქტიურად იყენებდნენ უ-ს წყალობას და ძალაუფლებისა და ფულის მოხვეჭას შეუდგნენ. საბოლოოდ, საიმპერატორო კარზე ეველა გადაიმტერეს. 705 წლის დასაწყისში ძინისტრებმა ტახტის მექვიდრე ლი სიანის მეთაურობით შეთქმულება მოაწყვეს და უ წ' თიენი გადაეცენებულად გამოაცხადეს. ტახტზე ავიდა ლი სიანი — ჭონგწონგი და თანის დინასტია აღდგა. თუმცა, ახალ იმპერატორს დედისთვის ძალაუფლების ჩამორთმვის გარდა, სხვა არაფერო დაუშავება. უ კვლავ ინარჩუნებდა დედა რეგენტის თანამდებობას და 705 წლის დეკემბერში დრმად მოხუცებული გარდაიცვალა საიმპერატორო სასახლეში.

როგორ შეიძლება შევაფასოთ უ წ' თიენი? როგორც პიროვნება, ის იყო უპრინციპორ, სასტიკი, შეუბრალებელი ადამიანი. ძალაუფლების მისაპოვებლად მან უკან არაფერზე დაიხია — გადაასახლა და სიკვდილით დასაჯა უამრავი ნიჭიერი პიროვნება. არ დაინდო არც საკუთარი ოჯახი — მოკლა მინიმუმ ორი შვილი, დისშვილები, ძმები, იმპერატორის დეიდა, საიმპერატორო გვარი ლამის მთლიანად გაელიტა. ასაკში შესვლასთან ერთად უფრო და უფრო მეტად აპყვა ვნებებს. აღსანიშნავია, რომ კაოწინგის სიცოცხლეში უ წ' თიენი ქმრის ერთგული იყო. თუმცა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე ფაფორიტი ჰყავდა. 685-695 წლებში ერთი ბუდისტი

ბერი იყო მისი საყვარელი, VIII საუკუნის დასწყისში კი ზემოხსნებული მმები ჭანგები. თუმცა, შეუძლებელია იმის აუღიარებლობაც, რომ იგი დაჯილდოებული იყო მმართველობის დიდი ნიჭით კონფუციანიზმის საფუძველზე აშენებულ საზოგადოებაში, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმეს ყველა ასპექტში ქალი კაცთან შედარებით მეორებარისხოვან სოციალურ როლს იკავებს, ქალის იმპერატორობა ბევრს მეტყველებს ამ ქალის უნარებზე.

ამდენად, ცალკე განსახილველი საკითხია უ წ' თიენი, როგორც მმართველი. მართალია, ძალაუფლებისთვის არაერთი ამორალური და საშინელი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ როცა ხელისუფლების სათავეში მოვიდა, შესაშური კომპეტენტურობით მართავდა იმპერიას. თვით მომდვერო ხანის კონფუციანული ისტორიის სიცოცხლეშიც, რომლებიც ძირითადად აძაგებენ მას სოციალური ნორმების დარღვევისა და სხვა დანაშაულებისთვის, აღიარებენ, რომ უ წ' თიენი კარგი მმართველი იყო. მის მთავარ ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს ნიჭიერი ხალხის შექმნება და მათი დაწინაურება. მის დროს საიმპერიო გამოცდები, რომელიც მართალია, უკვე დიდი ხანია არსებობდა, დაიხვეწა და უფრო ობიექტური გახდა. უ დიდ ყურადღებას აქცევდა, რომ საზოგადოების დაბალი უკიდურეს ნიჭიერი ხალხი აეყვანათ სამთავრობო სამსახურში. ამგვარად ზღუდვიდა ძლიერი, წარჩინებული ოჯახების ძალაუფლებას.

უ წ' თიენის მმართველობის პერიოდში იმპერია არა მხოლოდ გაფართოვდა, არამედ



ჩინელი
მსახიობი
ჭანგ პანგ
პიტი
უ წ' თიენის
როლში 2014-
2015 წლების
სერიალიდან
„ჩინეთის
იმპერატორი“



ლუნმენის ბუდისტური კომპლექსი. ცენტრში — გაიროჩანა ბუდა

გაუმჯობესდა შიდასაიმპერიო აღმინისტრაცია. თანის დინასტიის დაარსებიდან მოყოლებული, მუდმივი პრობლემა იყო გლეხების აღრიცხვა და შესაბამისად, გადასახადების აკრეფა. ეს აისახებოდა ეკონომიკაზეც. უწ' თიენი დიდი კურადღებით მოეკიდა ამ საკითხს. მოწესრიგდა სააღრიცხვო და საგადასახადო სისტემა, ეკონომიკაშიც სტაბილური ზრდა აღირიცხა. უწ' თიენი ცდილობდა, გლეხებისთვის სამუშაო და საცხოვრებელი პირობები გაეუმჯობესებინა — შეამცირა გადასახადები, 696 წელი გლეხებისთვის გადასახადებისგან თავისუფალ წლად გამოაცხადა. შესაბამისად, დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოსახლეობის ფართო ფენებში. ამიტომაც იყო, რომ 684 და 688 წლის აჯანყებებში ფართო მასები არ მიმხრობიან ამბოხებულებს.

საინტერესოა რელიგიისადმი მისი დამოკიდებულება. მნელია თქმა, რომელი რელიგიისა სწამდა უწ' თიენს. კაოწონგის სიცოცხლეში იმპერატორმა და დედოფლმა წინ წამოსწიეს დაოიზმი — ბუდიზმის საპირწო-

ნედ, თუმცა 685-695 წლებში უ-ს ბუდისტი საყვარელი ჰყავდა და ამ პერიოდში ბუდიზმს უჭერდა აქტიურად მხარს. მეტიც, მან მა-ჰაიანას ბუდიზმის ერთ-ერთი ლეგენდა ბუდას სელმეორუედ მოვლინებაზე ქალის სახით, გამოიყენა და იმპერატორად გახდომისას თავი ბუდად გამოაცხადა. 692 წელს ღორების დაკვლაც კი აკრძალა ბუდიზმის გავლენით. დიდი თანხები გაიღო ლუნმენის ბუდისტური კომპლექსის მშენებლობისთვის. თუმცა, 695 წელს ბუდისტი საყვარელი მოიშორა და კონფუციანიზმის პროპაგანდა დაიწყო, რაც ერთობ პარადოქსულია, რადგანაც მისი იმპერატორობა კონფუციანიზმის ძირულ დოგმებს საფუძველშივე ეწინააღმდევებოდა.

დღემდე არ წყდება დავა უწ' თიენის მმართველობის შედეგებსა და მის პიროვნებაზე. არსებობს დიამეტრულად განსხვავებული მოსაზრებები ამ საკითხზე. თუმცა, ერთი რამ აშკარაა — ამ ჰკვიანი და სასტიკი ქალის სახელი ოქროს ასოებით არის ჩაწერილი მსოფლიოს ისტორიაში.

ოთარ ზიღლაპა

მინერალის მოკლე აზრები

მარვის ტყვეობაში

მიანმარში იპოვეს ქარვის ნატეხი, რომელშიც პატარა გველია (გველის წიწილი) ჩაჭედილი და რომელიც საფრაუდო 99 მილიონი წლისაა. ცარცული პერიოდის ნამარხი საკმაოდ პატარაა, სიგრძით 4,75 სმ-ია, არ აქვს თავი და 97 ძვლისგან შედგება.

ახალ სახეობას მკვლევრებმა *Xiaophis myanmarensis*-ი უწოდეს და მააჩნიათ, რომ ის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დღეს გარცელებულ გველებს ენათესავება.

მაიკლ კალდუელი, პალეონტოლოგი: „იმის მიუხედავად, რომ ეს გველი ახალშეობილია, გამოირჩევა მრავალი ისეთი მახასიათებლით, რაც ამ სახის ნამარხ გველებში აქამდე არასოდეს გვინახვეს. ჩვენს ხელთ არის ტყის ბინადარი გველის პირველი აშკარა, ნამარხი მტკიცებულება“.

მკვლევართა განცხადებით, ეს ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია ამ დრომდე აღმოჩენილთა შორის და მრავალ საინტერესო კითხვასაც წარმოშობს.

მაიკლ კალდუელი: „უცნობია, ეს ადრეული გველები ცოცხალშემობნი იყენებს თუ კვერცხიდან იწევებოდნენ. არც ის ვიცით, ქარვის წებოვან მასაში კვერცხი ჩავარდა და პატარა გველი იქ ისე აღმოჩნდა, თუ უშუალოდ ჩაიჭედა“.

სკეცალისტები ამბობენ, რომ ეს არსება ტყიან გარემოში ბინადრობდა, სადაც მრავლად იყო მწერები და მცენარეები, რადგან ქარვის ნატეხში ისინიც ჩაჭედილია.

ქარვის ნატეხი ასევე შეიცავდა ქერცლის ნარჩენებს. მეცნიერთა აზრით, ის უფრო დიდი გველისა უნდა იყოს. ოღონდ ჯერ დაუდგენელია, იმავე სახეობისაა თუ არა.

დედამიწის უძველეს ბინადართა ქარვაში ჩაჭედილი ნამარხების მოსაპოვებლად მიანმარი ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია. ივნისში მკვლევრებმა აქ ცარცული პერიოდის ბაყაყიც აღმოაჩინეს, რაც ტროპიკულ ტყებში ბაყაყების გაფრცელების პირველი უძველესი მტკიცებულება გახდა.

მიანმარში ასევე აღმოჩნილია ქარვის



გველის წიწილი ქარვის ნატეხში, საფრაუდოდ, 99 მილიონი წლის არის



ორი ტერმიტი მარადიულ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში

რამდენიმე მწერი ერთად ჩარჩა ქარვის ნატეხში



ნატეხებში ჩაჭედილი უძველესი ფრინველები, ქამელეონი, გამპირი ჭიანჭველა და დინოზავრის პატარა ბუმბულიანი კუდიც კი.

მომზადებულია

livescience.com-ის მიხედვით



ეუროპი
AUTO BILD
საქართველო
ცარმოგიძეგათ

Defender Deluxe

ჰერიტეიჯის დღი

როდესაც იტალიელი
დიზაინერი ბრიტანელ
საკულტო ავტომობილს
ხელს მოვიდებს, აი, ასეთი
რაღაც გამოსდის. მოდენაში
არის დიზაინ-სტერეინი

Ares Design,

რომელმაც

53 Land Rover

Defender

გაალამაზა.

ნახევარი უკვე

გაყიდულია.


თითო 215 000

ევრო ლირს.





ԱՌԵՏԻ ԽՈՎՈՒՅ
ՆԱՐԱՋԱԾ
ԱԿԱՆԱԿ
„AUTO BILD
ՆՈՎԵԼԻՏԱՎԱՆ
ՏԱՐԱՎԵՐՔ-ԽՄԱՆՈՒՅ
ՈԵՐԵԲՈ



სტალინი და უკრაინული ავტოკაფალიური ეკლესია

(დასასრული.

დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №92)

პირველი რეპრესიები

იურკო ტიუტიუნიკი გაათავისუფლეს. მალე მან გამოაქვეყნა წიგნი, სადაც პეტლიუ-როველთა მოძრაობა სასტიკად გააკრიტიკა და საბჭოთა ხელისუფლება აღიარა. ამის შემდეგ ტიუტიუნიკი სცენარისტი და კინომ-სახიობი გახდა. ფილმში „პაპ“ (П.К.П. — Пилсудский Купил Петлюру) მან საკუთარი თავი განასახიერა. მოგვაინგბით მწერალ მაიკ იოჰანსენთან ერთად დაწერა სცენარი ფილმისა „ზევნიგორა“, რომლის რეჟისორიც ალექსან-დრ დოგუენბო გახდა.

მიტროპოლიტი გასილი ლიპკივსკი მოღ-ვწეობას განაგრძობდა, საბჭოთა ხელისუ-ფლებას ის ყელში ძვალივით ეჩირებოდა. მიტროპოლიტი გამოცდილი კაცი იყო და ხვდებოდა, რომ ბოლშვიკები მის წინააღმდეგ დარტყმას ამზადებდნენ. ამიტომაც ხელისუ-ფლებას წერილით მიმართა. ლიპკივსკი წერდა, რომ უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადი-დებლური კელესია საქსებით აპოლიტიკური ორგანიზაციაა და შესაბამისად, პოლიტიკურ მოვლენებში არ ერგა.

— კელა ხელისუფლება ღვთისგანაა, — წერს ლიპკივსკი, — ჩენც ის უნდა მივიღოთ და მასზე ვიღოვთ. მიეც კისარს კისრისა, ასე გვასწვდის უფალი.

მიუხედავად ამისა, მალე ლიპკივსკი და-პატიმრეს. ამან მოულ უკრაინაში უდიდესი აღმფოფება გამოიწვია. საბჭოთა ხელისუ-ფლებაც იძულებული გახდა, მიტროპოლიტი გაეთავისუფლებინა. ამის შემდეგ ბოლშვიკები უფრო ფრთხილად მოქმედებდნენ.

— სტალინმა უშიშროების ორგანოების წი-ნაშე მოკლე, ნათელი ამოცანა დასახა: უკრა-ინის ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესია უნდა განადგურდეს. პირველი ნაბიჯი საამისოდ მიტროპოლიტ ლიპკივსკის თანამ-



მიტროპოლიტ გასილი ლიპკივსკის მემორიალური დაფა კუვში. კურაინის ავტოკეფალიურ კაცებისას ბოლშვიკებმა კურაფერი დაკავეს, სანამ მიტროპოლიტი წინამდებრობდან არ გადაკუნეს

დებობიდან ჩამოშორება უნდა ყოფილიყო, — წერს პროფესორი კლადიმირ სერგიიჩუკი, უკრაინელი ისტორიკოსი, მწერალი და პოლიტიკოსი..

ჩეკისტები სტალინის ბრძანების შესას-რულებლად ამოქმედდნენ. უკრაინის ავტოკე-ფალიურ მართლმადიდებლურ ეკლესიაში მალე ოპოზიცია შეიქმნა. მათ მიტროპოლიტ ლიპკივსკის გადაკუნება მოითხოვეს. მი-ტროპოლიტს აგრძნობინეს, რომ ეს თავად სტალინის მოთხოვნა იყო.

— თუ გაჯიუტდები, ცუდი დღე დაგადგება!

— რაკი ასეა, არ გადავდგები, — მიუგო ლიპკივსკი.

რამდენიმე დღის შემდეგ მიტროპოლიტი დაპატიმრეს. ამან კვლავ უკუევექეტი მო-ხდინა. უკრაინაში მასობრივი საპროტესტო ტალღა აზვირთდა. ხელისუფლება კვლავაც იძულებული გახდა, ლიპკივსკი გაეთავისუ-ფლებინა.

მალე გპუ-ს (სახელმწიფო პოლიტიკური სამართველო) ახალმა შეფიქ ვიაჩესლავ მენჯინსკიმ სტალინს მოახსენა:

— კიევში დაბრუნებულ ლიპკივსკის მეფური დახველრა მოუწყვეს. უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის გავლენა გაიზარდა.

— ცუდია, — ჩუმად წარმოთქვა სტალინმა, — ძალიან ცუდი.

მენჯინსკიმ არაფერი უპასუხა, მხოლოდ თვი დახარა.

„გადაყოვება“ ბოლშევიკურად

ჩეკისტები გულდასმით ამზადებდნენ შემდომ დარტყმას. 1927 წელს საეკლესიო კრება მოიწვიეს, რომელსაც მიტროპოლიტი ლიპკივსკი თანამდებობიდან უნდა გადაყენებინა.

მიტროპოლიტი ჯიუტობდა. მას იმდენად დიდი აუტორიტეტი ჰქონდა, რომ ე.წ. ოპოზიციამ ვერაფერი მოუხერხა. მაშინ შენობაში, სადაც კრება მიმდინარეობდა, შეიარაღებული ჩეკისტები შეიჭრნენ.

— ან ლიპკივსკის გადააყენებთ, ან აქედან ცოცხალი ვერც ერთი ვერ გახვალო!

ამან გაჭრა. ლიპკივსკი გადააყენეს.

სტალინმა მიტროპოლიტის გადააყენების ამბავი შშვიდად მოისმინა. ჩიბუხი ამოიღო, მოუკიდა.

— ახლა გადამწყვეტი დარტყმის დრო დადგა! — ჩუმად წარმოთქვა მან.

— აჩქარება არ არის საჭირო. ყველაფერი სუფთად უნდა გაკეთდეს, გასაგებია?

ჩეკისტებმაც დაიწყეს სამზადისი უკრაინის ეკლესიის საბოლოო განადგურებისთვის.

გაუტახელი ტიუტიუნიკი

1929 წელს საბჭოთა კავშირში კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია დაიწყო. მათი განუყოფელი თანმხლები იყო მასობრივი რეპრესიები. სწორედ მაშინ დადგა უკრაინული ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესიის განადგურების დროც.

— დაგეგმილი იყო მესაკუთრე გლეხების, ან როგორც ბოლშევიკები უწოდებდნენ, კულაკების მოსპობა. უკრაინული ავტოკეფალიური ეკლესიის მრევლს ძირითადად სწორედ ეს გლეხები წარმოადგენდნენ. შესაბამისად, ჩეკინი ეკლესიაც უნდა მოსპობილიყო,

— წერს სერგიიჩუკი.

სტალინური სქემა მარტივი იყო: უკრაინ-

აში აღმოაჩენენ ე.წ. იატაკევეშა ორგანიზაცია „უკრაინის განთავისუფლების კავშირს“. მის ხელმძღვანელებს შორის იქნებიან როგორც უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის წარმომა-დგენლები, ასევე ავტოკეფალიური ეკლესიის იერარქებიც. ეს საუკეთესო საბაზი იქნება ამ ეკლესიის გასანადგურებლად, რადგან მათი აზრით, ეკლესიას, რომელიც ანტისაბჭოთა შეთქმულებებს აწყობს, არსებობის უფლება არ აქვს.


ამგვარი პროექტისთვის იურკო ტიუ-ტიუნიკი ზედგამოჭრილი ფიგურა გახლდათ. ყოფილი პეტლიაუროველი ატამანი არ შეიძლებოდა, შეოქმულებათ დაკავშირებულა არ ყოფილიყო. ტიუტიუნიკის პატრიოტულა საქ-მიანობა წარსულს ჩაპარდა, საბჭოთა კავშირ-ში დაბრუნების შედეგ ის ლოიალურ საბჭოთა



კადრი
ფილმიდან
„პკ“
(1926 წ.)



ფოლძ
„პკ“-ში
იურკო
ტიუტიუნიკი
საქოთარ თავს
განასხვილებს



იურკო
ტიუტიუნიკი
ჩეკისტების
წარმომადგენ
მკრამ ვერ
გატეხს



ანდრია პირველწოდებულის ტაძარი კიცხში (უკრაინის უტრიკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია)

მოქალაქედ გადაიქცა, წერდა წიგნებს, კინოს-ცენარებს, თამაშობდა ფილმებში, კითხულობდა ლექციებს წითელი ზემდევების სკოლაში, მაგრამ ჩეკისტებისთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ისინი ამბობდნენ, რომ ყოფილი პეტ-ლიუროველი ოვალთმაცცობს, ის ლიოალური საბჭოთა მოქალაქეებს ნიდაბს ამოეფარა, რათა ანტიისაბჭოთა შეთქმულებები მოიწყოს.

ტუშტიუნიკი დააპატიმრეს, სარჯოვიდან
მოსკოვში გადაიყვანეს. გამომძიებელმა ლა-
ვრენტი ჯანჯღავამ პირდაპირ განუცხადა:
იტყვა, რომ ასტაკევემა კონტრრევოლუციური
ორგანიზაცია შექმნის, საბჭოთა უკრაინისგან
ჩამოშორება და ბურჟუაზიული დამოუკიდე-
ბელი სახლებისათვის შექმნა სურდა.

— თუკი ამას იტყვი, ერთ წელიწადს მო-
გისჯიან, შემდგა ამნისტიით გამოხვალ. გელის
დაწინაურება, პრეზიდენტი.

— და ვინ უნდა დამხმარებოდა ამაში? —
ტიუტიუნიკი ოდნავ წინ წამოიწია.

— უკრაინის მეცნიერებათა აკადემიისა
და ავტომატური ექლეგისათვის იერარქები!
ექლეგისათვის თქვენ ხომ იარაღის საწყობები
გქონდათ!

— ეგ ტყუილია!

— მაგას არ აქვს მნიშვნელობა! ოუკი ამას იტყვი, ხელისუფლება დაგიფასებს. არა? შენს თავს დააბრალე, რაც მოგიზ!

ტიუტიუნიქმა უარი განაცხადა. სტალინის პირადი ბრძანებით იგი აწამეს.

— ამბობქ, რომ გაუტეხელი ადამიანები
არ არსებობენ. არიან კარგი ან ცუდი გა-
მომძიებლები. კარგი გაგტებს, ცუდი ვერა!
თუმცა არსებობქ გამონაკლისები, ვისი
გატეხვაც შეუძლებელია, — წერს ცნობილი
მწერალი და გრუ-ს ყოფილი ოფიცერი ვიქ-
ტორ სუკოროვი.

ଓৰুৱাৰ ত্ৰিশুলীয়ন্দিগী আৰ কৃত কৰণুকেন্তৰে
গুৰুত্বপূৰ্ণ ঘটনাবলো। ইস ফাল্গুণীসাৰ শৈমোৱজড়াত,
মাঘৰাম ঝৱৰ গাৰ্হণ্যৰে। রূপা স্তোলণীস আমোৰ
শীষাৰ্থৰ মোক্ষেণ্যৰে, ডোকিৰামৰূপৰ কাষণীকৰণো।

— სამწუხაროა, რომ ეს კაცი ვერ გად-
მოვიბირეთ.

მალე საბჭოთა გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, რომ პეტლიურას არმიის ყოფილი გენერალი იურკო ტიუტიუნიკი ჯაშუშობაში ამხილეს და სასამართლომ მას დაწვრეტა მიუსაჯა.

ავტოკავშალიური ეკლესიის განადგურება

ტიურიზმის სიკვდილმა სტალინი ვრცელდა შეაჩერა. მალე დაპატიმრეს უკრაინული აგტორები უკრაინული ეკლესიის წინამძღვრები, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი სერგეი ეფრემოვი, აკადემიკოსები ვლადიმირ დურდუკოვსკი, ლიუდმილა სტარიცკაია-ჩერნიახოვსკაია, იოსიფ გერმაზე, ვსევოლოდ განცოვი და სხვები. მალე ხარკოვის გაზტომა „ვისტიმ“ სქენსაციური ცნობა დაბეჭდა:

— မ ხ ი ლ ე ბ უ ლ ი ა მ ს ხ ვ ი ლ ი ი ა ტ ა კ ე ვ შ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა „ უ კ რ ა ი ნ ი ს გ ა ნ თ ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს კ ა ვ შ ი რ ი “ (CBY). მ ი ს ი ც ე ნ ტ რ ი უ კ რ ა ი ნ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა ა კ ა დ ე მ ი ა ს ა დ ა უ კ რ ა ი ნ ი ს ა გ ტ რ კ ე ფ ა ლ ი უ რ მ ა რ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ლ უ რ ე კ ლ ე ს ი ა შ ი ი მ პ ი რ ი ბ რ დ ა.

სენაციური ინფორმაცია მოსკოვურმა „იზ-კისტიამა“ გადმობეჭდა.

— მხილებულია მსხვილი ანტისაბჭოთა შეთქმულება. მას უკრაინის ავტოკეფალიური ეკლესია და მეცნიერებათა აკადემიის იერარქები აწყობდნენ, — წერდა ცნობილი საბჭოთა პუბლიცისტი მიხაილ კოლცოვი.

— ნიღბები ჩამონანილია! არ არსებობს არავითარი უკრაინის მეცნიერებათა აკადემია! არ არსებობს არავითარი უკრაინული ეკლესია! არის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელიც მეცნიერებისა და რელიგიის ნიდაბსაა ამოფარებული! ესენი მკვლელები, ჯაშუშები და ტერორისტები არიან! — წერდა „იზვესტია“.

უკრაინაში მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო. იჭრდნენ ავტოკეფალიური ეკლესიის მღვდლებს, აკადემიკოსებს, მწერლებს, პოეტებს. გისოსებს მიღმა ცნობილი პოეტი მაქსიმ რილსკიც აღმოჩნდა. მართალია, პოეტი მაღლე გაათავისუფლეს, მაგრამ ამის შემდეგ მან სტალინზე ლექსების წერა დაიწყო და ჩვეულებრივ საბჭოთა ტრუბადურად გადაიქცა.

უკრაინის ავტოკეფალიური ეკლესიის მღვდლები ცრემლმორეული კითხულობდნენ, რა დაფშავეთ, კი, ბატონო, შესაძლოა ჩვენს რიგებში პეტლიუროველები შემოიპარენ, მაგრამ რა შუაშია მთლიანად ეკლესიაო?!

უკრაინის ცენტრალური კომიტეტის მდივანი პანას ლიუბჩენკომ მათ უპასუხა:

— გინდათ გადარჩეთ? მაშინ ავტოკეფალიაზე უარი განაცხადეთ!

— რაო?

— უკრაინის ავტოკეფალიურმა ეკლესიამ არსებობა უნდა შეწყვიტოს! ეს ამხანაგ სტალინის მოთხოვნაა! რეპრესიები მხოლოდ ამ შემთხვევაში შეწყდება!

* * *

1930 წელს, 9 მარტიდან 9 აპრილამდე, ხარკვის ოპერის თეატრში ე.წ. უკრაინის გათავისუფლების კავშირის პროცესი მოეწყო. განსასჯელთა სკამზე ისხდნენ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი სერგეი ეფრემოვი, აკადემიკოსები ნიკოლაი გერმაიზე, სტარიცკაა-ჩერნიახოვსკაია, მწერალი მიხაილ ივჩენკო, უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქები.

იურკო ტრიუტიუნიკი გამონაკლისი იყო. უკრაინელმა მღვდლებმა და აკადემიკოსებმა წამებას ვერ გაუძლეს. სერგეი ეფრემოვმა საჯაროდ განაცხადა: დიახ, ვაწყობდით შეთქმულებას, რათა უკრაინა საბჭოთა კავშირიდან მოგვწყვიტა.

— ჩვენი მიზანი იყო უკრაინის საბჭოთა კავშირიდან გასვლა, საბჭოთა ხელისუფლების მოსპობა და დამოუკიდებელი კაპიტალისტური სახელმწიფოს შექმნა, — თქვა ეფრემოვმა.

ავტოკეფალიური ეკლესიის იერარქებმაც აღიარეს, რომ იარაღის საწყობები მოწყვეს, რომ მომავალი აჯანყებისთვის იღეოლოგიურ სარჩელს თავად აზადებდნენ. აღიარეს, რომ ეკლესია-მონასტრების ტერიტორიაზე ტე-



ე.წ. უკრაინის განთავისუფლების კავშირის პროცესი სარკვის თეატრში (1930). 15 დამამანს მიუსაჯეს დაზერტა, 192-ს დაატიმრება, 87 უკრაინიდან გაასხლეს

განაჩენის გამოცხადებისას





მარც ხნიდან:
კლიმენტ
გორიშიძე,
ორსებ
სტალინი
და მიხაილ
კალინინი,
კომუნისტური
პარტიის XVI
ერთობის
დელეგატები
(1930 წლის
26 ივნისი)

რორისტებს აშხადებდნენ, რომ სასულიერო სემინარიები შირმა იყო და იქ ტერორისტთა წერთა მიმდინარეობდა...

CBY-ს სასამართლო პროცესი ჯერ არ იყო დამთავრებული, როცა ე.წ. საკლესიო კრება გაიმართა. უკრაინის ავტოკეფალურისა და მიმდინარეობის მდგარება მანას ლიუბჩევიკმ თავის მოკლამდე ჯერ საკუთარი ოჯახის წევრები ამოხოდა



ლიურმა ეკლესიამ არსებობა შეწყვიტა. ის რესული მართლმადიდებლური ეკლესის ნაწილი გახდა.

* * *

უკრაინული ეკლესიის დაბევვა და CBY-ს ფალსიფიცირებული პროცესი ტრაგედიის მხოლოდ პირველი მოქმედება იყო. შემდეგ იყო კოლექტივიზაცია, ხელოვნურად მოწყობილი მიმშილობა, რასაც 4 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. სტალინმა თვითისა მიაღწია. მან მოსპო უკრაინული ეკლესია, მოსპო მესაკუთრე გლეხობა (კულაკი), ანუ სოციალური ბაზა, რომელიც უკრაინულ ნაციონალიზმს ასაზრდოებდა. 1933 წელს მრავალი სოფლის სამწესოებში ერთად ამოწყდა მრევლიცა და მოძღვრებიც...

1934 წელს ლენინგრადში მოკლეს საბჭოთა მოღვაწე სერგეი კიროვი. ამან დიდი ტერორის მეორე ტალღას მისცა ბიძგი. ამჯერად სტალინი არმიის, პარტიული აპარატისა და უშიშროების ორგანოების წმენდას შეუდგა. პიკი 1937 წელი იყო, როცა უამრავი ადამიანი გახდა მასობრივი რეპრესიების მსხვერპლი. 1937 წლის მერე აღარ დარჩენილა არც ერთი მოქმედი ეპისკოპოსი, რომელიც უკრაინის ავტოკეფალიური ეკლესის წევრი იყო, არც ერთი სამწესო უკრაინულ ენაზე ღვთისმსახურებით.

ბედის მწარე ირონიით, დიდი ტერორის მეორე ტალღის მსხვერპლი გახდნენ უკრაი-

ნელი აკადემიკოსები და სასულიერო პირები, რომლებიც CBY-ს პროცესზე გაასამართლეს. მაშინ მათ 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს და სოლოვკიზე (სოლოვეცის კუნძულები) გააგზავნეს. 1938 წელს კი ყველა მათგანი დახვრიტეს. საბჭოთა ტრადიციების სრული დაცვით, რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდენ ისინიც, ვინც CBY-ს სასამართლოს ფარსი დადგა. შემდეგ სტალინის დაქალებით უკრაინაში ხელოგნური შიმშილობა მოწყო. სისხლიანმა ქარბორბალამ შეიწირა პარტიული მუშაკები პაველ პოსიტშევი, იური კოციუბინსკი, სტანისლავ კოსიორი თუ სხვები. პანას ლიუხჩენკომ თავი მოიკლა, ოღონდ ჯვრ პარტიის პლენუმიდან, სადაც ბრალდებები წაუყენეს, შინ მივიდა და თავისი ცოლი და სამა შვილი მოკლა... .

უკრაინის ავტოკეფალიური ეკლესიას აწ უკვე ყოფილი მიტროპოლიტი გასილი ლიაბკავსკი CBY-ს პროცესის შემდეგ რამდენიმეჯერ დააპატიმრეს, მაგრამ გაათვისეულეს. 1937 წელს კი ღრმად მოხუცებული ლიაბკავსკი დააპატიმრეს და დახვრიტეს.


— სტალინმა უკრაინაში სისხლის ტბა დააყენა, — წერს ცნობილი უკრაინელი მწერალი იური სმოლიჩი.

ეპილოგი

მეორე მსოფლიო ომის დროს უკრაინა გერმანელი ფაშისტების მიერ იყო ოკუპირებული. ამ დროს უკრაინული ავტოკეფალიური ეკლესიაც აღდგა. მისი მღვდლები ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ და იბრძოდნენ როგორც ნაცისტების, ასევე საბჭოთა კუმშირის წინააღმდეგ.

1990-იანი წლების ბოლოს უკრაინაში ეროვნული ტალღა აზვირდა. 1989 წელს, ჯერ კიდევ არსებობდა უკრაინის სსრ, როცა ლეგალური საქმიანობა განაახლა უკრაინის ავტოკეფალიურმა ეკლესიამ.

1991 წელს უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. შეიქმნა აგრეთვე კიევის საპატრიიარქო (უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია), რომელმაც მოედი უკრაინის მასშტაბით აქტიურად გაშალა მოღვაწეობა. კიევის საპატრიიარქოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ როგორც ნარინჯისფერ (2004-2005), ასევე ღირსების რევოლუციებში (2013-2014). ისინი ბარიკადებზე ხალხის გვერდით იდგნენ. დონბასის ომ-



კლარიბირის საკათედრო ტაძარი კიევში, კიევის საპატრიიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარი ტაძარი

შიც უკრაინელ ჯარისკაცებთან ერთად ლაშქრობის მთელ სიმძიმეს იზიარებდნენ. ამან მოსახლეობაში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიას ავტორიტეტის ზრდა განაპირობა. უკრაინელი ხალხი ემსხრობა კიევის საპატრიიარქოს, რომელსაც პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ფილარეტი უდგას სათავეში, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

დღეს უკრაინის ეკლესიას ავტოკეფალიის აღიარების საკითხი დღის წესრიგში დადგა. უკრაინის ავტოკეფალიურმა ეკლესიამ გამოიარა სტალიური წმენდები, გესტაპოს დენა, ხრუშჩევისა თუ ბრეჟევის ხანა, როცა იატაკევეშეთში არსებობდა. ახლა უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია (УАПЦ) და კიევის საპატრიიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია (УПЦ КП) უკრაინელთა 87%-ის მხარდაჭერით სარგებლობს. ეს კი უმთავრესია.

ნიკა თევზაპი

ისტორიის დოქტორი

କାନ୍ଦିପାଳି



მსოფლიო უნივერსიტეტების მართვის სამინისტრო

რანა კპური სოფელია ინდოეთის რაჯასტანის ოლქში, ქალაქ უडაიपურიდან 90 კმ-ით დაშორებული წმინდა მთა მაღალის მახლობლად. თეთრი მარმარილოსგან აგებული რანა კპურის ჯაინისტური სატაძრო კომპლექსი უდიდესია ინდოეთში, მისი მთვარი ტაძარი ჩაუმჯურებელი აღინიშნება კი მსოფლიოში უდიდესი ჯაინისტური ტაძარია.

ჩაუმჯობესა დაინატრიქას (ტაძარს სახელი პირ-ველი ჯაინის, დიადი მასწავლებლის — ბაკაგუნი ადინატრიქას პატივსაცემად წოდა) უზარმაშარო ტერიტორია უჭირავს. ინდოეთის მრავალი დიდი სატაძრო კომპლექსისგან განსხვავდით, რომლებიც ბორცვებზე ან გაშლილ აღვილე-ბზე განლაგებული, რანაცეურის სატაძრო ანსამბლი ტყით დაფარული, ჩაურდნილი და-ბლობის ძირში მდებარეობს. ის არქიტექტურულად იძღვნება დახვეწილია, მასში ისეა დაცული ბალანსი და პარმონია, რომ ამ მომაჯალოებელი ტაძარს ტაჯ-მაჰალს ადარებდნენ. ჩაუმჯობესა დღესაც მიიჩნევა უმაღლესი ხელოვნების ნიმუშად, ხოლო მორწმუნები მას მრავალი საუკუნეა. „სიმბოლიდის საუანეს“ უწოდებენ.

რანაკპურის კომპლექსის ამგებად ითვლება ჯაინისტური მოძღვრების ოთხი მიმღება: აჩარია სომასუნდაცური, შრეშტი ჯარა-აშაჰი (მეფე რანა კუმბჰას მინისტრი), მეფე რანა კუმბჰა და არეიტექტორი დეპა.

გადმოცემის მიხედვით, ღრმად მორწმუნება აჩარიას უდიდესი გაყლენა ჰქონდა აღამიანებზე, მათ შორის ჯარანაშავზე. ჯაინიშმის წმინდა აღგილების მონასტულების შემდგვერი წლის ჯარანაშაპმა დაიფიცა, რომ ჯაინისტური ოწმენით იცხოვრებდა. ამ ღროისთვის მახვილი გონიერი დაჯილდოებული ჯარანაშაპი უკვე მეუე რანა კუმბპას მინასტრიც გახლდათ. სულ მალე მას ძილში ხილვა ეწვია, რის მიხედვითაც გადაწყვიტა, დაკაებრივი ტაქარი



ରାନ୍ଧାକ୍ଷେତ୍ରରେ
ପ୍ରାଚୀନୀର
ଗର୍ଭ-ଗର୍ଭା
ଦୃଶ୍ୟମଳୀ



რანაკურის დარბაზები (ზემოთ და მარჯვნივ). ჩუქურთმები ჭურჩე (ქვემოთ)





აუგო. მინისტრმა მოიწვია ბეჭრი განთქმული შხატვარი თუ არქიტექტორი, თუმცა ვერც ერთი ხუროთმოძღვრის გეგმა ხილვას ოდნავადც ვერ ახსენებდა. ეს შეძლო მხოლოდ უბრალო არქიტექტორმა დეპამ. ჯარანაშაპმა მაშინვე სთხოვა მეფეს ტაძრის მშენებლობისთვის მიწის გამოყოფა. რანა კუმპამ მას ტერიტორია წმინდა მთა მაღრის მახლობლად აჩუქა და თან იქვე ქალაქის აგებაც დაავალა. მშენებლობები ერთდღოულად დაიწყო 1446 წელს. საერთო ხარჯმა 9,9 მლნ რუპია შეადგინა. ქალაქს მეფის პატივსაცემად რანპური უწოდეს, რომელიც დღეს სოფელი რანაკპურია. კომპლექსის აგება დასრულდა 1496 წელს, როცა მარია სომასუნდაცურმა ღვთაებათა ქანდაკები დადგა.


ტაძარი წარმოადგენს უბრწყინვალეს 3-სართულიან ნაგებობას, რომლის ჭერსა თუ შპილებიან გუმბათებზე გამოსახულია ისტორიული სიუჟეტები, ხოლო მისი 12 მეტრის სიმაღლის 1444 სვეტი გასაოცრად არის მოჩუქურობებული. საკვრველია, რომ ყველა სვეტი ინდივიდუალურია და არც ერთი არ მეორდება. უფრო საოცარი კი ის არის, რომ არც ერთი სვეტი არ ეფარუბა მორწმუნეთა თაყვანისცემის ობიექტებს, რომლებიც ტაძარში მრავლად არის. ეს ყველაფერი შექულია მრავალი სახის ძვირფასეულობით, თუმცა ყოველი ნივთი თუ არქიტექტურული





ત્રામારસ એજ્વેસ શિદ્ધ ગેઠાળેડો (ક્રેમરટ), ડારકાંખેડ્મો કો સ્વાંદોણ રામર્દેનોંગ સ્કૃલેપ્ટુરાા (ક્રેમરટ)





ერთ-ერთი შესახელების ჭური შექულია აკიჩაით — წვეროსანი მამაკაცით ხუთი სხულით, რომლებიც განასახიერებს ცეცხლს, წყალს, ცას, მიწასა და ჰაერს

დეტალი იძლენად ნატიფია, რომ მნახველებში აღფრინვანება იწვევს, ხოლო მორწმუნებებში ხშირად უნებურ ექსტაზს აღმრავს.

ჩაუმუკპას ოთხი მდიდრულად გაფორმებული შესასვლელი აქვს. ტაძარში განსხვავებული ფორმისა და ზომის 29 დარბაზია. ვრცელ მთავარ დარბაზში დგას ბჳაგავან ადინატკას, თეთრი მარმარილოს ოთხი დიდი ქანდაკება, რომელთა სახეები სამყაროს ოთხივე მხარეს იყურება.

მთავარი ტაძარი მოიცავს კიდვე ითხ „მთა-

გარ ტაძარს“ — მაპადპარა პრასადას, ოთხ „შესაკრუბ დარბაზს“ — რანგამანდაპასს, მრავალ დიდ თუ მომცრო „მეორქარისხოვან ტაძარს“ ე.წ. დამხმარე წმინდანებით — დევაკუიკასს.

სიწმინდები, რაც ტაძარს ამკობს, ყველა-ფერი 84-84 ცალია. საქმე ის არის, რომ 84 წმინდა რიცხვია, რომელიც განასახიერებს 84 ლაკპას ანუ დაბადება-გარდასახვის იმ აუცილებელ 84 ციკლს, რომელიც ჯაინიზმში წინ უსწრებს სულის სხნას. რასაკვირველია, ტაძარში წარმოდგენილია ტირტკანკარას,



დღვიურა შრი ჰარშავანატქი გველის 108 თავითა და უამრავი კუდით რომელთა ბოლოების მოქმედნა შეუძლებელია



დიადი მასწავლებლის გასაოცრად მეტყველ-
თვალებიანი 84 ქანდაკებაც — ჯაინისტური
რწმენით, ღვთიური ენერგია სწორედ თვალე-
ბიდან მოეფინება.

წმინდა ტაძარი ყველასთვის ღიაა, პერების ოთახებში ღამის გათვაც ყველა გაჭირვებულს შეუძლია, თუმცა საკურთხევლთან მიახლოების უფლება მხოლოდ მორწმუნების აქვთ.

განსაკუთრებული თაყვანის სცემის ობიექტია ტაძრის ჩრდილოეთი არსებული „სამოთხის ხე“ და მის გვერდით მდებარე მარმარილოს ფილა. გაღმოცემით მასზე ოვათ პჰაგვან აღინატკას ტერფების ანაბეჭდებია.

სატაძრო კომპლექსში მომლოცველთა და ხელოვნების თაყვანის მცემელთა რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს, განსაკუთრებით, 1990-2001 წლებში საფუძვლიანი რესტაურაციის შემდგენ.

ՀԱՅԵՐՆԱԾ

ჯაინიზმი რელიგიურ-ფილოსოფიური, დჰარმული რელიგიაა, ანუ ერთ-ერთია ინდოეთის ხახვარებულებზე ჩამოყალიბებული ოთხი რელიგიიდან (ინდუიზმი, ჯაინიზმი, ბუ

◀ ჩაძარში სულ 1444 მოწერილი მებრძოი სვეტია



ტაძარი ყველასთვის ღიაა, ბერების ოთხებში ღამის გათუვაც კი ყველა გაჭირვებულს შეუძლია

და სიქიზმი). ჯაინისტური სწავლების თანახმად, ნებისმიერი არსება ინდივიდუალურია და წარმოადგენს მარადიულ სულს, რწმენის ნაწილია დაუსრულებელი დაბადება-გარდასახვა, მისთვის ფასეულია სიცოცხლის ნებისმიერი ფორმა, რომლების-თვისაც ზანის მიენება დაუშვებელია. ჯაინიზმის მიხედვით, სამყარო არსებობს საწყისისა და დასასრულის გარეშე, ღორ კი წრუზე დადის, როგორც ბორბალი. სამყარომ უკვე გაიარა უთვალები დაბადება-გარდასახვის ციკლი და ჩვენს მერეც უთვალებს გაივლის. ყოველი ციკლი იყოფა ორ ნახვარციკლად: სულიერი ამაღლებისა და დაცემის. ყოველ ნახვარციკლში სამყაროს მოვლინება 24 ჯაინი, იგივე ტირტკანკარა ანუ დიადი მასწავლებელი. ამჟამად სულიერი ამაღლების ნახვარციკლი გასრულებულია და სამყაროს უნდა მოე-კლინოს დაცემის ნახვარციკლის პირველი ტირტკანკარა. ჯაინისტების რწმენით, იგი 81 500 წლის შემდეგ დაიბადება...



Հանունքներ

დევარს ითვლის, აქედან 3,5 მლნ ინდოეთში ცხოვრობს (რაც ინდოეთის მოსახლეობის ნახევარი პროცენტიც არ არის), მიმღვრები არიან არა შარტო აზიის ქვეყნებში, არამედ კუროპასა და აშშ-კანადაში.

— ჯაინისტური სექტები რამდენიმე საუკუნეება არსებობს, თუმცა ჯაინიზმის სიმბოლო — სკასტიკითა და ხელის მტკვნით, გველა ჯაინისტურმა სექტამ 1974 წელს აღიარა.

କବିତା ପରିଚୟ

ამონახილები ქვეიტ უჩნაო-ბაზარის ილენ

**გევა სოლომონ იახერათისა,
ძიდ სოლომონად ფოდეგული**

ეს მეფე იყო ალექსანდრე მეფის ძე, და მა-
მის შემდეგ სამეფო ტახტი თუმცა მის უფროს
მას იოსებს ეკუთვნოდა, მაგრამ ვინაიდგან
ხედვიდა თავის ძმას სოლომონს, რომ იგი იყო
უფრო სამეფო კაცი, როგორც თვალ-ტანადო-
ბით, ეგრეთვე ძლიერებით და სიმარჯვით, ამის
გამო მას დაუთმო და თვითონ კი შედგა ბერად.

სოლომონი რომ სამეფო ტახტზე ავიდა
სულ თვრამეტი წლისა იყო. ამ დროს ოსმა-
ლეთის ჯარები იყო შამოსული იმერეთში და
ციხე სიმაგრეებიც იმათ ეჭირათ პირველი ფაშა
მამედ-ალ კიკიენი ქუთაისის ციხეში იდგა დიდ
ძალის ჯარით და მბრძანებელიც იყო დანარჩე-
ნი ფაშების. მეორე ფაშა უსეინ იდგა ბაღდათის
ციხეში. მესამე ფაშა ახმედი შორაპნის ციხეში.
მეორე ფაშა ალიაგვი იდგა ხრესილზე. თუმცა
ამათ გამგეობაში არ იყო ჩვენი სამეფო, მაგრამ
ბეგარას კი ახდევინებდნენ იმერეთის მეფეს
რამდენიმე ათას ყურუშს. ამ დროს ცხოვრიბ-
დენ იმერეთის სამეფოში როი თავადი: ერთი
რაჭაში, რომელსაც უწოდებდენ დიდ როსტომ
ერისთავად და მეორე არგვეთში თვით მეფის
დედის მას ლევან აბაშიძე. ამათ შემოიყვანეს
თათრები ალექსანრეს მეფობის დროს, გაუ-
დეს ციხის კარები, დაბანავეს, დაასუსტეს
ალექსანდრე მეფის ძლიერება და თვითონ
მათის შეწეობით გავლენა მოიხვევს. ახლაც
სოლომონის გამეფების შემდეგ დაუახლო-
ვდნენ კიკიან ფაშას ძვირფასი საჩუქრებას
მირთმევით და ურჩევდნენ, რომ ბაგრატიონის
გვარი სრულიად მოესპო და მათთვის მიეცა
მეფობა. ასე რომ ორ სამეფოდ გაყო იმერეთი.
ნახევარი ერთისათვის მიეცა და ნახევარი მეო-
რესთვის. სამაგიერო პირდებოდნენ იმერეთში
მახმადიანობის შემოღებას. უნდა აეშენებიათ
მეჩითები ქუთაის, ბაღდათს, შორაპნას, ხრესი-
ლზე, საჩინოს, ორპირს, კულაშს, ხონს, რაჭას
ნიკოლოზ-წმინდის ტაძრის გვერდით, ოში
და აგბრალეურში. კიკიანი ფაშა მოხარული
იყო, მაგრამ თავის თავად ცოტა ჯარით შებ-
მას ვერ ბედავდა, რადგანაც, როგორც თვით
მეფე სოლომონს, ისე მის ძმას არჩილს დიდი
გაჟაცობის სახელი ჰქონდათ დაგარდილი. მეფე
სოლომონს თვალს უჭრიდა და ხალხი



იმერეთის მეფე
სოლომონ I დიდი



დარწმუნებული იყო, რომ ოთხი თვალი აქ-
ვსო. მართლადაც, პირდაპირ მისი შეხედვა
და თვალის გამართვა, როგორც ზაფხულში
მოწმენდილ ჰაერში მზის თვალის გამართვა,
შეუძლებელი იყო. მის მდა არჩილზე კი ამას
ამბობდნენ: მისმა მაღლმა, წმინდა გიორგი
სასწაულს გარდა სიმარჯვით ვერ აჯობებსო.
ეს არჩილი იყო ძლიერ ახოგანი, ხმელი, მაგრამ
ძლები ჰქონდა სხვილი და მოგრძო. ამისი
ხმლის ხმარება სამაგალითო და საარაკო იყო,
ცოლად ფავდა ქართლ-კახეთის მეფის ირაკლის
ქალი. აი მაზეზი თუ რატომ ვერ ბედავდა კი-
კიანი ფაშა ციხეებიდან გამოსვლას და მეფეს-
თან ბრძოლას თავის თავად სანამ ხვანოქარს არ
აცნობა ყველაფერი და არ თხოვა ჯარების დას-
ქელება. ხოთხარმა აუთქვა და ამის შემდეგ
კიდევ უფრო გათამამდნენ, როგორც ფაშები
ისე მათი ჯარის კაცებიც და აღარაფრად აგ-
დებდნენ მეფეს. ერთ აღდგომა დილას თათრის
ჯარის კაცი შევიდა მეფის სამხარეულოში,
მეფისთვის მოშადებულ სასაუზმო ცხვარს
ააგლიჯა ბეჭი, იქვე შეჭამა და წავიდა უშიშ-
რად. სასახლის გამგემ სხვა ცხვრის კეთება

დაპუნა და აცნობა სახლეუცესს პაპუნა წერეთელს ეს გარემოება. წერეთელი შეწუხდა, მაგრამ რას იქმოდა. მოხსენება ვერ გაუტედა მეფეს. მხოლოდ კათალიკოსი და დიდებული კარის კაცები მეფესთან მისალოცავად მიმავალნი შეაჩერა, რომ დრო გაგრძელებულიყო და მანამდის მოქაწროთ სხვაც ცხრის გაყოფა. მეფეს რომ საუზმე დაუუგიანდა ვეზირს თამაზა მესხს უბრძანა: სად არიან ჩემი დარბაისლები, რომ ვეღარა ვწედავ, ან კათალიკისი რატომ არ მობრძანდა, რომ სუფრა მიკურთხოს და ან პაპუნა წერეთელი საუზმეს რათ მიგვიანებს, რომ გაფიხსნილოთ. თამაზამ გამოუტეხით მოახსენა ეკველაფერი. მეფე ისარ ნაკრავით წამოვრდა ზეზე და დაიძახა: ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო. ნუდარც გამოუხებია აღდგომა თუ ისინი იმერეთიდან არ გაურკევო. მოითხოვა ცხენი შეჯდა და ვარცისისაკნ გაეშურა, მე აქ ქუთაისში დასადგომი პირი აღარ მაქვსო. დიდებულები ზოგი თან წაყვენ და ზოგი გზაში დაქვიერებ. მისვლის უმაღლე სარდლები დაიბარა: ციხის თავი ქაიხოსრო აგიაშვილი, ბერი წულუკიძე და გიორგი აბაშიძე. მეოთხე სარდალი კი პაპუნა წერეთელი თანვე ახლდა. ამ პაპუნას სამი ხელის უფლობა ეჭირა, ესე იყო სახლეუცესი, უფროსი ვეზირი და იმავე დროს ცხენოსნის სარდალი.

სარდლები აღდგომის მეორე დღესვე გამოცხადნენ. მეფემ უბრძანა ციხისთავს სარდალ აგიაშვილს ბალდათის ციხეზე მიდგომა. თავის მმას არჩილს და გიორგი აბაშიძეს შორაპნის ციხეზე ბრძოლა. ბერ წულუკიძეს და პაპუნა წერეთელს ხრესილზე ომი და თვითონაც იქ ყოფნა აირჩია, რადგანაც თათრის ჯარი იქ მომეტებული იყო და გაშლილი ალაგიც იყო. ქუ-


შორაპნის ციხის ნანგრევები

თაისის ციხის აღება კი უბრძანა ფიცის კაცს და გაუგზავნა შემდგენ ბრძანება: „თვალს ბერ ლორთქიფანიძეს მეფე სოლომონ სიყვარულით მოგიკითხავ. ამასთანავე გიბრძანებ, რომ მიღებისთანავე ამა ბრძანებითის წერილისა შეკრიბი ფიცის კაცი თავადნი და აზნაურნი, თავიანთის ყმებით და ისინიც, რომელიც ჩემი სახასო ყმები არიან და ანუ ეკლესისა. ვისაც იარაღის ხმარება შეეძლოს თავდ აზნაურობისაგან სუფელა და გლეხტებისაგან მხოლოდ თვითონ გამოიწვიე. შემოკარი ქუთაისის ციხე, დაამწყვდიეთ შიგ ოსმალეთის ჯარი, არავინ გამოუშვათ; ვინც გამოვიდეს და ქრისტიანობის მიღება განაცხადოს ის დაკრძალეთ და შეძღვე ჩემთან მოიყვანეთ. მეფე იმერთა სოლომონ“. ამ გვარივე ბრძანება გაუგზავნა მიქელაძეს.

„თავად ზურაბ მიქელაძეს სიყვარულით მოგიკითხავ და გიბრძანებ ახლავე შეკრიბე ჯარი, გამოაწყვე ყველა თავად აზნაურნი და გლეხნი, საჩინოს სოფლიდან მთელი მთის მცხოვრები ვიდრე გურიის საზღვრამდე; გაკიდან: ორპირი, კულაში, ჯაგანი, გეზათი, მაედანი, ჯიხაიში ორივე სოფლები, გუბი და შემრი კომლზე თვითონ გლეხი გაიყვანე. თავად აზნაურს, რომელსაც იარაღის ხმარება შეეძლოს რამდენიც იყოს ოჯახში ნუ დატოვებ და შეკარი ფოთის გზა. სადაც გურიისა და ფოთის გზა შეერთდება იქ, ესე იგი ეკალ მუხურშიდ დაბინავდით. ოსმალოს ჯარი არც აქეთ მომავალი და არც იქეთ მიმავალი არ გაუშვათ, სრულებით გასწყვიტეთ. მეფე იმერეთისა სოლომონ“.

(შემდეგი იქნება)

„კვალი“, 1895 წ. №23
მოაშადა თუ ცაგურიშვილმა



გერმანული ჯუშანტექნიკის მოძრაობა მარშით
1941 წლის ონის-ფელისი



500 დღე და ღამე მტრის ზურგში

დიმიტრი ქუმაშვილი

წინამდებარე წიგნი მოგვითხრობს ჯარისკაცის თავგადასავალს მეორე მსოფლიო ომის დროს, 1941 წლის ონისიდან 1943 წლის ველისის ბოლომდე. მასში აღწერილი მოვლენები დოკუმენტური ხასიათისაა და უანრობრივად მემუარებს განეკუთვნება.

(დასწენითი იხ. „ისტორიანი“ №№59-72, 91)

„500 დღე და ღამე მტრის ზურგში“, რომელიც მცირედით შეკვეცილი ქვეყნდება, რიგითი მებრძოლის თავგადასავალს აღწერს — 1941 წლის 22 ონისიდან, 1943 წლის 30 ველისამდე. ნაწარმოები 1981 წელს წარადგინეს ერთ-ერთ გამომცემლობაში, თუმცა მან მზის სინათლე ვერ იხილა. ცხადია, ოთხმოცაანი წლების დასაწყისში არ გამოაქვეყნებდნენ წიგნს, რომელშიც მოთხოვნილი იქნებოდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მტრის გარემოცვაში მოოფი მეომრის რეალური თავგადასავალი.

დიმიტრი ქუმაშვილმა ეს წიგნი თავისი მეობრის, დიმიტრი ჩრდილელის ხსოვნას მიუძღვნა, რომელიც მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა და თითქმის ისეთივე გზა გაიარა, როგორც ნაწარმოებში არის გადმოცემული.

გათენებისას ისევ გაისმა კარებში ურდულის ჩხაკუნი. ოთახში ჩაჩქნიანი გერმანელი შემოდის. კონდახის ცემით შენობიდან გარეთ გვრეკავს.

ეზოში ტენტგადაფარებული სატვირთო მანქანა დგას. ოფიცერი ჩვენს გვარებს კითხულობს. მანქანის ძარაში გვსხამენ.

ონდება. აღმოსავლეთით, ცას პორიზონტზე, სინათლის ვიწრო ზოლი ჩნდება. ცა კი ისევ პირქში და ჩაშვებულია.

ერთი გერმანელი მძღოლთან ჯდება, ორი ძარის ბოლოში იკავებს ადგილს. მანქანა სასოფლო გზას მიჰყვება. მანქანის ფსკერზე მიგდებული წერაქვი და ორი რიგის ნიჩაბი მხვდება თვალში... ავის მომასწავებელი ნიშანია.

ეპე!... — მინდორში გაგვიყვანენ, საფლავებს ჩვენი ხელით გაგვათხრევინებენ, და მერე, შევიდობით ახალგაზრდობავ!

აბა, რა ოხრად უყრიათ მანქანაში წერა-
ქვი და რკინის ნიჩბები?! ნადირიგით ჰაერს
ვენოსავ...

უნდა ოოგორმე მანქანიდან გადავხტე. თუ
ტყვია ამაცდონეს და ტყეში თვით შევაფარე,
ხომ კარგი, თუ არა და, საკუთარი საფლავის
გათხრას მაინც გადავრჩები, გავითიქრე და
ხელსაყრელ მომენტს დავუწევ ლილინა.

ძარაზე გადაფარებული ბრუნენტი მოუსინ-
ჯე — მაგრად არის დაბმული. მის გაგლე-
ჯაზე ფიქრიც ზედმეტია. რჩება ერთი გზა
— ძარის უკანა მხარე. იქ ორი გერმანელი
ზის, მხარეზე ავტომატგადაკიდებული. მანქანა
დიდი სისწრაფით მაპერის. ირგვლივ ტრიალი
მინდორია, გადახტომას ჯერჯერობით აზრი
არ აქვს. ტვინი დაძაბულად მუშაობს. გულს
ბაგაბუგი გააქვს. ძვირფასი წუთები სწრაფად
იღება. მანქანა საურმე გზიდან მოასფალტე-
ბულ შოსეზე გადადის.

— ეს გზა საით მიდის? — ვეკითხები ჩემს
გვერდით ჩაცუცქულ ბელორუს ბიჭს.

— გომელისკენ, — უხალისოდ მპასუხობს
იგი.

ის იყო გადახტომას ვაპირებდი. მანქანა
დასახლებულ პუნქტში შევიდა.

— ეტყობა, ჯერ არ გვიპირებენ დახვრე-
ტას, თორუებ აქ არ მოგვიყვანდნენ, — გაიელვა
გულში იმედის ნაპერწკალმა.

მანქანა გზიდან რომელიდაც მოსახვეში

უხვევს და ხის ალაფაფის კართან ჩერდება.
გერმანელის შეძახილი და სამივნი მიწაზე
ვდგავართ... ჩემი კონვოირი ყარაულს სიას
აძლევს. ეზოში შევყავროთ.

ეს იყო გომელის სამხედრო ტყვეთა ბანაკი.
კონვოირს ხელმარჯვენი მდგარ ფარდულიან
მივყებართ. კარუბი გარედან არის გადარაზუ-
ლი. რაზა ხელის კვრით გააღო, შივ შევგაგლო
და გარედან მდგომ ყარაულს დაუბარა: ამათ
თვალყური კარგად აღეგნე, პარტიზანები
არინო.

ფარდულში ნახევრად ბნელა. ერთ მხარეს
ზის ორსართულიანი „ნარებია“ გაკეთებული. ამ
„ნარებზე“ ზოგი წევს, ზოგიც ფეხმორთხ-
მით ზის, ზოგი კი ნარების გვერდით დარჩე-
ნილ სივრცეში დაბორიალობს; 50 კაცამდეა
თავმოყრილი... უსაშველო ხმაური დგას.
ფუსფუსებენ, ვაჭრობენ ერთმანეთში, ზოგი
ულუფა პურს ცვლის, ზოგი თუთუნს, ზოგს
საათი უჭირავს ხელში. მეტ ნაწილს შავი
წვერი აქვს მოშვებული.

მე მაშინვე მიეხდი, რომ აქ ებრაელების-
თვის მოუყრიათ თვით; მაინც ვკითხულობ: —
რა ხალხი ხარო?

ერთ-ერთი მიპასუხებს: — ებრაელები.

არაბრად მეჭაშინიკა — სასიკვდილოდ
განწირული ხალხის კომპანიაში მოხვედრა.

ერთი მსხვილთავა ებრაელი გამოეყო და-
ნარჩენებს და ჩემენ წამოვიდა.

ქალაქ
გომელის
ცენტრი
პიტლერებული
ჯარების
მიერ მისი
ბრძოლით
აღების
შემდგ. 1941
წლის 19
აგვისტო





გერმანული
კონვოიზები
და ტყველ
ჩარჩონილი
საბჭოთა
ჯარისკაცების
ჯღვენძე

- სადაური ხარ? — მეკითხება იგი.
- ქართველი ვარ...
- მე კი ქუთაისელი ებრაელი, გამარჯობა!
- და მიღიმის, ოქროს კბილებით გამოჭედილი პირით. თაფლისფერ თვალებში კი დაბნეულობა და სევდა დაგუბუტულა.
- აქ რა გინდა მერე, აქ რისთვის მოუყრიათ თქვენთვის თვე?
- მოული ჩემი დანაშაული ის არის, რომ ებრაელად დავიბადე... ჩემი ბრალია განა, ებრაელად რომ დავიბადე? ამიტომ უნდა მოგკვდე?

ვცდილობ ვანუგეშო: — ნუ გეშინაა, გეტოში წაგიყვანენ.

მან ხელი ჩაიწინა და გამშორდა.

— ესენი კი განწირულნი არიან, მაგრამ, ნუთუ ჩვენც, რომლებიც ახლა მოვგიყვანეს, მათთან ერთად დაგვხვრეტენ? ამას ჰქვია, ვაის გავყარე და ვუის შევეყარეო.

სასიკვდილოდ განწირული ებრაელები კი განაგრძოდნენ ყაყანს. ზოგიერთი გულიანადაც კი იცინის. იცინიან, რადგან ისინი არავითარ დანაშაულს არ გრძნობენ და ვერც წარმოუდენიათ, რომ მათაც ისევე უწყალოდ გამოასალმებენ სიცოცხლეს, როგორც არაერთხელ ჩაუდენიათ ჰიტლერელებს სხვა ებრაელების მიმართ...

დიღლის ათი საათი იქნება. ფიცრულის კარი იღება. ორი ესესელი შემოდის.

— იუდე, ლოუს, ლოუს! — და ებრაელებს ფარდულიდან ერეკებიან.

ებრაელებით დახუნძლული „ნარები“ სწრაფად ცარიელდება.

ბარაკის წინ ოთხ-ოთხად აწყობენ, თვლიან და ავტომატიან გერმანელებს ისინი სადღაც

მიჰყავთ. ყურისწამლები ხმაური ერთბაშად წყდება. საოცარი სიჩუმე ისადგურებს. ბარაკში სამნილა ვრჩებით — ორი ბელორუსი და მე.

— ახლა მაგათ დახვრეტენ, მერე ჩვენთვისაც მოიცლიან, — ამბობს გულჩათხრობილი ბელორუსი, რომელსაც პარტიზანებთან კავშირში სდებენ ბრალს.

მე ისევ გამოსავალს ვეძებ. სიტუაცია აშკარად წამგებიანია. დროზე უნდა თვის დაღწევა, თორებ მერე გვიან იქნება...

ფარდულის ფიცრებს შეა ჭუჭრუტანებია დარჩენილი, კედელს ვეკვრები და გარეთ ვიყურები.

გარეთ კი გვიანი შემოდგომის მოღრუბლელი დარია. წვრილად თოვს. ატალახებულ მოზრდილ ეზოში, ყურებზე პილოტურა ჩამოფხატული, ტყვე ჯარისკაცები დალასლასებენ. ჩვენი ბარაკის პირდაპირ, დაახლოებით 36-40 მეტრში, დია ცის ქვეშ, ფეხისალაგია

— გრძელი დიდი ორმო, რომელზეც ფიცრებია გადებული. აქ, საჭიროებისთვის ილაჯგაწყვეტილი ტყვეები მოდიოდნენ და სხდებოდნენ. ბარაკი გარედან უბრალო რკინის რაზითაა დაეტილი. გადაწყვეტილება უცებ და თვის თავად მოდის. ჩირის გაყოფა და რაზის გადაგდება ადვილია, მაგრამ მერე... გარაულმა თუ დამინახა...

ან ახლა ან არასდროს... საფეხქელში თითქოს ჩაქუჩს მირტყობენ. ფანქრისხელა ფიცრის ნაჭერი უცებ მოვძებნე. ახლა ისაა გასარკვევი, ყარაული ისევ დგას გარედან, თუ ებრაელებს გაჰყვა. იმ სივრცეში, რომელიც ჭუჭრუტანიდან იშლება, ყარაული არ ჩანს.

კარზე გარახუნებ... გარედან არავინ მპა-

სუხობს. რაც მოსახდენია, მოხდეს, — გავი-
ფიქრე მე, — გავალ, თუ ყარაულს შეეფეთუ,
ვეტყვი, რომ კუჭი მაქვს აშლილი და ფხი-
სალაგში მინდა მისვლა. არა და სულ ერთია,
აქ თუ დაფრჩი, დახვრეტა მანც არ ამცდება...

ჯოხი გავყავი და რაზა ადვილად გადა-
ვადე.

— ბიჭებო, მე გავედი... ცოტა ხნის შეძლევ
თქვენც მომყევით, — პასუხს აღარ დავუცადე,
გაფაღე კარი. თავი გაფავი, აქეთ-იქით მი-
ვი ხედ-მოვიხედე... ყარაული არსად ჩანს. კარი
სწრაფად ისევ გადავრაზე და ჩქარი ნაბიჯით
ფხისალაგისკენ გავემართე. ათოოდე ტყვე,
ჩაცუცქული, ზის ორმოზე გადებულ ფიცრე-
ბზე. მეც მათ შორის ვჯდები და მალულად
თვალყურს ვადვნებ იმ ფარდულს, რომლი-
დანაც გამოვედი.

ორიოდე წუთიც არ იყო გასული, ვხედავ,
რომ მხარზე შაშხანაგადაკილებული გერმა-
ნელი ბრუნდება. რაზას ხელით სინჯავს და
კართან არხინად ჩერდება. ყარაულმა, ეტყო-
ბა, ებრაელები ადგილამდე მიაცილა და უკან
დაბრუნდა. ახლა მთავარი იყო შეუმჩნევლად
გავცლოდი აქაურობას და დანარჩენ ტყვებს
შევრეოდი.

ერთხანს ჩაცუცქული ვზიგარ. მალულად
გარემოს ვზევერავ, ვდგები და შუაგულ ტყვე
წითელარმიელებმი ვერევი.

უზარმაზარ, ატალახებულ ეზოში ტყვები
ლანდებით დალასლასებენ.

გუჟარსავი, გაძალტყავებული, ჩაშავებუ-
ლი, დალვრუმილი, იღლაჯგაწყვეტილი სახები.
ზოგს პილოტურა ყურებზე ჩამოუფხატა,
ზოგს კი თავი ძონებით შეუხვევია. ეზოს
შუაგულში ბაზარი გაუმართავთ. ჰყიდიან
პურის ნაჟერს, ან ცვლიან თუთუნში. ზოგს
გაყინული შაქრის ჭარხალი, ზოგს თალგამი
უჭირავს. ტყვები გამოდიან გრძელი ფიცრუ-
ლი ბარაკებიდან, მოლასლასებენ, ღია ცის
ქვეშ გამართულ ფხისალაგისკენ, დიდხანს
სხედან ჩაცუცქული. შეძლევ იკრავენ შარვალს
და ისევ ბარაკებისკენ მილასლასებენ.

მომაკვდინებელი საფრთხე უკანაა... ამდენ
ხალხში რაღას მაბოვიან, — გავიფექრე, — მთა-
ვარია, რომ იმ ადგილს გაუცალე: ან არადა, ყა-
რაული როგორ მიცნობს, მით უმეტეს, რომ მას
ისევ ფარდულში ვგონიფარ გამომწყვდეული.

რომ იტყვიან, ღმერთი ვახსენე. ნელა და-
წევ ეზოს გადაჭრა. მივდივარ შევი მორებისგან
ნაგები ბარაკისკენ და გულს ბაგა-ბუგი გაა-

ქვს... ყარაულს ოციოდე ნაბიჯით გავცდი...
მას ჩემთვის ყურადღება არც კი მოუქცევაა,
ოუმცა ჩემი სამოქალაქო ტანსაცმელი ავად
გამოირჩევა, ეზოში მოლასლასე გაზინიული
და ტალახში მოსვრილი მაზარებისგან.

ნაბიჯს ვუმატე. როგორც იყო, შევაღწიე
ჩაპნელებულ ბარაკში და ცოტა თვეისუფლად
ამოვისუნთქე.

ბარაკი საკმაოდ მოზრდილია: 15 მეტრამ-
დე სიგანეში და 50-მდე — სიგრძეში. უწინ იგი
ან თავლის მოვალეობას ასრულებდა ან რამე
საწყობისას. ყვარი ადგილ-ადგილ დამპალია
და თოვლ-ჰყაპი ადგილად ჩამოდის.

მიწა, როგორც საღორეში, ისეა ატა-
ლახებული. ტალახში ერთიმეორებზე მიყრით
ტყვები წვანან. სამარისებური სიჩუმე დგას,
მიუხედავად იმისა, რომ ათასამდე კაცი იქნება
თვეშორილი.

ხის მორებისგან ნაგებ კედლამდის ვაღწევ
პატარა თვეისუფალ ადგილს ვპოულობ ორ
უძრავად მიწოლილ ტყვეს შორის. ზურგით კე-



ტყვების ხშირად მხოლოდ დასადგომი ადგილი პქნინდათ (ზემოთ), საკვების დარიგება ბანაკში (ქვემით)





სამხედრო
ტექნიკა
ბანაჟში.
ბელორუსია,
1941 წ.

დელს ვეურდნობი და ტალახში ფქებს ვჭიმავ. მიწა ცივი და სეელია. ამ ტალახში დაძინება შეუძლებელია, ისევ წამოვდევი. სხვენი რომ პქონოდა ამ თავლას, სხვენზე ავძვრუბოდი. არადა, ფეხზე ხომ არ გავათვა ამ ჯოჯოხეთურ ღამეს. ჭერს ვათვალიერებ. თავლას თუმცა სხვენი არ აქვს, მაგრამ სახურავის ქვეშ მსხვილი თავხებია. დიდი წვალებით მაღლა ვძრები და ერთ-ერთ თავხეს, როგორც ცხენს, ზევიდან ვაჯდები.

მთელი დღისა და დამის განცდებისგან დაღლილს ძილი მერევა. ზემოდ თბილა ობიექტისგან, რომელიც ტალახში დაყრილი ტყვებისგან მოღის. თავხეზე პირდაღმა ვწვები. ხელებს მაგრად ვხვევ და თავლები თავისთვის მეღლულება.

ფხიზლად მძინავს, გაღმოვარდნის მეშინია. დასენება კი საჭიროა. მეორე დღისთვის ძალის შენარჩუნებაა საჭირო.

ასე ნახევრად ძილში გაიარა დამეტ. ირიურავა თუ არა, დაბლა ჩამოვედი, ტყვების შორის დავიწყე ბორიალი. შშია. ორი დღე და დამეტ არაფერი მიტამია.

სამშარეულო ფარდულის წინ ცარიელი კასრი დგას. კასრთან უკვე გრძელი რიგია გაჭიმული. რიგი სულ უფრო და უფრო მატულობს. ბარაკებიდან აჩრდილებივით გამოდიან ტყვები, გაძვალტყვავებული, ჩაშავებული, გაუპარსავი სახეებით, თავჩაქინდრული მოლასლასებენ და „ბალანდის“ მოლოდინში

რიგში დგებიან. „ბალანდა“ — გაუცკენელი კარტოფილია წყალში გათქმებილი. რიგი კი უკვე ორას მეტრზე გაჭიმული.

შშია, მაგრამ გაღავწყვიტე, რიგში არ ჩავდგე. ჯერ ერთი, ეს სახიფათოა. კასრთან შესაძლოა ისეთი ვინმე იდგეს, რომელიც მიცნობს და მაშინ ყველაფერი გათვალისწინება. ამიტომ რიგს გვერდს ვუვლი და ფართო ეზოში მოფარფატე წითელარმიელებში ვითქმივთები.

ეზოს შუაგულში ტყვებს ბაზარი გაუმართავთ. ცვლიან ერთმანეთში: „პაიკა“ პურს ერთ გახვევა თუთუნზე, „სალის“ პატარა ნაჭერს, ფქსაცმელს, საცვლებსა და კიდევ ვინ იცას, რას. ერთი ტყვისგან პურის ნაჭერს ვყიდულობ. დავდივარ გაუბედურებულ ლანდებს შორის და ვგრძნობ, ათი დღის შემდეგ მეც ლანდად ვიქცევი. რადაც უნდა დამიჯდეს, ამ ჯოჯოხეთიდან უნდა გაგაქცე. თავი უნდა დაგაღწიო. ისევ და ისევ მიტრიალებს თავში შოთას სიტყვები, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

— შეუძლებელია გამოსაყალი არ იყოს. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს; აქედანაც უნდა იყოს გამოსაყალი, — ვარწმუნებ თავს და ტყვეთა ბანაკის შესწავლას ვიწყებ.

ეზოში ადამიანთა მაგივრად, ლანდები დაფარფატებენ; შიმშილმა, სიცივემ, დიზენტერიამ, ტილებმა დააბეჩავეს ტყვები, ადამიანური სახე დაუკარგეს. ჩონჩხადქცეული დგანან რიგში, კანკალებენ, ხელს

ხელშე უპარტყუნებენ, ძონძებში გახვეულ ფქებს ძლივს ინაცვლებენ. მათ, მართლაც, აღარაუერი აქვთ შერჩენილი ადამიანური... ჩასვებული, ჩაცვინული უპეებიდან ჩამკრალი, სასოწარევეთილი თვალები არაქათ-გაცლილად იყურებიან. მათი ნება შიშმილს, სიცვეს, ჭუჭუსა და სიბიძნეურეს საბოლოოდ გაუტეხია. და თუ მათ რამე სურვილი კიდევ შერჩენიათ, ეს შავი პურის პატარა ნაკრით და ერთი ჭიქა „ბალანდით“ გაძლიმის სურვილია. ვინც „ბალანდის“ მისაღებად რიგში დგას, მათ კიდევ რა უჭირთ! საცოდაობა ბარაკებში ტრიალებს. დილაობით ყველას არ ყოფნის ძალა, ადგეს და „ბალანდის“ რიგში ჩადგეს. ზოგი ისეა დიზენტერიისგან დასუსტებული, ვეღარ დგება, ტალახში წევს და სიკვდილს ელის.

სანაც მე ძალა კიდევ შემწევს, ვიდრე მეც ჩონჩხად ვიქცეოდე, თავი უნდა დავაღწიო ამ ჯოჯოხეთს, — ეს აზრი მიძიძებს, უფრო გულმოღვაწედ ვეძებო გამოსვალი. „არ შეიძლება, გამოსავალი არ იყოს“ ვიმეორებ გულში... მეძებარივით ყოველ კუნჭულს ვზ-ვრაჟ და ვწონსავ.

გომელის ტყვეთა ბანაკში 35 ათას კაცამდეა თავმოყრილი. ბარაკებსა და ეზოს მოზრდილი ადგილი უკავიათ. მას ერთი მხრიდან აგურის მაღალი კედელი აქვს; კედელში ერთადერთი ალაყაფის კარებია დატანებული, რომლითაც გუშინ დილით შემომიყვანეს. ალაყაფის კარები მაგრად არის დაკატილი და ავტომატით შეიარაღებული ორი გერმანელი იცავს. კედელიც ისეთი მაღალია, რომ მასზე გადაძრომა შეუძლებელია.

ბანაკის ამ მხრიდან გაქცევზე ფიქრიც ზედმეტია..

იმ კედლიდან, რომელშიც ბანაკში შემოსავლელი ალაყაფის კარებია, ხელმარჯვნივ ის ხის ფარდულია, — განწირული ებრაელები რომ იყვნენ.

ბანაკი ოთხკუთხედია. მარჯვენა მხრიდან, მავთულ ხლართის იქით დიდი ეზო მოჩანს. იქ ტენტიანი საბარგო მანქანები დგანან. აქ ან რაღაც სამხედრო ნაწილია, ანდა ბანაკის კომენდატურა. ამ მხრივაც გაქცევა გამოირიცხულია. ბანაკის ეზოს ხომ კიდევ ორი მხარე აქვს. მე მათ დასათვალიერებლად მოვდივარ. გერმანელებმა ეჭვი რომ არ აიღონ, მოედნის ცენტრი გადაგჭრი.

უცებ, თვალი სამოქალაქო ტანსაცმელში

ჩაციულ სიმპათიურ კაცს მოვკარი. იგი დანარჩენებივით გაძალტყავებული და დაბექავებული არ ჩანს.

მწითური სახე, ცოცხალი ყავისფერი თვალები აქვს.

მისი კოხტად შეკრეჭილი თმა და ბაკენ-ბარდები უნებურად იყრობენ ყურადღებას. ამას კიდევ შერჩენია ადამიანური სახე. ეტყობა დიდი ხნის მოყვანილი არაა.

ერთმანეთი, როგორლაც ერთბაშად, შორი-დანევ შევამჩინეთ. მე მისკნ გამიწია გულმა — ისიც ჩემკენ წამოვიდა.

ბაკებიანი ახალგაზრდა სამოქალაქო ტანსაცმელშია გამოწყობილი, ფქთ კი ახალ-თახალი ჩემები აცვია. გულლიად მიღიმის ყავისფერი თვალებით.

როგორც იტეჭიან, გულმა გული იცნო. რაძლენიმე წუთის შემდეგ ძეველი მეგობრებივით ესაუბრობდით. ისიც გომელში დაეჭირათ და ორი დღის წინ ბანაკში შემოვედოთ. ისიც ჩემსავით გაქცევაზე ფიქრობდა.

ეს ახალგაზრდა კაცი, რომლის სახელი და გვარი, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს, რომელიდაც ნაწილის პოლიტექნიკი იყო.

— ერთი ამას შეხედე! — მიმითითა მან ერთ-ერთ ტყვე წითელარმიელზე.

წითელარმიელი, მართლაც, მკვდრეთით წმომდგარ მოჩვენებას ჰგავდა...

(გაგრძელება იქნება)

საბჭოთა სამხედრო ტკმკების მასობრივი სამარტინი გომელში (1941-1942 წწ.)





ქართველი
ისტორიკოსი,
აკადემიკოსი

სანვიზო კოდი ერთგულ „კარუსელისგან“



უფრო მეტი სკანველიდა, ყრისველიდა, თავისაცები და
საინდენტიერო ამბები ინიციურ შემცენებით - გასართობ ქრისტოში

The image shows a woman on the left and a detailed chessboard diagram on the right. The chessboard is a 8x8 grid with arrows indicating movement paths for different pieces. Labels in Georgian provide instructions for each move:


- 1. ღორგელის
ნაბრძიშ-
ლობა
- 2. ავტომობის
ერთობლი-
ობა
- 3. დაზ-
ბინელია
მესაური
მაქსიმილი-
ან ...
- 4. ფრანგი
პუეტი
- 5. ფრანგი
მხატვრი და
მოქანდაკე
- 6. დარბაზის
... — სამუშა
საბჭოს წე-
რები
- 7. მისი დე-
დაქალაქის
დელი
- 8. სოფელი
ოჩამჩირის
რ-ზი
- 9. ძეგლი,
ნახმარი ტან-
საცელი
- 10. გვალევ-
ბის „გვალე-
ფალი“
- 11. კლდეში
ნაკვითი
ქლდავის სამ-
ცხები
- 12. მოწას
ფართობის
საზომი
- 13. ბუბლიკი
- 14. წილილი
ფერის ძეირ-
ფასი ქა
- 15. მარალი
ნარისხის
ძინა
- 16. კარლილი
საფლობელითი
— ... მარია
- 17. გაიძი
- 18. მიმექ
შემთხვევა,
ტრაველა
- 19. ერთნა-
ბლი სუსტი
არაფი
- 20. ფაიტი
- 21. ... და
შეიძიო ჯუჯა
- 22. ფრანგი
მსახ. ... მა-
დანი
- 23. რისამე
მოვარი
აზრი
- 24. აღმო-
სკელეტის
ფლერტი
- 25. ქართ-
ველი შეაბ.
მერაბ ...
- 26. ... მუკ-
ნარგავა
- 27. ბუნებრივი
სალებავი

წინა ნომერში გამოქვეყნებული ს ანგარიდის პასუხიბი:

ଯେତେ ନିର୍ମାଣ କରାଯାଇଥିଲା ଏହାକୁ ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇବା ପାଇଁ ଯେବେ—

პალიტრა 50 წლის სერია

საეთემარიდან
უკრალ ჩეტირიანთან ერთად



ტომი 31 ზიგმუნდ ფრიდი

შემდეგი წიგნი:
ბანითო მუსოლინი

სერიის სხვა წიგნები:



ცაცილები ფასი 5 ₾
ეუქნილთან ერთა 8 ₾

გამოდის
თვეში ერთხელ

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ
შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში.



იკითხეთ წიგნის მაღაზიებშა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკეთ ნომრებზე:
0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და www.elva.ge ადგილზე მოგაროვთ.

Palitra.L.PUBLISHING www.palitral.ge

საქართველოს ინტერაქციული რუკა


გაართიანე საქართველო!

შეაგროვე 12 კომალები

12 პატლი



12 წიგნი



192 ფიგურა



1. იმერეთი
2. რაჭა-ლეჩხუმი
3. შიდა ქართლი
4. სამცხე-ჯავახეთი
5. სამეგრელო
6. სვანეთი
7. გურია
8. ქვემო ქართლი
9. მცხეთა-მთიანეთი
10. კახეთი
11. აჭარა
12. აფხაზეთი

სპეციალური
ფასი 8.50 ₾
გაზათთან ერთად 10 ₾

გააკარი კედელზე ან ააწყვე მაგიდაზე



23 ივლისიდან, 2 კვირაში ერთხელ, გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკავთ
ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ

